# საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალ "მოამბე"-ს დაფუძნება და ფუნქციონირება 25 წლის მანძილზე

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალი "მოამბე" დაფუძნდა აკადემიასთან ერთად 1995 წელს და შეუდგა ძალზედ საინტერესო და შინაარსიან საქმიანობას. ჟურნალის მთავარი რედაქტორი დაფუძნების პირველი დღიდან მისი სიცოცხლის ბოლომდე ბრძანდებოდა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, მწერალი და პუბლიცისტი აკადემიკოსი ალექსანდრე კუჭუხიძე.

ჟურნალის პერიოდული გამოცემები ვრცელდება მისი წესდებიდან გამომდინარე სხვადასხვა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში, რედკოლეგიის შემადგენლობაში არჩეული არიან ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები.

ჟურნალი და აკადემია ერთ მთლიან სივრცეში მუშაობს და ეს ხელს უწყობს ჟურნალის პოპულარიზაციას სამეცნიერო საზოგადოებაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჟურნალ "მოამბე"-ს როლი 2003 წელს საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიაში "გლობალიზაციის პრობლემებზე" გამართულ საერთაშორისო კონფერენციის მასალების გაშუქებაში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერები. ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ დამატებითი ტირაჟის დაბეჭვდა გახდა საჭირო.

სამეცნიერო ჟურნალ "მოამბე"-მ 2011 წლის 8 დეკემბერს ახალი სიცოცხლე შეიძინა. იგი ISSN – ის ნომრის მინიჭების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე გახდა საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო – პრაქტიკული ჟურნალი. მას რეესტრით მიენიჭა № ISS-2233-3606 ხოლო შტრიხკოდი – 977223336008, ასევე 2018 წლის 14 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორის ბატონ ლევან თაქთაქიშვილის 03/42 წერილით კვლავ დადასტურდა ჟურნალ "მოამბე"-ს საერთაშორისო სტატუსი.

ბოლო წლების განმავლობაში ჟურნალის რედკოლეგიის შემადგენლობაში მოხდა ადგილმონაცვლეობა გამოკლებული წევრების ჩანაცვლება და განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უცხოეთიდან სხვადასხვა დარგის მეცნიერების სურვილი ჩვენი ჟურნალის რედკოლეგიაში თანამშრომლობაზე.

1995 წლიდან მოყოლებული 2020 წლის ჩათვლით გამოცემულია საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო – პრაქტიკული ჟურნალ "მოამბი"-ს 37 ტომი, რომელიც დადგენილი გრაფიკის მიხედვით განაგრძობს გამოსვლას წელიწადში 4 ტომად. ჟურნალში სტატიები ქვეყნდება რამოდენიმე უცხოურ ენაზე.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 46,2016 წლის 10 მარტს, საავტორო უფლებით პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, რათა მათ განათავსონ ჟურნალის ელექტრონული მასალა ციფრული ბიბლიოთეკის "ივერიელი"-ს კოლექციაში ყოველი ნომრის გამოცემისთანავე რომელიც ვრცელდება ევროპის სამეცნიერო

ბიბლიოთეკებში და დაცულია ავტორთა უფლებები.

ჟურნალის აღიარების ერთი კიდევ ძლიერი პოზიცია მდგომარეობს იმაში რომ სამეცნიერო ჟურნალი “მოამბე” შესულია სადოქტორო დისერტაციებისადმი წაყენებულ მოთხოვნათა შესაბამისი სამეცნიერო ჟურნალების ნუსხაში.

სარედაქციო კოლეგია განაგრძობს აქტიურ მუშაობას სამეცნიერო ჟურნალის სტატუსის ამაღლებაზე და მის შინაარსობრივად დახვეწაზე, რაც დაგვეთანხმებით ყოველდღიური მუშაობის თანმდევი პროცესია-მუშაობა გრძელდება...


სარედაქციო კოლეგიის სახელით
**საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი და ჟურნალ „მოამბის“ მთავარი რედაქტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე**
**თეიმურაზ ბაბუნაშვილი**

## STABLISHMENT AND OPERATION OF INTERNATIONAL PEER-REVIEWED SCIENTIFIC JOURNAL MOAMBE FOR 25 YEARS

The Moambe Scientific Journal of the Georgian Academy of Business Sciences was founded in 1995 along with the Academy and began a very interesting and meaningful activity. Editor-in-chief of the journal from the first day of its existence to the end of its life was a prominent scientist and public figure, Doctor of Economics, professor, honored scientist, member of the Writers' Union of Georgia, writer and publicist academician Alexander Kuchukhidze.

According to the charter, periodical journal articles are disseminated in various scientific and educational institutions, and members of the editorial board are well-known scientists and public figures.

The Journal and the Academy work together in one area, and this contributes to the promotion of the journal in the scientific community.

Particularly noteworthy is the role of the journal Moambe in covering the proceedings of the 2003 International Conference on Globalization Problems at the Georgian Academy of Business Sciences, attended by scholars from various countries. The interest was so great that additional printing was needed.

On December 8, 2011, the scientific journal Moambe gained a new life. Based on the ISSN Number Award Agreement, it has become an international peer-reviewed scientific publication. It has been assigned the registry by ISSN-2233-3606, barcode - 977223336008. Also, on February 14, 2018, the letter # 0/42 of the Director of the Library Resources Department of the National Parliamentary Library of Georgia, Mr. Levan Taktakishvili, reaffirmed the international status of the journal.

In recent years, members of the journal's editorial board have been replaced by excluded members, and there is a need to emphasize the willingness of scientists from different fields to collaborate in our journal.

Since 1995 until 2020, the 37 th issue of the International Bulletin of the Georgian Academy of Business Sciences has been published, which continues to be published 4 times at year according to the established schedule. Journal articles are published in several foreign languages.

On March 10, 2016, the editorial board of the journal signed a copyright agreement with the National Library of Parliament, N46, to place them in the Iveriel digital library collection of electronic journal materials. Each issue is disseminated in the European Scientific Libraries upon publication, with copyright.

Another strong position of journal recognition is that it is included in the list of scientific journals relevant to the requirements of the doctoral dissertation.

The editorial board continues its active work on raising the status of the scientific journal and its content refinement, which, we agree, is an ongoing process of daily work ...

**On behalf of the editorial board,**
**Chief Editor,**
**Chairman of the Editorial Board,**
**Professor Teimuraz Babunashvili**

## აკადემიის პრეზიდენტის მილოცვა

**ძვირფასო მეგობრებო,**

მაქვს პატივი გულითადად მოგილოცოთ აკადემიის წევრებს, წევრ-კორესპონდენტებს, პარტნიორებს, გულშემატკივრებს და ყველას მათ ვისაც ახარებს ჩვენი აკადემიის ღირსეული სვლა მეოთხედი საუკუნის მანძილზე აკადემიის დაარსების 25 წლის საიუბილეო თარიღი და ვისურვო რომ კიდევ დიდხანს თქვენთან ერთად გვეკეთებინოს ბევრი კეთილი საქმე.

დამეთანხმებით 25 წელი არ არის მცირე დრო იმ პერიპეტიების გავლაში, რომელშიც ჩვენს აკადემიას მოუწია, მიუხედავად მრავალი ხელისშემშლელი პირობებისა დღიდან დაარსებისა აკადემია ღირსეულად განაგრძობს თავის მუშაობას და მიზანმიმართულად მიყვება თავის არჩეულ გზას.

სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ამ წლების განმავლობაში აკადემიის შემადგენლობა ყოველთვის ღირსეული წევრებით იზრდებოდა და დღეისათვის აკადემიაში არჩეული ბრძანდებიან როგორც ქართველი, ასევე უცხოელი თვალსაჩინო მეცნიერები და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები.

აკადემია აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებთან, რაც გამოიხატება აზერბაიჯანის, უკრაინის, ჩეხეთის, ბელორუსიის, ესტონეთის, რუსეთის, სომხეთის, ავსტრიის წარმომადგენლებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერით, ასევე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებთან ანალოგიური თანამშრომლობის ფორმით.

ჩვენი აკადემიის წევრები სისტემატიურად მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, გამოდიან მოხსენებით, უცხოელ კოლეგებთან ერთად გამოსცემენ მონოგრაფიებს, არჩეულნი არიან უცხოეთის სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიებში, ასევე აღსანიშნავია ჩვენი აკადემიითა და ჟურნალით უცხოელი მეცნიერების დაინტერესება, ისინი ხშირად სტუმრობენ აკადემიას და ბევრი მათგანი მოხსენებით გამოვიდა აკადემიის სხდომაზე, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში, ისინი დიდ პოპულარიზაციას უწევენ აკადემიას და ჟურნალს თავიანთ ქვეყნებში და კოლეგებში ამიტომაც არის, რომ აკადემიის წევრებს ხშირად გვიწვევენ სხვადასხვა კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე საორგანიზაციო კომიტეტებში, დარგობრივი კომისიების შემადგენლობაში, ეს დამეთანხმებით ჩვენი აკადემიის დიდი აღიარება და ავტორიტეტია.

ძვირფასო მეგობრებო, აკადემია მაქსიმალურად ცდილობს შექმნას ახალი ინოვაციები ახალგაზრდა მეცნიერებთან მუშაობის კუთხით, ერთ-ერთ ასეთ ფორმად უკვე ოთხი წელია ამუშავდა პროგრამა “ახალგაზრდა მეცნიერთა დღის” დაწესება აკადემიაში, რომელმაც საკმაოდ დიდი რეზონანსი გამოიწვია და სასიხარულოა ის ფაქტი, რომ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების მაგისტრები და დოქტორანტები აქტიურად ჩაერთვნენ ამ პროცესში და ისინი საკმაოდ მაღალი დონის მოხსენებებით გამოდიან აკადემიის სხდომებზე რომელთა განხილვა და რეკომენდაციები მაღალ შედეგებზეა გათვლილი, მითუმეტეს მაშინ როცა საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი “მოამბე” შეტანილია სადოქტორო დისერტაციებისადმი წაყენებულ მოთხოვნათა სამეცნიერო ჟურნალების ნუსხაში.

მინდა დიდი მადლობა გადაუხადო ყველა ქართველ და უცხოელ მომხსენებელს, რომლებიც ამ 25 წლის მანძილზე გამოვიდნენ სხვადასხვა თემებზე მოხსენებებით აკა-

ადემიის სხდომებზე, ეს არის 310 მომხსენებელი, მადლობა მათ თანამშრომლობისათვის.

ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მინდა მოვიგონო და თქვენთან ერთად პატივი მივაგო ყველა იმ აკადემიისა და რედკოლეგიის წევრებს, რომლებიც წლების განმავლობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი აკადემიისა და ჟურნალის მუშაობაში და დღეს ჩვენთან ერთად არ არიან, უპირველეს ყოვლისა იმ დიდ პიროვნებასთან ერთად, რომელმაც შექმნა და დააფუძნა აკადემია, სული შთაბერა იმ დიდ წამოწყებას, რომლითაც შეიქმნა საზოგადოებრივი აკადემიები და ეს ბობოქარი პიროვნება ჩუმად განერიდა ამ წუთისოფელს, მაგრამ დატოვა დიდი საქმე – ნათელში ბრძანდებოდეთ ბატონო ალექსანდრე თქვენს კოლეგებთან ერთად.

ცხოვრება გრძელდება, აკადემია აქტიურ ცხოვრებას განაგრძობს, ჩვეული შემართებით გრძელდება ტრადიცია და დიდი სურვილია, რომ შემდგომი წლები თქვენთან ერთად ძვირფასო მეგობრებო უფრო წარმატებული, საქმიანი და მშვიდობიანი ყოფილიყოს და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიას ღირსეულად ეთქვას თავისი სათქმელი ქვეყნის აღმშენებლობისა და გაძლიერების საქმეში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ აკადემიის დაარსების 25 წლის საიუბილეო თარიღს.

ულრმესი პატივისცემითა და კეთილი სურვილებით.

**თეიმურაზ ბაბუნაშვილი**

**აკადემიის პრეზიდენტი და ჟურნალ “მოამბი”-ს**
**მთავარი რედაქტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი**
**პროფესორი, ორი ღირსების ორდერის კავალერი,**
**ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე**

## CONGRATULATIONS TO THE PRESIDENT OF THE ACADEMY

Dear friends!

I have the honor to congratulate Academy members, members, correspondents, partners, fans and everyone who has been honoring our Academy for over a quarter of a century, celebrating the 25th anniversary of the Academy and wishing us all a lot of good work together!

Agree with me, 25 years is no small amount of time to go through the peripheries that our academy has achieved. In spite of many obstacles, since its inception the Academy has continued its work with dignity and deliberately pursues its chosen path.

It is my pleasure to note that during these years the Academy has always been growing with decent members and today Georgian and foreign prominent academics and business sector representatives have been elected as its members.

The Academy actively cooperates with scientific and educational institutions of Georgia and different countries of the world, which is expressed by the Memorandums of Understanding with the representatives of Azerbaijan, Ukraine, Czech Republic, Belarus, Estonia, Russia, Armenia, Austria and higher education institutions.

Members of our Academy regularly participate in local and international conferences, report on academic sessions, publish monographs with foreign colleagues, and are elected to the journals of foreign scientific journals.

It is also worth noting the interest of foreign scholars in our academy and journals, who often visit the academy, and many of them report on the academy meeting, which is of great interest to the attending public. Foreign members are widely promoting the Academy and its journal in their home countries and in the international circle of colleagues. That is why members of the Academy are often invited to various conferences and symposiums on steering committees and sector committees. I agree, this is a great recognition and authority of our Academy.

Dear friends!

The Academy has been trying its best to use innovative approaches in working with young scientists, one of which has been a program of the Young Scientists' Day for the past four years, which has generated quite a resonance. It is a great pleasure that the masters and PhD students of different higher education institutions are actively involved in this process and deliver high level reports at the Academy sessions. Review of future colleagues' reports by academics and their recommendations are highly rewarding, especially given the fact that the Moambe International Journal of Peer-Reviewed Scientific Journal of the Georgian Academy of Business has a scientific degree in line with the requirements of doctoral dissertations. In the list of runes.

I would like to thank all the Georgian and foreign speakers who have made reports during these 25 years at the Academy sessions, their number being 310 today. Thanks for their cooperation!

On this anniversary, I would like to commend and pay tribute to you all those members of the Academy and Radiology who have been actively involved in the work of the Academy and the Journal for years and are no longer with us today. First of all, this is the founder of the Academy, Mr. Al. Kuchukhidze. Be clear, Mr. Alexander, with your colleagues!

Life goes on, the Academy will continue to work actively, the usual enthusiasm for continuing the remarkable tradition and a great desire to be with you through the years, dear friends, more prosperous, and peaceful been business, the business of the Academy of Sciences will be allowed to say their country's rebuilding and strengthening in!

With the utmost respect and kindness,

**Teimuraz Babunashvili,**
President of the Academy, Editor-in-Chief of Moambe journal,
Doctor of Economics, Professor,
Double Knight of the Order of Honor,
Honorable citizen of Tbilisi

# საქართველოს სოფლის მეურნეობის პრობლემები და მისი გადაჭრის გზები

**ირაკლი მიქაძე-**
გეოლოგია–მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის,
საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის,
საქართველოს ტექნოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

მიუხედავად, იმისა, რომ საქართველო მდებარეობს საუკეთესო კლიმატურ ზონაში, გააჩნია ნაყოფიერი მიწის სავარგულები, საკმარისზე მეტი წყლის რესურსები და გამოცდილი მიწათმოქმდთა კლასი, დღეისდღეობით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მხრივ, წარმატებებით ვერ დაიკვეხნის: სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის იმპორტი ბევრად აღემატება ექსპორტს და მათზე განუხრელად იზრდება ფასები.

სოფლის მეურნეობის განვითარების წარმატების მიღწევისათვის აუცილებელია რამდენიმე პირობა: 1. კლიმატი; 2. ნაყოფიერი ნიადაგი; 3. წყლის რესურსები; 4. გლეხთა კლასი, რომელსაც აქვს მიწათმოქმედაბაში ისტორიული ცოდნა და გამოცდილება და 5. ხელისუფლების მხრიდან თანამედროვე დონის მენეჯმენტი.

1. საქართველოს ტერიტორია არ არის დიდი, მაგრამ მისი უმეტესი ნაწილი მდებარეობს სუბტროპიკული კლიმატის სხვადასხვა ზონებში, დაწყებული ტენიანიდან, ზომიერ და მშრალი სუბტროპიკულის ჩათვლით, ასევე, მცირე რაოდენობით, კონტინენტალური ნოტიოდან, მშრალ ჰავამდე (ივრის ზეგანი, მესხეთის ქვაბული, თრიალეთის ქედი და ჯავახეთის მთიანეთი). ამის გამო, „საქართველოს გლეხთა კლასს“ აქვს საშუალება მოიყვანოს მოსავლის ფართო სპექტრი, დაწყებული ციტრუსებით, ხეხილით, ბოსტნეულით და დამთავრებული მარცვლოვანი კულტურებით, ასევე, განავითაროს მეცხოველეობის სხვადასხვა მიმართულებები. ალბათ დამეთანხმებით, რომ ამგვარი მრავალფეროვნება არ გააჩნიათ სხვა, თუნდაც ჩვენს მეზობელ, თუ მოშორებით მყოფ ქვეყნებს.

2. საქართველოში, ნიადაგების ზონალობის მხრივ საუკეთესო პირობებია როგორც ჰორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურად. ყველაზე ნაყოფიერი - შავმიწა ნიადაგებია. მეცნიერები შავმიწა ნიადაგს «შავ ოქროსაც» უწოდებენ. საქართველოში არის შავმიწა ნიადაგები, მხოლოდ მის აღმოსავლეთ ნაწილში. არსებობს ბარის შავმიწა და მთის შავმიწა ნიადაგები. ბარის შავმიწა ნიადაგები ივრის ზეგნის ზედა ნაწილში, კახეთის ტერიტორიაზეა, განსაკუთრებით - დედოფლისწყაროს რაიონში, ასევე, სიღნაღისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში. ეს მიწები ყველაზე გამორჩეული და ნაყოფიერია. მთის შავმიწა ნიადაგები ახალქალაქისა და წალკის პლატოებზეა, ასეთივე ნიადაგებია შიდა ქართლსა და ახალციხის ქვაბულში. შავმიწა ნიადაგების გარდა, აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ზონაში არის ყავისფერი, რუხი-ყავისფერი და ღია ყავისფერი ნიადაგები. თბილისის მიდამოებში, ძირითადად, ყავისფერი ნიადაგები გვხვდება. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ ძირითად გავრცელებულია ეწერი, ყვითელმიწა და წითელმიწა ნიადაგები. ამგვარი მრავალფეროვნება არ გააჩნიათ სხვა, თუნდაც ჩვენ მეზობელ, თუ მოშორებით მყოფ ქვეყნებს.

3. გასული საუკუნის ბოლოს, გაეროს ანგარიშში აღნიშნულია: 1) XXI საუკუნე იქნება ხორბლისა და წყლის დეფიციტის საუკუნე; 2) მსოფლიოში 2,1 მილიარდი ადამიანი სასმელად და სარწყავად ვარგისი წყლის გარეშე ცხოვრობს; 3) მსოფლიოს მოსახლეობა ყოველწლიურად 80 მლნ ადამიანით იზრდება. ბუნებრივია, ეს წყალზე მოთხოვ-

ნილებასაც ზრდის; მოთხოვნილება წყლის რესურსების მატებაზე შეადგენს 64 მლრდ კუბ.მეტრს წელიწადში. 4) თანამედროვე საზოგადოების განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული წყლის რესურსებსა და ხარისხზე; წყალი ადამიანებს ეხმარება ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, მოსავლიანობის გაზრდაში, ხოლო ეკოლოგიურად სუფთა სასმელი წყლის შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა მისი ერთ–ერთი ძირითადი უფლებაა.

საქართველო წყლის რესურსებით ერთ–ერთი უმდიდრესი ქვეყანაა მსოფლიოში. ჩვენს ტერიტორიაზე 26060 მდინარეა, რომელთა საერთო სიგრძე 60 ათასი კმ–ია. მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი რესურსი შეადგენს 620 კუბ. მეტრს წამში ან 53,5 მლნ კუბ.მეტრს დღე–ღამეში, ხოლო საექს¬პლუატაციოდ დასაშვები მარაგები – 26 მლნ კუბ.მეტრს დღე–ღამეში, რაც 26 მლრდ ლიტრი მაღალხარისხიანი სასმელი წყლის დამტკიცებული სახელმწიფო მარაგია და იგი 301 კუბ.მეტრი/წამში მიწისქვეშა სასმელი წყლის რესურსული პოტენციალის ექვივალენტია. გარდა რესურსების სიუხვისა, ჩვენი ჰიდროსფერო გამოირჩევა უნიკალურობით, რომელიც მდგომარეობს მისი შედგენილობის ხარისხობრივ მაჩვენებლებში და ეკოლოგიურ სისუფთავეში, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია, მსოფლიოში მიმდინარე, ტექნოგენული დაბინძურებისა და „გლობალური დათბობის“ ფონზე. გარდა სასმელი დანიშნულების წყლებისა, მიწის სავარგულების მორწყვა, აუცილებელია მოსავლიანობის გაზრდისათვის არა მარტო მშრალ და ზომიერ სუბტროპიკულ, არამედ ტენიან სუბტროპიკულ და კონტინენტალური ჰავის პირობებშიც. რა საშუალებებით ირწყვება ჩვენი ქვეყნის მიწის სავარგულები?

1. **ალაზნის ველი.** მდ. ალაზნის მარჯვენა მხარეზე, 199 კმ სიგრძის მაგისტრალური არხი, აგებული იქნა ჯერ კიდევ XII საუკუნეში, მის საშუალებით ირწყვებოდა 53 ათასი ჰექტარი მიწა. საუკუნეების განმავლობაში, არხი არაერთხელ დანგრეულა და ისევ აღუდგენიათ. დღეს, ალაზნის ველი ირწყვება, 91 კმ სიგრძისა და 24 კუბ.მ/წმ დებიტის მაგისტრალური არხებით, რომლის სარწყავი ფართობი შეადგენს 67 ათას ჰა-მდე. 1933 წელს აშენდა თანამედროვე საინჟინრო ნაგებობა - ალაზნის მაგისტრალური სარწყავი არხი (ხარჯი 18 მ$^3$/წმ), რომლის საშუალებით ირწყვება ¬თელავის, გურჯაანის, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების 35 ათასი ჰა. 1964–1966 წლებში აშენდა ზემოალაზნის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობა ახმეტის მუნიციპალიტეტში. ქვემოალაზნის სარწყავი სისტემის სიგრძე 92 კმ და კახეთის რეგიონის 4 მუნიციპალიტეტის 20–ზე მეტი სოფლის დაახლოებით, 8000 ჰა სასოფლო–სამეურნეო მიწის სავარგულებს ამარაგებს სარწყავი წყლით. მორწყვა აუცილებელია ნორმების დაცვით; არაკონტროლირებადი და უსისტემო მორწყვის შედეგად, სოფლების: კარდანახის, ვეჯინისა და ბაკურციხის სასოფლო–სამეურნეო ნაკვეთების ფარგლებში მოხდა გრუნტის წყლის დონეების აწევა და მიწების დაჭაო-ბება, სადაც იძულებული გახდნენ გაეტარებიათ მელიორაციული, დასაშრობი ღონისძიებები.

2. **ქართლის დაბლობზე**, სარწყავი მასივების ფართობი შეადგენდა 110,5 ათას ჰა-ს. მისი დასავლეთი ნაწილის მასივებია: 2.1. სალთვისის მასივი (16,3 ათ. ჰა) და მომიჯნავე, კეხვის მასივი (3,9 ათ. ჰა), მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზე ირწყვება სალთვისის არხით (სიგრძე - 10,4 კმ, ხარჯი - 9,25 კუბ.მ/წმ). 2.2. ტირიფონის ველი (29 ათ. ჰა) ირწყვება – სკრა-ქარელის, სალთვისისა და ტირიფონის არხებით: ა) დოღლაურას ველი (მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე (13,1 ჰა) – 45 კმ სიგრძისა და 12 კუბ.მ/წმ ტაშისკარის არხით; ბ) ვანათის მასივი (3,3 ათ. ჰა) – პატარა ლიახვის წყლებით; სკრა-ქარელის მასივის სარწყავი არხი მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, არხის სიგრძე - 30 კმ, ხარჯი - 2,2 კუბ.მ/წმ. 2.3. მუხრანის დაბლობზე 2 მასივია: ა) თეზი-ოკამის (6,4 ათ. ჰა), არხის სიგრძე - 34 კმ, ხარჯი - 6 კუბ.მ/წმ) და ბ) მუხრანის (10,9 ათ. ჰა, არხის სიგრძე 24,7 კმ, ხარჯი - 6 კუბ.მ/წმ). 2.4. ქ. თბილისიდან აღმოსავლეთით, მდ. მტკვრისა

და იორის შუამდინარეთში, ფუნქციონირებს სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხი, რომელიც მარაგდება მდ. იორიდან და რომელიც რეგულირდება სიონისა და თბილისის ზღვის საშუალებით. არხის სიგრძეა - 42,39 კმ, სარწყავი ქსელის ჯამური სიგრძე – 312,6 კმ, მაქსიმალური გამტრუნარიანობა - 13 $მ^3$/წმ. არხი ექსპლუატაციაშია 1952 წლიდან. მის საშუალებით ირწყვება 29,2 ათასი ჰა ფართობი, ძირითადად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის, აგრეთვე, თბილისის საგარეუბნეო სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები. უსისტემო მორწყვის შედეგად, ნავთლუღში, ორხევში და ქ. რუსთავში გრუნტის წყლების დონე 10 მეტრიდან 1-2 მეტრამდე ამოიწია და მოხდა გრუნტების დამარილიანება, ამის გამო, გაყვანილ იქნა სადრენაჟო ქსელი. 2.5. სოღანლუღის მასივი (5,2 ათ. ჰა) ირწყვება მდ. მტკვრის წყლებით, აღსანიშნავია, თელეთის სარწყავი სისტემა, რომლის საშუალებით, სოღანლუღის გარდა ირწყვება კუმისის ტბის მიმდებარე ტერიტორიებიც. 2.6. გარდაბნის მასივი (17,6 ათ. ჰა) ირწყვება მდ. მტკვრიდან, 19 კმ-ის სიგრძისა და 14 კუბ.მ/წმ-ში ხარჯის მაგისტრალური არხით. 2.7. შიდა ქართლის ტერიტორიის რუსეთის მხრიდან ოკუპაციის გამო, საგანგაშო სიტუაცია შეიქნა სადემარკაციო ხაზის გასწვრივ არსებულ სოფლებში, რომლებიც განიცდიან სასმელი და სარწყავი წყლების დეფიციტს. შექმნილი მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, ხაშურის, ქარელის, გორის და მცხეთის მუნიციპალიტეტებში, მიმდინარეობს ჭაბურღილების ბურღვის სამუშაოები. მიწისქვეშა წყლების მიღების მიზნით, ჰიდროგეოლოგიური დასკვნების, პროექტების შედგენისა და ბურღვით სამუშაოებში აქტიურადაა ჩაბმული, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის თაოსნობით და პროფესორ ირაკლი მიქაძის პროექტებითა და უშუალო მონაწილეობით გაიბურღა 40-ზე მეტი ჭაბურღილი და ყველა მათგანში მიღებულ იქნა საუკეთესო სასმელი და სარწყავი წყლები. ეს „საზღვრისპირა“ სოფლებია: ატოცი, დიცი, ფლავი, ფლავისმანი, ფხვენისი, კნოვლევი, მერეთი, ზარდიანთკარი, კოშკა, მეღვრიკისი, ქორდი, ქვემო და ზემო სობისი, ქვეში, წაღვლი, წითელუბანი, ხურვალეთი, ნაწრეტი, შავშვები, არ¬ბო, ახალუბანი, ბერშუეთი, დიდი და პატარა მეჯვრისხევი, ერგნეთი, კარბი, აღაიანი, კოდისწყარო, საკორინთო, ყარაფილა, კოდა, აბანო, საციხური, ქერე, ბოჟამი, ხვითი და ა.შ.

3. **კოლხეთის დაბლობი.** მიუხედავად იმისა, რომ კოლხეთის დაბლობი მდებარეობს ტენიან სუბტროპიკული ჰავის ზონაში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მორწ¬ყვა აუცილებელია ივლის-აგვისტოს თვეებში. სარწყავი მასივები მდებარეობს კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილებში:

3.1. აჯამეთი-ულევულა-ხოხოულას მასივი (4,7 ათასი ჰა) - მდ. ყვირილას ხეობაში; მდ. ყვირილას მარცხენა ნაპირის არხით (30 კმ, 2,8 კუბ.მ/წმ) ირწყვება მდინარის მეორე ტერასა. 3.2. მაშველის სარწყავი სისტემის საშუალებით (18 ათ. ჰა), სიგრძე - 19 კმ-დე, ხარჯი - 12 კუბ.მ/წმ, ირწყვება სოფ. მუხიანის, შუა მაღლაკის, მიწაწითელის, მესხეთის, ქვიტირისა და ქუთაისის მიმდებარე ტერიტორიები. სოფ. ფარცხანაყანებსა და მაღლაკში მდებარეობს წყალამღებები ქ. ქუთაისის, ხოლო სოფ. მიწაწითელში - ქ. წყალტუბოს წყალმომარაგების მიზნით. 3.3. ჩაის პლანტაციები ირწყვებოდა ზუგდიდის, სენაკის, ოჩამჩირის, სამტრედიის, ხონის, ოზურგეთის რაიონებში.

შვეიცარიელმა პროფესორმა, ე. ლაპიდემ, ციურიხში წაიკითხა ლექცია, სახელწოდებით „ოთხი სასწაული ისრაელში“, რომლის ერთ-ერთი სასწაულია ის ფაქტი, რომ ისრაელი, რომელიც მდებარეობს არახელსაყრელი კლიმატის, ნიადაგისა და წყლის მეურნეობის დეფიციტის ზონაში და სრულად ყიდულობს, როგორც სასმელ, ასევე, ტექნიკური დანიშნულების წყალს, სოფლის მეურნეობის პროდუქციით აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას და ნამეტი პროდუქცია გააქვს ექსპორტზე.

როგორ შესძლო ეს ისრაელმა, რომლის მოსახლეობა ფლობდა ყველანაირ სპეციალობას გლეხების კლასის გარდა?

ხელისუფლებაში მყოფმა პირველმა სიონისტებმა, მოუწოდეს მოსახლეობას და მიუხედავად მიწის სიმცირისა და დიდი ფასის, ფინანსურად და ადმინისტრაციულად შეუწყვეს ხელი, ეწარმოებიათ სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ამჟამად, ისრაელში მილიონი მიწათმოქმედი გლეხია, რომელთა წინაპრებს არ ჰქონიათ შეხება მიწათმოქმედებასთან და მეცხოველეობასთან. ისრაელის გლეხები სხვა ქვეყნის გლეხებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ აქვთ უმაღლესი განათლება. სოფლად არის კარგად აღჭურვილი ბიბლიოთეკები და მუზეუმებიც კი. სწორედ ამ კლასიდან გამოდიან გამოჩენილი მწერლები და კულტურის მუშაკები. დღეს, ისრაელის სოფლის მეურნეობა მსოფლიო სტანდარტებით მოწინავეა და არა მარტო უზრუნველყოფილია საკვები პროდუქტებით, არამედ გააქვს იგი ექსპორტზე; ისრაელის მოქალაქეები ისევ გახდნენ მიწათმოქმედნი და მესაქონლეები, როგორც ძველ ებრაულ დროში.

საქართველო იმყოფება კარგ კლიმატურ პირობებში, გააჩნია ნაყოფიერი ნიადაგისა და წყლის მდიდარი რესურსები, ჩვენს ქვეყანას უწოდებენ ჯორჯიას, ანუ მიწათმოქმედთა ქვეყანას, რომელსაც ჰყავს გამოცდილი გლეხთა კლასი. ისმის კითხვა, ამგვარ ქვეყანაში, რატომ არ ვითარდება სოფლის მეურნეობა, რატომ ვართ დამოკიდებული იმპორტზე? უფრო მეტიც, თითქმის განადგურებულია ჩაის კულტურის წარმოება საქართველოში, იყო დრო, როდესაც ვფლობდით ყოფილი სსრკ–ს ბაზრის 100%–ს, რომელიც ჩვენი უნიათობით, დღეს დაიკავა აზერჩაიმ და სხვა ქვეყნების ფირმებმა, არ არის სრულად ათვისებული მარცვლოვანი კულტურების (უპირველეს ყოვლისა, ხორბლის) წარმოება, რომელსაც ვიძენთ ჩვენს მიმართ დღეს მტრულად განწყობილი ქვეყნიდან – რუსეთისაგან.

მიზეზი მეხუთე პოზიციაშია - არასწორი მენეჯმენტი, მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის უგულვებელყოფა და გლეხთა კლასის დაუინტერესებლობა, რის გამოც, ჩვენი გლეხების დიდი ნაწილი იძულებულია წავიდეს სხვა ქვეყნებში, იმუშაოს მონურ პირობებში თხილის, ჩაის პლანტაციებში, მეცხოველეობის ფერმებში და ამგვარად შეინახოს ოჯახი.

მაგალითად, არ არის გადაწყვეტილი, თუნდაც ადვილად მოსაგვარებელი საკითხი: ქვეყანაში არ ვითარდება სამაცივრო ტექნოლოგიები, რის გამოც, გლეხი ვერ ახერხებს მოსავლის დაბინავებას, ხშირია ყურძნის, ხილის, ციტრუსისა და სხვა მალფუჭებადი მოსავლის დაბალ ფასებში ჩაბარება ან ლიკვიდაცია, რის გამოც, მწარმოებელი გლეხი განიცდის მორალურ რეგრესს.

**ისმის კითხვა:** რატომ არ გადმოგვაქვს მათი გამოცდილება? ჩვენს ეპოქაში აუცილებელია მოწინავე ქვეყნების გამოცდილება, თუ როგორ ახერხებენ ეს ქვეყნები არასასურველ კლიმატურ პირობებში იყვნენ მოწინავე პოზიციებზე და არა მარტო აკმაყოფილებდნენ თავიანთი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებას სასოფლო–სამეურნეო პროდუქციაზე, არამედ, იყვნენ ამ პროდუქციის ექსპორტიორები.

## ანოტაცია

საქართველოში, ნიადაგების შემადგენლობისა და წყლის რესურსების მხრივ ერთ–ერთი უმდიდრესი ქვეყანაა მსოფლიოში. საქართველოში 26060 მდინარეა, რომლებიც გამოყენებულია მიწის სავარგულების მოსარწყავად. „საქართველოს გლეხთა კლასს“ აქვს საშუალება მოიყვანოს მოსავლის ფართო სპექტრი: ციტრუსები, ხეხილი, ბოსტნეული და მარცვლოვანი კულტურები, ასევე, განავითაროს მეცხოველეობის სხვადასხვა მიმართულებები. მიუხედავად ამისა, არასწორი მენეჯმენტის გამო, სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის იმპორტი ზევრად აღემატება ექსპორტს. აუცილებელია მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გადაღება, თუ როგორ ახერხებენ ეს ქვეყნები არასასურველ კლიმატურ პირობებში იყვნენ მოწინავე პოზიციებზე.

## ANNOTATION

Georgia is one of the richest countries in the world in terms of soil composition and water resources. There are 26060 rivers in Georgia used for irrigation of land. The Georgian Peasants› Class has the opportunity to grow a wide range of crops: citrus, fruit, vegetable and cereal crops, to develop different livestock directions. However, due to mismanagement, imports of agricultural products far outnumber exports. It is necessary to capture the experience of advanced countries on how these countries are in advanced positions in adverse climates.

# ინსტიტუტი: ტერმინის განუსაზღვრელობის გენეზისი (ნაწილი III: ბავშვობა: ძველი ინსტიტუციონალიზმი, 1920-1930 წლები)

**თამილა არნანია-კეპულაძე**
**ეკონომიკის დოქტორი, ფილოსოფიის დოქტორი ეკონომიკასა და მენეჯმენტში**
**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი**

(...) სიმართლე სახელწოდებების სწორ განლაგებაში მდგომარეობს,
ადამიანს, რომელიც ჭეშმარიტებას ეძებს,უნდა ახსოვდეს,
თუ რას ნიშნავს ყოველი სიტყვა, რომელსაც ის იყენებს
და გამოიყენოს ეს სიტყვა შესაბამისად
**Thomas Hobbes, 1651, The Leviathan**
**თომას ჰობსი, ლევიათანი, 1651**

ინსტიტუციონალიზმის, როგორც ეკონომიკური მეცნიერების განსაკუთრებული სკოლის, წარმოშობას საფუძვლად დაედო გერმანული ისტორიული სკოლის იდეების მნიშვნელოვანი ნაწილი, ინგლისელი ფაბიანელების შეხედულებები, ფრანგული სოციოლოგების მოსაზრებები და, გარკვეულ წილად, კარლ მარქსის მოძღვრება.

ინსტიტუციონალურ ეკონომიკურ თეორიაში გამოიყოფა განვითარების ოთხი ეტაპი:

**პირველი ეტაპი** - ადრეული ინსტიტუციონალიზმი, ან ძველი, ნეგატიური ინსტიტუციონალიზმი, რომელიც მოიცავს მე-20 საუკუნის 20-30-ან წლებს. **მეორე ეტაპი** – ინსტიტუციონალიზმის აღმავლობის პერიოდი ანუ ე.წ. განახლებული ინსტიტუციონალიზმი რომელიც მოიცავს პერიოდს მე-20 საუკუნის 40-ნი წლების მეორე ნახევრიდან 70-ანი წლების მეორე ნახევრამდე. **მესამე ეტაპი** – ნეოინსტიტუციონალიზმი. ეს ეტაპი გრძელდება მე-20 საუკუნის 70-ნი წლების მეორე ნახევრიდან 80-იან წლების ბოლომდე. **მეოთხე ეტაპი** – უახლესი ინსტიტუციონალიზმი იწყება მე-20 საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე და გრძელდება დღემდე.

სწორედ ამ ეტაპების მიხედვით გავაგრძელებთ (იხ.[1;2]) ცნება „ინსტიტუტის“ გაგების შესწავლას.

* * *

გერმანული ისტორიული სკოლის მსგავსად, ინსტიტუციონალური ეკონომიკა წარმოიშვა და განვითარდა, როგორც კლასიკური პოლიტიკური ეკონომიისა და ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის (ეკონომიკსის) ალტერნატივა. ინსტიტუციონალისტები შეეცადნენ კლასიკური პოლიტეკონომიის მიერ შემუშავებული მკაცრ ლოგიკურ სქემებსა და ფორმალურ მოდელებზე დაფუძნებული ეკონომიკური შეხედულებათა სისტემა შეეცვალათ ისეთი მიდგომით, რომელიც უკეთესად შეძლებდა რეალური ცხოვრების ყველა გამოვლენის უფრო სრულყოფილ შესწავლას და თავისი მეთოდოლოგიის საფუძვლად „ინსტიტუტების“ ცნება დააყენეს. ამგვარად დაიწყო ტერმინი „ინსტიტუტის“ გაგების, გააზრებისა და განსაზღვრის ახალი ეტაპი.

**ტორსტეინ ვებლენი**

პოლიტიკური ეკონომიის ინსტიტუციური სკოლის ფუძემდებელი და ინსტიტუციური ეკონომიკის ლიდერი **ტორსტეინ ვებლენი** (Torstein Veblen,1857–1929) მივიდა ინსტიტუტების იდეამდე კლასიკური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელთა „აზროვნების არქაიკული ჩვევის“ კრიტიკის მეშვეობით [17].

ტ.ვებლენის მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინეს ჯ.დევეის, ჰ.სპენსერის, ჩ.დარვინის, ლ.მორგანისა და კ.მარქსის შეხედულებებმა. ბრიტანელი ნატურალისტის ჩ.დარვინის (C. R. Darwin, 1809-1882) ევოლუციური თეორიის და ზოოლოგისტისა და ფსიქოლოგის კ.ლ.მორგანის (C. L. Morgan, 1852-1936) შეხედულებათა გავლენით, ტ.ვებლენმა შეაფასა მისი დროის ეკონომიკური მეცნიერება როგორც „დროს ჩამორჩენილი“ და შეეცადა ეკონომიკური თეორიის ევოლუციურ მეცნიერებად გარდაქმნა. ტ.ვებლენი ხედავდა უშუალო კავშირს ევოლუციური მეცნიერების, ევოლუციური ეკონომიკისა და ინსტიტუტებს შორის და განიხილავდა ინსტიტუტებს სოციალურ-ეკონომიკური ევოლუციის ობიექტის როლში [15].

ტ.ვებლენი 1898 წელს წერდა, რომ ევოლუციური ეკონომიკა უნდა იყოს „ეკონომიკური ინსტიტუტების კუმულაციური თანმიმდევრობის თეორია, რომელიც უნდა აისახოს ამ პროცესის ტერმინებში“ [17].

ტ.ვებლენის მიდგომა ინსტიტუტებისადმი არ არის ერთმნიშვნელოვანი. მაგრამ ის ერთი, რაც მისი შეხედულებით უდაო დადებითია - ეს არის ინსტიტუტების უნარი განიცადონ ევოლუციური გარდაქმნა ანუ ინსტიტუტების ცვლილებებისა და გაუმჯობესებისადმი მიდრეკილებაა. ტ.ვებლენი განიხილავდა ინსტიტუტების ევოლუციას, როგორც ძველი, გაცვეთილი ინსტიტუტების ახალი და პროგრესული ინსტიტუტებით შენაცვლების პროცესს [17; 18, გვ.9,49].

ტ,ვებლენი ამტკიცებდა, რომ ისტორიული განვითარების პროცესში ხდება ინსტიტუტების ცვლილება და ამ ცვლილების მეშვეობით ჩვევები და ცხოვრებისეული მოთხოვნები მნიშვნელოვნად იცვლებიან [18]. ვებლენისთვის ეკონომიკა - ეს ევოლუციური მეცნიერებაა, რომელშიც გენეტიკურად არის ჩართული „ინსტიტუტების პროგრესი“, ხოლო ინსტიტუტები - ევოლუციური ეკონომიკის განუყოფელი და დინამიურად განვითარებადი ნაწილია.

ინსტიტუტებში იგი ხედავადა „აზროვნების ჩვეულებრივ წესს, რომლის ხელმძღვანელობით ადამიანები ცხოვრობენ” [20, გვ.193]. მისთვის ყოველი ინსტიტუტი ჩვევისა და ადათ-წესის პროდუქტია, რომელიც ჩაშენებულია ინსტიტუტებში და სწორედ ჩვევა არის ინსტიტუტების ახსნის საკვანძო ტერმინი, რომ ერთხელ ჩამოყალიბებული ინსტიტუტები იჩენენ „ინერციას“ შემდგომი განვითარებისკენ და განსაზღვრავენ ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების შემდგომ სრულყოფას.

ვებლენისათვის, ისევე როგორც სხვა ინსტიტუციონალისტებისთვის, ინსტიტუტები წარმოადგენენ არა მხოლოდ ინდივიდუალურ ქმედებებზე გავრცელებულ შეზღუდვებს, არამედ მოცემულ მომენტში საზოგადოებაში მიღებული და გავრცელებული აზროვნებისა და ქცევის წესებს, სტიმულებზე რეაგირების ჩვეულებრივ გზებსა და ხერხებს, ეკონომიკური მექანიზმის სტრუქტურას [20]. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ინსტიტუტები ემსახურებიან ადამიანთა მჯობინებებისა და ფასეულობების ჩამოყალიბებას. სწორედ ასეთი გაგების საფუძველზე ვებლენმა განავითარა “დემონსტრაციული მოხმარების”, სამომხმარებლო ნორმებისა და სხვა პრობლემების ანალიზისადმი საკუთარი მიდგომები [19;20]. ამასთან, ვებლენი არ განიხილავდა ინსტიტუტებს, როგორც სოციალური სარგებლიანობის მომტან ფენომენს. პირიქით, მისი აზრით იმ დროისათვის არსებული ინსტიტუტები იცავენ ანგარებიან ინტერესებს და არ ემთხვევიან ახალ ტექნოლოგიურ შესაძლებლობებსა და არ პასუხობენ იმ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს, რომელთა წარმოშობას თვითონვე შეუწყვეს ხელი.

ტ.ვებლენს არ გააჩნია ნათელი წარმოდგენა ინსტიტუტების თაობაზე და განიხილავდა ინსტიტუტების განსხვავებულ სახეებს. კერძოდ, მის ყურადღების არეალში არის მოხვედრილი ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა სოციალური

და ეკონომიკური ინსტიტუტები [17; 20], ადამიანური ინსტიტუტები [19; 20; 22], სახელმწიფო ინსტიტუტები [18] და სხვ.

ტ.ვებლენისთვის ეკონომიკური ინსტიტუტები წარმოადგენენ ეკონომიკური ინტერესების გამოხატვის მოსახერხებელ ინსტრუმენტს. სწორედ ეკონომიკური ინტერესი, ვებლენის აზრით, წარმოადგენს ეკონომიკური ინსტიტუტების საფუძველს. მიუხედავად იმისა, რომ ვებლენი განსაზღვრავს ეკონომიკურ ინსტიტუტებს ძალზე ფართოდ, ყველა ამ განსაზღვრაში დომინირებს ინტერესის როლი, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანთა ცხოვრებისა და საზოგადოების კულტურული სტრუქტურის ყველა მხარეზე. ამგვარი შეხედულებიდან გამომდინარე ყველა ინსტიტუტი - ეს იქნება სოციალური, ადამიანური თუ სახელმწიფო ინსტიტუტები - შეიძლება იყოს განხილული, როგორც ეკონომიკური ინსტიტუტი [17; 20, გვ. 70, 342]. ამგვარად, მხოლოდ ეკონომიკური ინტერესი განიხილება ვებლენის მიერ, როგორც „ყველაზე უშუალო და თანმიმდევრული (კატეგორია[1]), რომელსაც გააჩნია ყველაზე მცირე შეზღუდვები ყველა ეკონომიკური ურთიერთობებისთვის“ [21; 22].

ტ. ვებლენმა ვერ შექმნა ერთიანი და სისტემატური წარმოდგენა ინსტიტუტებზე და მას არ დაუტოვებია ინსტიტუტების მეტ-ნაკლებად საფუძვლიანი და მისაღები განმარტება. ტ. ვებლენის შეხედულებები განიცდიან ევოლუციური თეორიის დიდ გავლენას და ამ გავლენით აიხსნება ის გარემოება, რომ ინსტიტუტები და მათი მოდიფიკაციის პროცესი წარმოადგენენ ვებლენისთვის ერთი მთლიანობის განუყოფელ ნაწილებს.

ამერიკელი ეკონომისტის, აკადემიკოსისა და ანთროპოლოგის ა.ლ.ჰარისის (Abram Lincoln Harris, 1899-1964) შეხედულებით, ტ.ვებლენის მიერ ინსტიტუტების ზედმეტად ფართო გაგება განსაზღვრის მიღმა ტოვებს ინსტიტუტების მნიშვნელოვან მახასიათებლებს [14]. ტ.ვებლენის ნაშრომის „რატომ ეკონომიკა არ არის ევოლუციური მეცნიერება“-ს (“Why is Economics Not an Evolutionary Science”) გამოქვეყნების დაახლოებით სამი ათეული წლის შემდეგ ა.ლ.ჰარისმა შეაფასა ვებლენის ინსტიტუციონალიზმი, როგორც „ეკონომიკური დეტერმინიზმის ექვივალენტი“ [14, გვ.725] და აღიარა, რომ ტ.ვებლენის მიერ ინსტიტუტების ამგვარი ფართო გაგების გამო მისი კვლევა მოიცავს ორგანიზაციების ყველა ასპექტს.

დაახლოებით ასი წლის შემდეგ კი, ანუ 1998 წელს, თანამედროვე კრიტიკული ინსტიტუციონალიზმის ლიდერი პროფესორი ჯ.მ.ჰოდგსონი (G.Hodgson) აღნიშნავდა, რომ სოციალურ-ეკონომიკური ევოლუცია ვებლენისთვის მოიცავდა ცალკეულ აგენტებს და, ასევე, ინსტიტუტებსა და სტრუქტურებს“[15, გვ.419].

მიუხედავად იმისა, რომ ტ.ვებლენმა ვერ ჩამოაყალიბა ინსტიტუტების რამდენადმე სრული და კონკრეტული გაგება, მან შეძლო შეექმნა ინსტიტუტების თეორიული და ფილოსოფიური პრინციპების ღრმა ხედვა, რაც საფუძვლად დაედო ინსტიტუციონალურ ეკონომიკურ თეორიას.

**ჯონ რ. კომონსი**

ე.წ. ძველი ინსტიტუციონალიზმის წარმომადგენელთა შორის **ჯონ რ. კომონსი** (John R. Commons, 1862–1945) აღიარებულია, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ინსტიტუციონალური ეკონომიკური თეორიის განვითარებაში [11, გვ.34].

ჯ.კომონსმა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 30-ან წლებში ხაზგასმით მიუთითებდა ინსტიტუციონალური ეკონომიკური თეორიის მთავარი კატეგორიის - ინსტიტუტებისა და ინსტიტუციონალური ეკონომიკის კვლევის საგნის განუსაზღვრელობის პრობლემაზე.

1931 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ინსტიტუციონალური ეკონომიკა“ და 1934 წელს გამოსულ იმავე სათაურის წიგნში, ჯ.კომონსმა განავითარა საკუთარი წარმოდგენა

1. ავტორი

ინსტიტუტებზე. თუ ტ.ვებლენისთის ინსტიტუტები წარმოადგენენ აზროვნების ფართოდ გავრცელებულ ჩვევას, ჯ.კომონსი განიხილავს ინსტიტუტებს უშუალო კავშირში კოლექტიურ და ინდივიდუალურ ქმედებებთან. მისთვის ინსტიტუტი არის კოლექტიური ქმედება, რომელიც მიმართულია ინდივიდუალურ ქმედებაზე კონტროლის ... განხორციელებაზე [4]. ამასთან, ჯ.კომონსი გამიჯნავს კოლექტიური ქმედებების ორ ზღვარს, სადაც ქვედა ზღვარი წარმოადგენს არაორგანიზებულ წესს, ხოლო ზედა ზღვარი წარმოდგენილია საწარმოს ორგანიზებულ საქმიანობით, რომელიც ხორციელდება ინდივიდუალურ ქმედებებზე კონტროლის საფუძველზე.

თავისი წინამორბედების მსგავსად, ჯონ რ. კომონსი განიხილავდა სხვადასხვა ტიპის ინსტიტუტს და აღიარებდა კორპორაციებსა და ინდუსტრიული ინსტიტუტების არსებობას. ის წერდა, რომ "ფოლადის ბევრმა კორპორაციამ და სხვა სამრეწველო ინსტიტუტებმა დაადგინეს კოლექტიური გარიგების სისტემების საკუთარი გეგმები" [9, გვ. 46]. ინსტიტუტებს შორის ჯონ რ. კომონსი აღნიშნავს ენას, წეს-ჩვეულებებს, კანონებსა და საკუთრების უფლებებს [8, გვ.98]. ისტორიული ინსტიტუტის სპეციფიკურ სახედ კომონსი განიხილავს კაპიტალს, რომელიც აერთიანებს საკუთრებას სოციალურ კაპიტალზე და კერძო კაპიტალზე [5, გვ.100].

ჯ.კომონსი მსჯელობს ინსტიტუტების „სულზე", რომელშიც გულისხმობს ინსტიტუტების ხასიათს და ბუნებას. ასე, თავისუფალი და დემოკრატიული ინსტიტუტების ბუნება დამოკიდებულია სიტყვის, პრესის, შეკრებებისა და გაერთიანებების თავისუფლებაზე და განაპირობებენ ადამიანთა საზოგადოების პროგრესსა და დემოკრატიას, ხოლო პოლიტიკური ინსტიტუტების ბუნება დაკავშირებულია არბიტრაჟთან და გაფიცვებთან [9, გვ.571, 575, 820], უსაფრთხოების მხარდაჭერასა და ღირსების უზრუნველყოფასთან [7, გვ. 166], მაშინ როცა ავტოკრატიული ინსტიტუტების ბუნებისათვის იმანენტურია საყოველთაო კონტროლი და ცივილიზაციისთვის საფრთხეს შექმნა. ამასთან დაკავშირებით კომონსი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ყველა ავტოკრატიული ინსტიტუტის დამხობას სრული თავისუფლებასა და სამართლიანობასთან მივყავართ [9, გვ.563]. კერძო საკუთრების ინსტიტუტის „სული" არ გულისხმობს შესაძლებლობების ან ფინანსური დამოუკიდებლობის თანასწორობის დამყარებას, არ ვარაუდობს უთანასწორობის დონის შემცირებას ან საზოგადოებრივი კეთილდღეობის დამკვიდრებას. ჯ.კომონსისთვის ნათელია, რომ კერძო საკუთრების ინსტიტუტის აუცილებელი შედეგი არის უთანასწორობა [9, გვ.646], რომ კერძო საკუთრების ინსტიტუტის მეშვეობით მთავრობა ანიჭებს გარკვეულ პრივილეგიებს ცალკეულ ინდივიდებს და ამით უქმნის მათ ხელოვნურ მონოპოლიურ შეღავათებს [5, გვ.15]. ურთიერთდახმარების ინსტიტუტები ხელს უწყობენ შეღავათების სისტემების ჩამოყალიბებას, ხოლო სოციალური და სამართლებრივი ინსტიტუტებს ქმნიან პირობებს ინდივიდებისა და კლასების კოოპერირებისათვის. რაც შეეხება წარმომადგენლობით ინსტიტუტებს, მათი ბუნება ვლინდება თანამედროვეობის მოთხოვნებისადმი მათ ადაპტირების უნარში [7, გვ.9, 165; 9, გვ.73].

ინსტიტუტების განსაკუთრებული და არაერთგვაროვანი ბუნების ანუ ინსტიტუტების „სულის" აღიარებით კომონსი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შესაძლებელია გავლენის მოხდენა ინსტიტუტების კონკრეტულ ნიშნებზე და, მაშასადამე, ინსტიტუტების ფორმირებაზე, რომ ადამიანის ცხოვრების გარკვეული ასპექტებისადმი დამოკიდებულების შეცვლა და საზოგადოების განვითარება იწვევს ინსტიტუტების ცვლილებებს. კომონსი აღიარებდა განსხვავებული სახის ინსტიტუტების არსებობას და მათ შორის უმთავრეს ინსტიტუტებად სახელმწიფოსა და ოჯახს თვლიდა. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიისა და მისი „ეკონომიკური ადამიანის" ("homo economicus" ) და laissez-faire პრინციპების კრიტიკის დროს ჯონ რ. კომონსი ინსტიტუციებში და, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოსა და ოჯახში,

ხედავდა "ერთადერთ საშუალებას, რომლთა მეშვეობით საზოგადოების ხისტი, დამაბრკოლებელი და ეგოისტური ინტერესების მქონე ელემენტები შეიძლება შესაბამისობაში იქნან მოყვანილი სოციალურ პროგრესთან" [6, გვ.22].

ჯონ რ. კომონსი აღიარებდა ინსტიტუტების ისტორიულ არსს და დროში მათი ცვალებადობის ორგვარ ხასიათს. სოციალური ევოლუცია და ფუნდამენტური ცვლილებები საზოგადოებაში იწვევს იმ „ინსტიტუტების დაშლასა და გაუქმებას, რომლებიც თავის დროზე იყვნენ მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევისათვის" [6, გვ.10].

1924 წელს ჯონ რ. კომონსმა განსაზღვრა ინსტიტუტები, როგორც წესები [10]. რამდენიმე წლით ადრე ანუ 1913 წელს ეს მოსაზრება გამოთქვა ამერიკელმა იურისტმა ვ.ნ.ჰოფილდმა (Hohfeld, 1879–1918) თავის წიგნში "ზოგიერთი ფუნდამენტური იურიდიული ცნებები" [23]. ასეთი მიდგომა ემყარება წარმოდგენას, რომ ინსტიტუტები და ადამიანები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობენ და ინსტიტუტები წარმოადგენენ თამაშის წესებს და არა კონკრეტულ მოთამაშეებს. ინსტიტუტების სწორედ ასეთ გაგებას ავითარებდა შემდგომში დუგლას ნორტი.

ამგვარად, ტ.ვებლენის შეხედულებებზე დაყრდნობით, ძველი ინსტიტუციონალიზმი განიხილავს ინსტიტუტებს, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფენომენს, რომელიც დინამიურად ვითარდება დროსა და სივრცეში და სოციალური, კულტურული, სამართლებრივი თუ სხვა ფაქტორების ზეგავლენით განიცდის ევოლუციურ ცვლილებებს, რაც, თავის მხრივ, ზემოქმედებს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა ასპექტზე.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. არნანია-კეპულაძე თ., 2017, ინსტიტუტი: ტერმინის განუსაზღვრელობის გენეზისი (ნაწილი I: წინაისტორია), საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, N27, გვ.23-32;.

2. არნანია-კეპულაძე თ., 2017, ინსტიტუტი: ტერმინის განუსაზღვრელობის გენეზისი (ნაწილი II: ჩვილობის პერიოდი: გერმანული ისტორიული სკოლა), საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, N28, გვ.72-78.

3. Arnania-Kepuladze T., Institutions: Uncertainty in Definition of the Term (a brief look at the history: 1890-1930), "Equilibrium", 2014 volume 9, issue 4. Pp.79–102. https://www.ceeol.com/search/article-detail?id=412695

4. Commons R.J., 1931, Institutional Economics. American Economic Review, N21.

5. Commons, R. J., 1893, The Distribution of Wealth. New York: Macmillan.

6. Commons, R. J., 1894, Social Reform and the Church. New York: Thomas Y.Crowell.

7. Commons, R. J., 1896, Proportional Representation. New York: Crowell.

8. Commons, R. J., 1907, Races and Immigrants in America. New York: Macmillan.

9. Commons, R. J., 1921, Trade Unionism and Labor Problems. Boston: Ginn and Co.

10. Commons R. J., 1924, Legal Foundations of Capitalism. New York: Macmillan.

11. Furubotn, E. G., Richter, R., 2007, Institutions and Economic Theory: The Contribution of the New Institutional Economics. Michigan.

12. Hamilton W.H., 1962, Why Is Institutional Economics Not Institutional? American Journal of Economics and Sociology, 21(3).

13. Hamilton W. H., 1919, The Institutional Approach to Economic Theory. American Economic Review, 9(1).

14. Harris A. L., 1932, Types of Institutionalism. Journal of Political Economy, 4(6).

15. Hodgson M. G., 1998, On the evolution of Thorstein Veblen's evolutionary economics. Cambridge Journal of Economics, 22..

16. Mitchell W., 1937, The Backward Art of Spending Money.

17. Veblen, T., 1898, Why is Economics Not an Evolutionary Science. Quarterly Journal of

Economics, 12.
18. Veblen, T., 1917, An Inquiry into the Nature of Peace and the Terms of its Perpetuation. New York: The Macmillan Company,
19. Veblen, T., 1904, The Theory of Business Enterprise. New York: Charles Scribner's Sons.
20. Veblen, T., 1924 (1899), The Theory of the Leisure Class: An Economic Study of Institutions. New York: The Macmillan Company.
21. Veblen, T., 1923, Absentee Ownership and Business Enterprise in Recent Times: The Case of America. New York: B. W. Huebsch.
22. Veblen, T., 2001, The Engineers and the Price System. Ontario: Batoche Books, Kitchener.
23. Hohfeld W. N., 1913, Some Fundamental Legal Conceptions as Applied in Judicial Reasoning, 23 Yale Law Journal, 16.

**SUMMARY**

**INSTITUTION: GENESIS OF THE TERM UNCERTAINTY (PART 3. CHILDHOOD: THE OLD INSTITUTIONALISM, 1920-1930)**

Prof. Tamila Arnania-Kepuladze
Akaki Tsereteli State University

The article aims to study the particularities of the definition of the term "Institution" developed by Old Institutional Political Economy. For this purpose, the viewpoints of two famous representatives of Old Institutionalism Thorsten Veblen and John R. Commons are studied in the paper.

The Old institutionalism views institutions as a socio-psychological phenomenon that is dynamically evolving and undergoes evolutionary changes influenced by social, cultural, legal or other factors, which in turn impacts on all aspects of the social and economic life of society.

# კონკურენციის ასპექტები საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში

**მარიამ ლომაია**
**სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი**

**საკვანძო სიტყვები:** კონკურენტული უპირატესობა, ხარისხის კრიტერიუმები, ჯანდაცვა, მომსახურების სფერო.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, ფინანსური ზრდისა და კეთილდღეობის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად მომსახურების სფერო განიხილება, ეს უკანასკნელი ეკონომიკისათვის იმდენად მნიშვნელოვანი გახლავთ, რომ 2013 წელს პოლიტიკოსებმაც კი ერთხმად ისაუბრეს მის მნიშვნელობაზე. მომსახურების სფეროს მსოფლიოში მზარდი ტენდენცია ახასიათებს. თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის ეკონომიკა მომსახურებაზეა დაფუძნებული ასე მაგალითად: ,,აშშ-ს ეკონომიკა მომსახურების ეკონომიკად გადაიქცა''. მომსახურების სფეროზე საუბრისას აუცილებლად უნდა გამოვყოთ ჯანდაცვის სექტორი. ჯანდაცვა-იგივე ჯანმრთელობის დაცვა მოიცავს საზოგადოებრივ, სახელმწიფო, სოციალურ, ეკონომიკურ და სამედიცინო ღონისძიებებს. მის მთავარ მიზანს წარმოადგენს პაციენტთა და პოტენციურ პაციენტთა ჯანმრთელობის დაცვა, დაავადებათა მკურნალობა და მათი თავიდან აცილება, რაც საბოლოოდ ადამიანთა სიცოცხლის გახანგრძლივებას გამოიწვევს. ზოგიერთ ქვეყანაში იგი დაფუძნებულია უფასო სერვისებზე და პროფილაქტიკური ღონისძიებების მიმართულებებზე, ზოგან კი შემოიფარგლება ანტიეპიდემიური სამუშაოების ჩატარებით, ხოლო ძირითად სამედიცინო მომსახურებებზე კერძო სექტორია პასუხისმგებელი. ჯანდაცვის მეთოდები წარმოდგენილია, როგორც ცალკეული ასევე მასშტაბური პროფილაქტიკური ღონისძიებებით, მას გააჩნია ბიოსფეროზე საკუთარი კონტროლის მექანიზმები.[4]

მომსახურების სფეროზე კერძოდ კი ჯანდაცვის მიმართულებაზე საუბრისას, აუცილებელია ვისაუბროთ კლინიკების მუშაობის მექანიზმზე და მათ კონკურენტულ უპირატესობებზე.

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის ფ.ა. ჰაიეკის აზრით, კონკურენცია ახლის შეცნობის პროცედურაა, რაც დამახასიათებელია ევოლუციისათვის მისი ყველა ფორმით. იგი აიძულებს ადამიანს უნებლიედ ჩაერთოს ახალ სიტუაციაში, რამდენადაც მზარდი კონკურენციით თანდათან მაღლდება ეფექტიანობაც. საქმე არამარტო ისაა, რომ მთელი ევოლუცია ემყარება კონკურენციას, არამედ ისიც, რომ უწყვეტი კონკურენცია უკვე მიღწეულის საფუძველიცაა.[3]

განსაზღვრულ საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა-მიწოდების ბალანსირება ხდება უშუალოდ ბაზარზე, რომელიც რაც უფრო კონკურენციულია, მით უფრო მოგებულია საზოგადოება. ამდენად, კონკურენცია საბაზრო ეკონომიკაში ფასწარმოქმნის მექანიზმის ისეთ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, რომლის (სამართლიანი კონკურენტული გარემოს) არსებობის საჭიროება უკვე დიდი ხანია აღიარებულია მთელ მსოფლიოში. თუმცა ისიც ცხადია, რომ ისტორიულად ფართო გამოყენება ეკონომიკურმა კონკურენციამ მიიღო მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდა შუასაუკუნოვანი პრივილეგიების ლიკვიდაცია და კაპიტალიზმის დამკვიდრება.[1]

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის მთავარი მიზანი არის უპირატესობის მოპოვება ერთსა და იმავე ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის და მაქსიმალური მოგების მიღება უპირატესობის მიღწევის

ხარჯზე. თუმცა ისიც ფაქტია, რომ კონკურენცია ისევე როგორც მისი საპირისპირო მოვლენა როგორიცაა მონოპოლია, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ განსაზღვრულ მდგომარეობაში. შესაბამისად, კონკურენციისა და მონოპოლიის სახეობები დამოკიდებული არიან შესაბამისი სასაქონლო ბაზრის ისეთ პარამეტრებზე როგორიცაა- კონკურენტულ სასაქონლო ბაზარზე საქონლისა და მომსახურების მიმწოდებელთა რაოდენობა. ბაზარზე შესვლისა და გამოსვლის თავისუფლება, საქონლის დიფერენციაცია და საბაზრო ფასების გაკონტროლებაში ცალკეულ სუბიექტთა როლი. 2003 წელს ჰოსპიტალური სექტორი სერიოზული პრობლემების წინაშე იდგა, რაც სამედიცინო მომსახურების ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე უარყოფითად მოქმედებდა. ამ პრობლემებს ახალი მთავრობა უნდა გამკლავებოდა. ყველაზე სერიოზულ პრობლემად სახელდებოდა: მოძველებული ინფრასტრუქტურა, არაკონკურენტული გარემო, არაადეკვატური და უხარისხო მომსახურება, სუსტი რეგულაციები და მათი არასატანადო აღსრულება, მომსახურების საფასურის ჯიბიდან გადახდის და კორუფციის მაღალი დონე, ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების არათანაბარი ხელმისაწვდომობა. დღესდღეისობით ეს პრობლემები აღმოხვრილია და ქვეყანაში გაიხსნა არაერთი მრავალპროფილური კლინიკა თუ ჰოსპიტალი, რამაც გაზარდა კონკურენტული გარემო. [6]

ნიუ ჰოსპიტალსი ევროპული სტანდარტების დაცვით აშენებული, 250 საწოლიანი, მრავალპროფილური კლინიკაა, რომელიც 2011 წლიდან უმაღლესი ხარისხის სტაციონარულ და ამბულატორიულ სერვისებს სთავაზობს პაციენტებს. გამორჩეული ინფრასტრუქტურითა და ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ჰოსპიტალი ყოველდღიურად ასეულობით პაციენტს ემსახურება. კლინიკის ინფრასტრუქტურა (ვენტილაციის, გათბობა-გაგრილების, სტერილური ჰაერის ნაკადების მართვის და ავტომატური რეგულირების სისტემები, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემა, დაცული ელ. გაყვანილობის სპეციალური ზონალური სისტემა, სამედიცინო პერსონალის გამოძახების სისტემა, პაციენტების ნაკადების შესაბამისი რაოდენობის, ევროპული ხარისხის სამედიცინო ლიფტები და მრავალი სხვა) პაციენტებისათვის უსაფრთხო და კომფორტულ გარემოს ქმნის. სამედიცინო სერვისების მართვა მნიშვნელოვანი პროცესია. სწორედ ამიტომ, ჰოსპიტსლში სისტემატიურად ხორციელდება მომსახურების ხარისხის მონიტორინგი და მუდმივად მიმდინარეობს მისი გაუმჯობესება. ამასთან, ევროპის წამყვან კლინიკებთან თანამშრომლობის შედეგად მუდმივად ინერგება უახლესი ევროპული სტანდარტები პაციენტებზე ზრუნვისა და მათი მომსახურების პროცესებში.

საუკეთესო სამედიცინო მომსახურება მხოლოდ სამედიცინო პერსონალის პროფესიონალიზმით და გამოცდილებით მიიღწევა. ამიტომაც ნიუ ჰოსპიტალსი მუდმივად ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე და უზრუნველყოფს მათთვის კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამებს ქვეყნის შიგნით თუ მის საზღვრებს გარეთ. ამასთან, ჰოსპიტალი თანამშრომლობს ევროპული გამოცდილების მქონე პროფესიონალ ექიმებთან, რომლებიც კლინიკის სხვადასხვა დეპარტამენტში არიან დასაქმებული და მონაწილეობას იღებენ პაციენტების სადიაგნოსტიკო და სამკურნალო პროცესებში. კლინიკაში პაციენტების მკურნალობა საერთაშორისო სამედიცინო საზოგადოებების რეკომენდაციების და მათ საფუძველზე დანერგილი მკურნალობის პროტოკოლების დაცვით ხორციელდება. უზრუნველყოფილია პაციენტის მკურნალობის თანმიმდევრულობა დასავლური, მტკიცებით ფაქტებზე დამყარებული მედიცინის მიხედვით.[2]

კლინიკის RIQAS მიერ აკრედიტებული ლაბორატორია წელიწადში 12-ჯერ ახდენს აპარატურის ვალიდაციას საერთაშორისოდ აღიარებულ ევროპულ ორგანიზაციაში პაციენტებისათვის კომფორტული გარემოსა და უსაფრთხო პირობების უზრუნველსაყოფად, ნიუ ჰოსპიტალსის ინფრასტრუქტურა შექმნილია

ევროპული სტანდარტების მიხედვით, რომლის ანალოგი საქართველოს მასშტაბით არ არსებობს.

ნიუ ჰოსპიტალსში არსებული ვენტილაციის უმაღლესი ხარისხის სისტემა უზრუნველყოფს ჰაერის ნაკადების მართვას და ფილტრაციას, ასევე ტენიანობისა და ტემპერატურის რეგულირებას, რაც უმნიშვნელოვანესია სადიაგნოსტიკო და სამკურნალო წარმატებული ოპერირებისთვის ბაზარზე.ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით კლინიკას შეუძლია ღირსეული და ჯანსაღი კონკურენცია გაუწიოს ბაზარზე არსებულ სხვა მრავალპროფილურ კლინიკებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ თავისუფალი (სრულყოფილი) კონკურენციის განმსაზღვრელი ფაქტორებია:

- ბაზარზე მრავალი დამოუკიდებელი კლინიკის არსებობა, რომლებიც საკუთარი შეხედულებებისამებრ წყვეტენ, თუ რა სახის მომსახურება უნდა გაწიონ და რა რაოდენობით;
- ბაზარზე შესვლისა და ბაზრიდან გამოსვლის (თავისფლების შეუზღუდაობა) ბარიერების არ არსებობა, რაც ყველა მოქალაქეს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ გახდნენ თავისუფალი მეწარმეები და საკუთარი უნარი, ნიჭი და მატერიალური სახსრები მოახმარონ მათთვის საინტერესო სფეროებს. ამ დროს მყიდველები ასევე თავისუფალნი არიან ყოველგვარი დისკრიმინაციისგან და აქვთ შესაძლებლობა შეიძინონ საქონელი და მიიღონ მომსახურება ნებისმიერ ბაზარზე. ამასთან, ფაქტია ისიც, რომ ბაზარზე შესვლისა და ბაზრიდან გამოსვლის სიმსუბუქე მიმზიდველს ხდის მას ინვეტიციებისთვის;
- განსაზღვული სახეობის მომსახურება ერთგვაროვანია (არ არის დიფერენცირებული), რის გამოც ცალკეულ პაციენტებს არ აქვთ მიზეზი და არც სურვილი, რომ აირჩიონ რომელიმე კონკრეტული დაწესებულება და მაინცდამაინც მას მიანიჭონ უპირატესობა;
- ბაზარზე ერთი მყიდველის მიერ ნაყიდი ან ერთი გამყიდველის მიერ გაყიდული პროდუქციის რაოდენობა იმდენად მცირეა ამ ბაზარზე რეალიზებული პროდუქციის საერთო მოცულობასთან შედარებით, რომ თითოეული მათგანის რაოდენობრივ ცვლილებას არ შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ამ ბაზრის ფასზე. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ეკონომიკური აგენტები არანაირად არ მონაწილეობენ საბაზრო ფასების კონტროლში;[5]

ბაზარი ინფორმაციული თვალსაზრისით გამჭვირვალეა. გამყიდველები და მყიდველები ფლობენ სრულ ინფორმაციას ერთმანეთის, ასევე საქონლის ხარისხის, ფასების და სხვ. შესახებ. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი მეტოქეობა თანამედროვე პირობებში იშვიათ მოვლენას წარმოადგენს, კონკურენციის ყველა არსებულ სახეობაში მეტნაკლები მოცულობით შენარჩუნებულია საბაზრო მეტოქეობის დაწერილი თუ დაუწერელი კანონები.

რაც შეეხება კონკურენციული ქცევის ზოგად წესებს უნდა აღინიშნოს, რომ მის გასააზრებლად აუცილებელია წარმოვიდგინოთ საბაზრო კონკურენციის რეალური მასშტაბები. იგი მოიცავს შესაბამისი ბაზრების მთელ სისტემას. ამასთან ფაქტია, რომ კონკრეტულ სასაქონლო ბაზრებზე კონკურენცია ხშირად ღებულობს სახეს ,,ყველა ყველას წინააღმდეგ''. ამ დროს კონკურენციული ბრძოლა ძირითადად შემდეგი სამი მიმართულებით მიმდინარეობს: პირველი მიმართულება ესაა ბრძოლა გამყიდველებს შორის. წინააღმდეგობის მეორე კერა ესაა ბრძოლა მყიდველებს შორის, რომლებიც მუდმივად ისწრაფვიან სხვებზე უფრო იაფად შეიძინონ საქონელი და მომსახურება. ამ ბრძოლაში გამარჯვება რჩება იმ მყიდველს, რომელიც საბაზროზე უფრო მარალ ფასს შესთავაზებს გამყიდველს და ბოლოს, კონკურენციული ბრძოლის მესამე ფრონტი მიმდინარეობს უშუალოდ გამყიდველებსა და მყიდველებს შორის.

მომხმარებელთა მაღალხარისხიანი მომსახურება თანამედროვე ბიზნეს

სამყაროში ერთ-ერთი ყველზე ძლიერი კონკურენტული უპირატესობაა. დღეს არც ისე მარტივია აწარმოო ისეთი პროდუქტი თუ მომსახურება, რომელიც ბაზრისთვის განსაკუთრებულ სიახლეს წარმოადგენს და მომხმარებელს აღფრთოვანებაში მოიყვანს. აქედან გამომდინარე, მომხმარებელთა მაღალხარისხიანი მომსახურება არის ბიზნესის წარმოების ის მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც განაპირობებს კომპანიის მომხმარებლებზეორიენტირებულობასდამომხმარებლებთანურთიერთობისმართვის (CRM) მაღალ დონეს. მომსახურების მწარმოებელი კომპანიებისთვის მომსახურების ხარისხი დღეს მარკეტინგული უპირტესობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

**დასკვნა**

ამრიგად, კლინიკები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მაღალხარისხიანი მომსახურებაზე და პაციენტთა მაღალი კმაყოფილების დონის მიღწევაზედა კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებაზე, მუდმივად უნდა იკვლიონ, თუ რა კრიტერიუმებით აფასებენ მომხმარებლები მათ მომსახურებას. ასევე, იმას თუ რა პრიოროტეტულობა ახასიათებთ მომსახურების შეფასების ატრიბუტებს.

მას შემდეგ, რაც ზუსტად ეცოდინებათ კლინიკებს თუ რა არის მათი პაციენტებისათვის მომსახურების შეფასების განმსაზღვრელი ფაქტორები, ისინი მარტივად შეძლებენ მომხმარებელთათვის სასურველი და მისაღები მომსახურების დიზაინის შექმნას და შეთავაზებას. ამ გზით კლინიკები პაციენტებს შეუქმნიან ღირებულებას, რომელიც მნიშვნელოვანია მათთვის და რისთვისაც ისინი მზად არიან გადაიხადონ შესაბამისი საფასური, ამით კლინიკები შეძლებენ ღირსეულ ოპერირებას ბაზარზე და კონკურენული უპირატესობებითაც ისარგებლებენ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ბერიძე რ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბ; 2011წ.
2. ზუმბურიძე ო. მენეჯმენტის საფუძვლები, თბ; 2004წ.
3. ლომაია ც. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი თბ 2014წ.
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება N 199 2013 წლის 2 აგვისტო ქ. თბილისი
5. KOTLER, P.MARKETING MANAGEMENT ANALYSIS, PLANNING IMPLEMENTATION, AND CONTROL, PRENTICE HALL INTERNATIONAL, HEMEL HEMPSTEAD, 1997;
6. John P.Kotter „The General Managers" NEW YORK, 2004.



აბსტრაქტი

თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის ეკონომიკა მომსახურებაზეა დაფუძნებული ასე მაგალითად: ,,აშშ-ს ეკონომიკა მომსახურების ეკონომიკად გადაიქცა''. ნაშრომში განხილულია კონკურენცია და მისი ასპექტები ჯანდაცვის სფეროში. საუბარია კონკურენტულ უპირატესობებზე და მოყვანილია კლინიკა ,,ნიუ ჰოსპიტალსის'' მაგალითი და ბაზარზე მისი სხვებისგან გამორჩეულად ოპერირების მახასიათებლები.

**ABSTRACT**

Almost all developed economies are based on services such as «The US economy has become a service economy.» The paper discusses competition and its aspects in healthcare. Competitive advantages are mentioned and the example of the New Hospital Clinic is described and the characteristics of its operation are remarkably different from those on the market.



Keywords: Competitive Advantage, Quality Criteria, Health Care, Service.

# სახელმწიფო ტყის ეროვნული აღრიცხვის (ინვენტარიზაციის) თავისებურებები საქართველოში.

**მანანა მჭედლიშვილი**
ეკონომიკის დოქტორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
**ნაირა ტაბატაძე**
ეკონომიკის დოქტორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**შესავალი.** დედამიწაზე არსებულ ბუნებრივ სიმდიდრეებში ტყეს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ტყე ბიოსფეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია და საქართველოს ტერიტორიის 40 %-ს უჭირავს; საერთო ჯამში 2 620 676 ჰექტარს ფარავს. საქართველოს ტყეების 95-98 %-მდე ბუნებრივია და დაახლოებით 98 % განლაგებულია დიდი და მცირე კავკასიონის ქედების კალთებზე. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO, რომელიც ახორციელებს მსოფლიოს მასშტაბით ტყის რესურსების აღრიცხვას) განმარტებით ტყე არის ტერიტორია 0,5 ჰა-ზე მეტი ფართობით, სადაც არსებულ ხეთა ვარჯების პროექციათა ჯამი შეადგენს შესაბამისი ფართობის 10 %-ზე მეტს. საქართველოში ტყეების მიერ უზრუნველყოფილი მომსახურება მრავალფეროვანია: ა) უპირველეს ყოვლისა, ტყეები წარმოადგენს მცენარეთა მრავალი ენდემური და რელიქტური სახეობის თავშესაფარს და გლობალური თვალსაზრისით იშვიათი და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ცხოველების საცხოვრებელ ადგილს; ბ)რადგან ტყეების უმეტესობა მთისაა, ისინი არსებით როლს თამაშობს წყლის რეგულირებასა და ნიადაგის დაცვაში. შესაბამისად, ტყის არამდგრადი მეთოდებით ექსპლუატაცია ხშირად იწვევს ნიადაგის ეროზიას, წყალდიდობის საფრთხის ზრდას და წყლის ნაკლებობას; გ)გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვერციისადმი საქართველოს პირველი განახლებული ორწლიანი ანგარიშის (2013 წ. ინვენტარიზაცია) თანახმად, საქართველოს ტყეების მიერ შთანთქმული ნახშირორჟანგის რაოდენობა უტოლდება ქვეყნის მიერ სათბურის აირების ემისიების 25,16 %-ს; დ)ტყეებს მნიშვნელოვანი კულტურული, სარეკრეაციო და სოციალური ფუნქციები აქვს; ე) და ბოლოს, რაც უმნიშვნელოვანესია, ტყეები მერქნული რესურსის წყაროა, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. სახელმწიფო ტყეების და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მიკუთვნებული მიწების, მისი რესურსების ერთობლიობა წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდს. რომლებიც შემდეგნაირად ნაწილდება: ტყეები სულ - 93.8%; აქედან ხელოვნური ტყეები -2.5%; ტყის ფონდის მიწები სულ - 6.2%; უკვე დიდი ხანია ტყის რესურსების მოხმარებამ გადააჭარბა ბუნების მწარმოებლურ ძალას, ამიტომ დღეს მწვავედ დადგას საკითხი ტყის მეურნეობის წარმოების გაუმჯობესებაზე, რომელიც უზრუნველყოფს უწყვეტ და რაციონალურ გამოყენებას და ტყის აღწარმოებას.

**ძირითადი ნაწილი**. ტყის და მისი რესურსების მოვლასთან, დაცვასთან, აღდგენასა და გამოყენებასთან დაკავშირებული სატყეო ურთიერთობები საქართველოში რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს ტყის კოდექსისა და სხვა ნორმატიული აქტებით. ტყის ეროვნული აღრიცხვა დაგეგმილია, როგორც მრავალმიზნობრივი ინვენტარიზაცია, საქართველოს ექნება მნიშვნელოვანი მონაცემები ქვეყნის ტყეების მდგომარეობის შესახებ, კერძოდ ეკონომიკური

მახასიათებლების, ტყის განვითარების, დეგრადაციის, ბიომრავალფეროვნების სახით, რაც ტყის მდგრადი მართვის დაგეგმვისა და ტყესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების საფუძველს წარმოადგენს. ევროკავშირისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, საქართველოში ბოლო პერიოდში ტყის აღრიცხვის სამუშაოები დაიწყო. რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს მდიდარი ბუნებრივი რესურსების დაცვას, ტყის მდგრადი მართვის დანერგვას და ეროვნული ექსპერტიზის გაზრდას ტყის აღრიცხვასთან დაკავშირებულ საკითხებში, ტყის აღრიცხვის პროცესში მონაწილეობას იღებენ ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში, ეროვნული სატყეო სააგენტოს მეტყევე-სპეციალისტების დახმარებით, შესაბამისი სასწავლო კურსი გაიარეს. პროექტის ფარგლებში, ევროკავშირისა და UNDP-ის ხელშეწყობით, 15 სპეციალისტი გადამზადდა. დამუშავდა მეთოდოლოგია, შეიქმნა ახალი ელექტრონული პროგრამა. სატყეო პროექტი ევროკავშირის გრძელვადიანი დახმარების ნაწილია, რომელიც ხელს უწყობს საქართველოში სოფლის განვითარების ეფექტიანი პოლიტიკის შექმნას და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდას. რომელიც 2013 წლიდან ხორციელდება და 2022 წლამდე გაგრძელდება, პირველ ეტაპზე ოთხი მუნიციპალიტეტია შერჩეული. ლაგოდეხი პირველია, სადაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეროვნულმა სატყეო სააგენტომ ტყის აღრიცხვა 21 000 ჰექტარზე მეტ ტერიტორიაზე უკვე ჩაატარა. ტყის აღრიცხვა დაწყებულია ახმეტის მუნიციპალიტეტში, ხოლო 2020 წლის ბოლომდე მათ რიცხვს დედოფლისწყაროსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები დაემატება. განახლებული ინფორმაცია ტყის მდგომარეობის შესახებ, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი პარამეტრებით საჭიროა იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს სატყეო სამუშაოების სწორი გეგმები. ეს არის მდგრადი მართვის მთავარი წინაპირობა. ტყის ეროვნული აღრიცხვა ქვეყანაში არსებულ ყველა ტყეს მოიცავს, ტყის მმართველობის ორგანოსა და ტყის დაცვის სტატუსის მიუხედავად. ინფორმაცია დაახლოებით 6600 სანიმუშო ფართობიდან (2200 კლასტერი) შეგროვდება, რომლებიც 3.6 x 3.6 კმ ბადეზე განლაგდება. წარმოდგენილი სანიმუშო ფართობები მუდმივად მონიშნული იქნება და მათზე ტყის ფართობების რეგულარული შეფასება ყოველ ათ წელში განხორციელდება. რეგულარული ინვენტარიზაციის შედეგების საფუძველზე შესაძლებელი იქნება, საქართველოს ტყეების მდგომარეობის მონიტორინგი და კონკრეტული სტრატეგიული გადაწყვეტილებების ეფექტის შეფასება. ამასთან, ორთოფოტოები და სატელიტური მონაცემები გამოყენებული იქნება საველე სამუშაოების მომზადებისა და შეგროვებული მონაცემების შემდგომი ინტერპრეტაციისთვის. ეს კი შესაძლებელს გახდის ტყეების მდგომარეობის შეფასებას იმ ფართობებზეც, რომლებიც მიუწვდომელია პოლიტიკურ ან გეოგრაფიულ მიზეზებიდან გამომდინარე. საქართველოს ტყეების 100 % სახელმწიფო საკუთრებაა. თუმცა მის ცალკეულ უბნებში 2006-2012 წლებში, კერძო კომპანიებზე გაიცა გრძელვადიანი ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიები (5-20 წლით) ტყის მერქნული რესურსების გამოსაყენებლად. ინვენტარიზაციის გარეშე ტყის კერძო კომპანიებისათვის გადაცემა, მით უმეტეს შეზღუდული რესურსით განპირობებული სუსტი ზედამხედველობის პირობებში, შეფასებულია, როგორც ტყის მდგრად მართვასთან შეუსაბამო პრაქტიკა. ასეთი მიდგომის შედეგად, სატყეო მეურნეობის მდგრადი პრაქტიკის დამკვიდრების ნაცვლად, დამატებითი გამოწვევები გაჩნდა. დღეის მდგომარეობით, ტყეების 7 % კვლავ ლიცენზირებულია 38 მფლობელზე და ყველაზე ხანგრძლივი დროით გაცემული ლიცენზიების ვადა 2029 წელს იწურება. ოფიციალური სახელმწიფო სტატისტიკის თანახმად, 1959 წელს პირველად ბორჯომის, ახალციხისა და აბასთუმნის ტყეების აღრიცხვა ჩატარდა. ბორჯომის ტყეების სტატისტიკური აღწერა სატყეო მეურნეობის წარმოების საფუძვლების დამუშავების პირველი ცდაა კავკასიის მთიანი

ტყეებისათვის. 2008-2014 წლებში საქართველოში წელიწადში საშუალოდ 24 ტყის ხანძარი აღინიშნა, რომელმაც საშუალოდ ყოველწლიურად 200 ჰექტარი ტყის ფართობი დააზიანა. განსაკუთრებული საფრთხის წინაშე წიწოვანი შემადგენლობის ტყეები დგას. ტყეებსა და ქარსაცავ ზოლებში ხანძრების გაჩენის მთავარი მიზეზი სასოფლო-სამეურნეო მიზნებით გაჩენილი ცეცხლია. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, სახეზეა ტყის ეკოსისტემების დეგრადირება. ჯერჯერობით, არ არსებობს დეტალური და სრული მონაცემები ტყეების შემადგენლობასა და მდგომარეობაზე. 1990 წელს ქვეყანაში ჩატარდა ტყის ფონდის ეროვნული ინვენტარიზაცია, 2013 წლიდან ქვეყანამ განაახლა ინვენტარიზაციის პროცესი, მაგრამ შეზღუდული ფინანსური რესურსების გამო შეჩერდა. 2019 წელს კი ინვენტარიზაცია ჩატარდა 86,1 ათ. ჰა ფართობზე. ტყის მართვის გეგმები კი შედგენილია სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდის 19,3%-ისათვის. მთლიანი ბიუჯეტი 2021 წლის ჩათვლით განსაზღვრული იყო 3 740 000 ლარის ოდენობით. 2019 წელს ბიუჯეტის ათვისებამ შეადგინა 167 000 ლარი (2018 წელს ბიუჯეტის ათვისება არ მომხდარა). 52.5 ათასი ჰა. ფართობის ინვენტარიზაცია კი განხორციელდა მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობით. სრული პროცესის დასრულებას და ტყეების შესახებ განახლებული და ყოვლისმომცველი ინფორმაციის შექმნას კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდება.

**დასკვნა.** საქართველოში ტყის მდგრადი მართვის სისტემის დანერგვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებებია: 1) საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება და ტყის მდგრადი მართვის სისტემის დანერგვა; 2) ტყეების რაოდენობრივი და ხარისხოვანი მახასიათებლების გაუმჯობესება; 3) ტყის პოლიტიკის, მართვის და მაკონტროლებელი უწყებების შესაძლებლობების გაძლიერება, 4) ტყის დეგრადაციის თავიდან აცილება და დეგრადირებული ფართობების აღდგენა მთავარი პრიორიტეტია, ტყის ეკოსისტემების სათანადო ფუნქციონირებისა; 5) სატყეო განათლების ხელშეწყობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ასევე ხელი უნდა შეეწყოს და წახალისდეს ტყის გამოყენება სარეკრეაციო მიზნით. ამისთვის კი საჭიროა ტყის კონკრეტული სარეკრეაციო სივრცეების განსაზღვრა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ. რაც ხელს შეუწყობს მდგრადი ეკოტურიზმის განვითარებას ტყის ფონდის ტერიტორიაზე, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისთვის შექმნის სამუშაო ადგილებს. საერთაშორისო დონეზე ქვეყნის დეკლარირებული ვალდებულება გამომდინარეობს მდგრადი განვითარების მიზნებიდან. კერძოდ, მდგრადი განვითარების მიზნების ერთ-ერთი ამოცანაა ყველა სახის ტყისთვის მდგრადი მართვის ხელშეწყობა, ტყის კარგვის შეჩერება, დეგრადირებული და გაჩეხილი ტყეების აღდგენა და ტყის საფარის ზრდა. საქართველომ, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის ნაწილმა, აიღო პირობითი პასუხისმგებლობა 2030 წლისთვის ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვისა და ტერიტორიის აღდგენა/გატყიანებაზე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და წინადადებები საქართველოს პარლამენტში განსახილველად წარმოდგენილ კანონპროექტზე, „საქართველოს ტყის კოდექსი“ 22 აპრილი, 2019 წ.
2.სოციალური ჭრის რეფორმის რეგულირების გავლენის შეფასება დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის და საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) მხარდაჭერით. ივნისი 2018 წ.
3.საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „სატყეო მოამბე“ N13-14. 2018 წ.

4.საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამის (2017-2021) შესრულების მონიტორინგის ანგარიში. 2019 წ.
5. www.interpressnews.ge
6. www. matsne.gov.ge
7. www. imedinews.ge
8. www 1tv.ge › news ›
9.www.droa.ge

**რეზიუმე**

დედამიწაზე არსებულ ბუნებრივ სიმდიდრეებში ტყეს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ტყის ეროვნული აღრიცხვის მიზანია, საქართველოს ტყისა და მისი რესურსების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღება, ტყეების მდგომარეობაზე უწყვეტი მონიტორინგი და ტყესთან დაკავშირებული მონაცემების შესახებ საერთაშორისო ანგარიშგება. ქვეყნის ტყეების შესახებ განახლებული მონაცემები იძლევა ტყითსარგებლობისა და ტყის მართვის უკეთ დაგეგმვის საშუალებას და ტყის მდგრადად მართვის შესაძლებლობას. ამასთან, ბოლო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებებია: შევიდა ცვლილება მოქმედ ტყის კოდექსში და გაჩნდა ტყის ეროვნული აღრიცხვის სამართლებრივი საფუძველი. აგრეთვე, შევიდა შესაბამისი ცვლილებები საქართველოს მთავრობის №179 დადგენილებაში ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ; შემუშავდა ეროვნული ტყის აღრიცხვის მეთოდოლოგია. ტყის ეროვნული აღიცხვის პროცესი მხოლოდ საწყის ეტაპზეა. ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით. ტყის ეროვნული აღრიცხვის (ინვენტარიზაციის) დროს საქართველოს ექნება მნიშვნელოვანი მონაცემები ქვეყნის ტყეების მდგომარეობის შესახებ, კერძოდ ეკონომიკური მახასიათებლების, ტყის განვითარებისა, დეგრადაციის , ბიომრავალფეროვნების სახით, რაც ტყის მდგრადი მართვის დაგეგმვისა და ტყესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების საფუძველს წარმოადგენს. საჭიროა ტყის კონკრეტული სარეკრეაციო სივრცეების განსაზღვრა, რაც ხელს შეუწყობს მდგრადი ეკოტურიზმის განვითარებას, რომელიც შექმნის სამუშაო ადგილებს მოსახლეობისთვის.

**SUMMARY**

The forest has a special place in the natural wealth of the earth. During the national forest inventory, Georgia will have important data on the state of forests in the country, in particular economic characteristics, forest development, degradation, biodiversity, Which is the basis of sustainable forest management planning and important decision making in forestry. It is important to define specific forest recreation areas, which will help to develope sustainable ecotourism. Which will create jobs for the population.

# საღაზღვევო სისტემის განვითარების ტენდენციები მსოფლიოში

**ილია კოჟორიძე**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი**

**საკვანძო სიტყვები**: სადაზღვევო სისტემა, სადაზღვევო კომპანია, სადაზღვევო ტექნოლოგიები, გლობალიზაცია, ტექნოლოგიური პროგრესი.

ისტორიულად სადაზღვევო სისტემა სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენას განიცდიდა, როგორც შიდა ისე გარე ფაქტორების. დღეს, როდესაც გლობალური ეკონომიკის და საზოგადოების განვითარების ტემპებმა მიიღო ინტენსიური ხასიათი სადაზღვევო კომპანიები აღმოჩნდნენ ახალი რეალობის წინაშე, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის მათ საოპერაციო და ფინანსურ მაჩვენებლებს, იცვლება მათი ქცევა, მომხმარებელთა დამოკიდებულებები. ეს მოითხოვს სადაზღვევო კომპანიების მხრიდან შეცვლილ გარემოსთან ადაპტაციას, რისთვისაც საჭიროა სადაზღვევო სისტემის განვითარების ტენდენციებზე თვალყურის დევნება.

მსოფლიო სადაზღვევო სისტემამ ბოლო პერიოდში განიცადა ევოლუცია, რომლის განმაპირობებელი ძირითადად არის გლობალიზაციის დაჩქარებული ტემპები და ტექნოლოგიური პროგრესი.

შეიძლება გამოვყოთ ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს გლობალურ სადაზღვევო სისტემაზე. ეს ფაქტორებია:

- ინტეგრაციული პროცესები;
- ახალი რისკების წარმოქმნა;
- კონსოლიდაცია და კონვერგენცია.

ინტეგრაციული პროცესები არის თანამედროვეობის განუყოფელი ატრიბუტი, განსაკუთრებით ეკონომიკურ სფეროში. დაზღვევა დაფუძნებულია რისკების გადანაწილების მექანიზმზე იმ ადამიანებს შორის, ვისაც ერთი და იმავე სახეობის რისკებთან აქვთ შეხება, ეს კი ხორციელდება სოლიდარობის პრინციპის საფუძველზე.

სადაზღვევო სისტემა ფორმირდება გლობალიზაციის, კონსოლიდაციის და კონვერგენციის პროცესებიდან გამომდინარე, ეს პროცესები პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია სადაზღვევო სისტემის ინტეგრაციულ პროცესებთან სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან მიმართებაში.

მსოფლიო სადაზღვევო სისტემის ინტეგრაციული პროცესი ძირითადად ხორციელდება გადაზღვევის დროს, რომელიც თავისი შინაარსით საერთაშორისო

ბიზნესს წარმოადგენს.

სადაზღვევო სისტემის ინტეგრაციული პროცესები დაკავშირებულია რისკის გადანაწილების მოთხოვნილებასთან. მისი გლობალიზაცია დიდ უპირატესობას ანიჭებს განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს, რომელთაგან აღსანიშნავია ახალი ტიპის სადაზღვევო პროდუქტების განვითარება, საუკეთესო პრაქტიკის გადატანა და ახალი კაპიტალის შემოდინება.

გლობალიზაცია და გაზრდილი კონკურენცია ხელს უწყობს სადაზღვევო სისტემაში კონსოლიდაციის პროცესებს, რომელიც შერწყმა-გაერთიანების ფორმით ხორციელდება. კონსოლიდაციის პროცესების ძირითადი მიზანია უფრო დიდი საბაზრო ძალაუფლების მოპოვება, საოპერაციო და ფიქსირებული ხარჯების შემცირება, ასევე საერთო ეკონომიის მიღწევა.

სადაზღვევო სისტემაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სააღრიცხვო სტანდარტების, ბიზნეს პრაქტიკის, ეკონომიკური ფაქტორების ცვლილება, რომელთა შორის აღსანიშნავია ეკონომიკური ზრდა, დაბალი საპროცენტო განაკვეთები.

დაბალი საპროცენტო განაკვეთები გავლენას ახდენს სადაზღვევო პროდუქტების მიწოდებაზე, ეს კი იწვევს განსხვავებული ტიპის სადაზღვევო პროდუქტების წარმოქმნას, როდესაც საინვესტიციო რისკს სადაზღვევო კომპანიასთან ერთად პოლისის მფლობელიც ინაწილებს.

ეკონომიკური განვითარება, ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესი, მედიცინის განვითარება, ბიზნესის გლობალიზაცია, მოსახლეობის ზრდა და სხვა ფაქტორები ზრდის რისკების რაოდენობას. მაგალითად მედიცინის განვითარებამ შესაძლებელი გახადა სიცოცხლის გახანგძლივება, რაც ახალ სადაზღვევო რისკებთანაა დაკავშირებული.

სადაზღვევო კომპანიები არ ფუნქციონირებენ იზოლირებულად და ისინიც დგანან ცვალებადი გარემოს წინაშე, სადაც ახალი ტიპის შესაძლებლობები და გამოწვევები წარმოიქმნება.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ გამოიწვია კიბერ რისკები. ეს რისკები არ არსებობდა 1995 წლამდე. ის ძირითადად კონფიდენციალური ინფორმაცის მოპარვასთანაა დაკავშირებული.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება წარმოადგენს, როგორც შესაძლებლობებს ისე გამოწვევებს.

გლობალური სადაზღვევო სისტემის განვითარების ერთ-ერთი ტენდენციაა დამანგრეველი კატასტროფების რაოდენობის ზრდა. ეს პროცესები კი სადაზღვევო პროდუქტების ფასზე ახდენენ გავლენას, რამდენადაც ჩნდება სადაზღვევო პრემიების ზრდის აუცილებლობა.

სადაზღვევო სისტემის გაციფრულება მზარდი ტემპებით ხასიათდება. 2018 წელს მსოფლიო მასშტაბით სადაზღვევო ტექნოლოგიებში ჩადებულმა ინვესტიციებმა შეადგინა 2.6 მლრდ აშშ დოლარი. გაციფრულების ტენდენციის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მონაცემთა ანალიტიკა, ღრუბლოვანი ტექნოლოგიები, ჭკვიანი მობილური მოწყობილობები და ხელოვნური ინტელექტი.

გაციფრულების სწორად მართვას შეუძლია მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა მომხმარებლებისთვის, სადაზღვევო კომპანიებისა და მთლიანად საზოგადოებისთვის. მას შეუძლია შეამციროს სადაზღვევო რისკები და აამაღლოს რისკმენეჯმენტის ეფექტიანობა.

გაციფრულების ტენდენციას თან სდევს გარკვეული რისკებიც, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- ეთიკური პრობლემები და მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა;
- სადაზღვევო კომპანიების გაზრდილი დამოკიდებულება ციფრული ტექნოლოგიების მომწოდებელ კომპანიებზე;
- კიბერ საფრთხეების ზრდა.

ინტერნეტ რესურსების და პერსონალური მოწყობილობების განვითარება შესაძლებლობას იძლევა, რომ გაიზარდოს ინტერაქცია სადაზღვევო კომპანიებსა და მომხმარებლებს შორის. აგრეთვე შესაძლებელი ხდება სპეციალური ალგორითმების საშუალებით მოხდეს მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დამუშავება და ანალიზი.

გაციფრულების მზარდი ტენდენცია სადაზღვევო კომპანიებს აიძულებს გაზარდონ ონლაინ რეჟიმში სერვისების მიწოდება.

სადაზღვევო კომპანიებს ინოვაციური ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს მოახდინონ პერსონალური ფასწარმოქმნა და სადაზღვევო პროდუქტები შეუსაბამონ კონკრეტულ მყიდველთა საჭიროებებს. ასევე ხდება ადმინისტრაციული, საოპერაციო ხარჯების შემცირება, როდესაც ბლოკჩეინ ტექნოლოგიების საშუალებით ხდება სადაზღვევო პოლისების და ხელშეკრულებების ადმინისტრირება.

სადაზღვევო სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული ტექნოლოგიური საშუალებაა ხელოვნური ინტელექტი.

ამავე დროს აუცილებელი ხდება მარეგულირებელი ნორმების მორგება განვითარების თანამედროვე ტენდენციებთან, რაც უნდა ხორციელდებოდეს ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის, პროპორციულობის, ბაზრის მთლიანობის, მომხმარებელთა დაცვის პრინციპებზე დაყრდნობით.

სპეციფიკური მარეგულირებელი შეხედულებები უფრო ღრმად უნდა იქნეს

შესწავლილი შემდეგი მიმართულებებით:

- ოპერაციები და მენეჯმენტი;
- კიბერ რისკები;
- მომხმარებელთა დაცვა.

გაციფრულების თანმდევი ერთ-ერთი ყველაზე დიდი რისკი დაკავშირებულია ოპერაციებთან. სადაზღვევო კომპანიები სულ უფრო მეტად ხდებიან დამოკიდებულნი მესამე პირებზე, როგორიცაა ტექნოლოგიური და მონაცემთა პროვაიდერები. იქმნება რთული კავშირურთიერთობები სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელთა შორის, რომლებსაც განსხვავებული ოპერაციები აქვთ. ეს ოპერაციები შესაძლოა სხვადასხვა მარეგულირებელი მოთხოვნების ქვეშ ექცეოდეს.

ვებ-ტექნოლოგიებზე გაზრდილი დამოკიდებულება ზრდის კიბერ რისკების ალბათობას, რაც მოიცავს პერსონალური და ფინანსური ინფორმაციის მოპარვას. მარეგულირებელი პერსპექტივიდან გამომდინარე რეგულირებას შეუძლია მნიშვნელლოვანი წვლილი შეიტანოს კიბერ რისკების შემცირებაში

მომხმარებელთა დაცვის პრობლემა დაკავშირებულია ოპტიმალური თანაფარდობის დაცვასთან, რომ არ დაირღვეს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა და მეორე მხრივ, სადაზღვევო კომპანიებმა შეძლონ აუცილებელი ინფორმაციის მიღება და სადაზღვევო პროდუქტებზე ეფექტიანი ფასწარმოქმნა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. V. Njegomir, B. Marovic, Contemprorary Trends in The Global Insurance Industry, procedia, social and behavioral sciences, V. 44, PP. 134-142, 2012;
2. IAIS Global Insurance Market Report 2018 https://www.iaisweb.org/home;
3. OECD global Insurance Market Trends 201; https://www.oecd.org/finance/globalinsurancemarkettrends.htm


## რეზიუმე


გლობალიზაციის და ინტეგრაციული პროცესების ზრდა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მსოფლიო სადაზღვევო სისტემაზე. იცვლება სადაზღვევო კომპანიების ფინანსური და საოპერაციო გარემო, ჩნდება ახალი სახეობის რისკები და ვითარდება ტექნოლოგიები. იმისათვის, რომ თანამედრიოვე მეცნიერული პროგრესის შესაძლებლობები მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული და ამასთანავე შემცირდეს ის რისკები, რომლებიც თან ახლავს ტექნოლოგიების განვითარებას, აუცილებელია

სადაზღვევო კომპანიებმა მუდმივად ადევნონ თვალყური მსოფლიო სადაზღვევო სისტემის განვითარების ტენდენციებს. მსოფლიო სადაზღვევო სისტემაში გლობალიზაციის, ტექნოლოგიური პროგრესის ინტენსიფიკაცია სარგებელს აძლევს როგორც, მთლიანად საზოგადოებას, როდესაც წარმოიქმნება ახალი ტიპის, პერსონალურ საჭიროებებზე ორიენტირებული პროდუქტები, ასევე სადაზღვევო კომპანიებს, რომლებსაც ხარჯების ეკონომიის, არასასურველი ქცევის რისკის შემცირების საშუალება ეძლევათ. ამავე დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ თანმდევი რისკები, რომელთაგან ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია კიბერ რისკები. მის ქმედითი განხორციელების ინსტრუმენტად გვევლინება პროპორციულობის, ბაზრის ერთიანობის, მომხმარებელთა დაცვის პრინციპებზე დაფუძნებული მარეგულირებელი ჩარჩოს ჩამოყალიბება.


## ABSTRACT
## GLOBAL INSURANCE SYSTEM DEVELOPMENT TRENDS



Ilia Kozhoridze
PHD Student Of Georgian Technical University



The Growth of Globalization and Integration processes have a significant influence on Global insurance system. Operational and financial environment is being changed in insurance companies, also appears new types of risks. In order to maximize positive effect of modern technologies and minimize risks related to them, insurance companies must take into consideration global insurance system development trends. Intensification of globalization processes have a positive influence either on society and insurance companies. For society new insurance products are being created which are more customized and oriented on their needs, also insurance companies could reduce their operational costs. We must take into account new risks which are related to technological progress, where the most important ones are cyber risks, they are huge threat for society and insurance companies. In order to implement this, we need regulation based on technological neutrality, market unity and customer protection principles.

# საინჟინრო კორპუსის როლი ეკონომიკური განვითარების წარმატებაში

გივი აბდუშელიშვილი

საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიიცე-პრეზიდენტი, პროფესორი

როგორც ირკვევა, საერთაშორისო ვითარება, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობანი, საზოგადოების მონაწილეობა გეოსტრატეგიულ პრობლემებში სისტემატურად იცვლება, ფართოვდება, უფრო მრავალმხრივი ხდება. მაღალი მნიშვნელოვანი გარღვევებით ხასიათდება სამეცნიერო-ტექნოლოგიური სამუშაოები; ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროზე ზეგავლენას ახდენს ინოვაციური და მეცნიერებატევადი ტექნოლოგიები, მეცნიერებები აზროვნების, დედამიწისა და კოსმოსის შესახებ, ადამიანისა თუ ბუნების შემსწავლელი საქმიანობის ხაზით, თუნდაც საზოგადოებრივ თუ ყოფითი მიმართულებით.

როგორც ჩანს, ყველა მიმართულებით საწყისი ეტაპი არის იდეა, მეცნიერული კვლევა, ექსპერიმენტი, რასაც მოსდევს პრაქტიკის, დანერგვის, რეალიზაციის, მოქმედ ნაკეთობათა, ობიექტების, კომპლექსების შექმნისა და ექსპლუატაციის ეტაპი.

სწორედ ეს კავშირი `მეცნიერება-პრაქტიკა~ და `იდეა-რეალიზაცია~ უმთავრესად ხორციელდება ინჟინრების მიერ და საწარმოო სფეროს ჩარჩოებში.

მე-19-20 საუკუნეებში მსოფლიო გამოცდილება, განსაკუთრებით ე.წ. `განვითარებული ქვეყნების~, გვიჩვენებს, რომ სამეცნიერო-ტექნოლოგიური იდეებისა და შედეგებისათვის რეალიზაციის მექანიზმის მიცემა შესწევთ საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ და საწარმოო ძალებს და სწორედ მათ ვუწოდებთ `საინჟინრო კორპუსს~.

სწორედ ისინი, არიან რა თითქმის ყველა ეკონომიკური დარგის ხარხემალი, წარმოადგენენ სახელმწიფო სიმდიდრეს და ეკონომიკის დარგობრივი თუ რეგიონული განვითარების საფუძველს, თავდაცვისუნარიანობის, სოციალური სფეროს, კვების, ჯანდაცვის, ეკოლოგიური, ენერგეტიკული უსაფრთხოების პროგრამების ინტელექტუალურ საფუძველს.

თუ ფუნდამენტალური და, თუნდაც, გამოყენებითი კვლევები წარმოადგენენ ეკონომიკის ხარჯვითი ნაწილის სტადიებს, სწორედ საინჟინრო და საწარმოო სტადიების შემდეგ ხდება ეკონომიკა მომგებიანი.

ზოგიერთი ქვეყნის, პირველ რიგში დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების და, თუნდაც, გარკვეულ ეტაპზე – საბჭოთა კავშირის, მაგალითები მრეწველობის ისეთი დარგების განვითარებაში, როგორიცაა სამთო-გადამამუშავებელი, სასოფლო-სამეურნეო და სურსათწარმოება, მანქანათმშენებლობის მრავალდარგოვანი კომპლექსები, სამშენებლო ინდუსტრია, ენერგეტიკა და სხვა, ნათლად გვიჩვენებენ, რომ საწარმოო სფერო სრულად ეყრდნობა სამეცნიერო-ტექნოლოგიურ და საინჟინრო-საწარმოო გადაწყვეტილებებს, მიღწევებს.

ალბათ, არ არის აუცილებლობა ჩამოვთვალოთ სატრანსპორტო სფეროს მიღწევები, მისი მასშტაბები, ტექნიკურ საშუალებათა სპექტრი და მისი ისტორიული და პრაქტიკული როლი კონტინენტების ათვისებაში, სამხედრო-თავდაცვით ამოცანებში, მსხვილი ეკონომიკური პროგრამების გადაწყვეტაში; ასევე არ არის აუცილებლობა აღვწეროთ ენერგეტიკის როლი ნებისმიერ სახელმწიფოთა ეკონომიკის, კულტურისა თუ სოციალური სფეროს განვითარებაში.

თვით საქართველოს მაგალითზე ზოგიერთი მოკლე ექსკურსი კი შეიძლება

საინტერესოდ ჩაითვალოს:

- საუკუნენახევარს ითვლის ქ. ფოთის ნავსადგური, მასთან მიბმული რკინიგზა და სახელოსნოები (ხაშურსა და თბილისში), შემდეგ კი – ვაგონშემკეთებელი ქარხანა;

- საუკუნეზე მეტია, რაც საქართველოში დაიწყო ჰიდროენერგო ობიექტების მშენებლობა;

- საუკუნეზე მეტია, რაც საქართველოში ფეხი მოიკიდა სამთო-სამრეწველო საწარმოებმა (ჭიათურის მანგანუმის კომბინატი);

- 80 წელზე მეტია, რაც ითვლიან თავის საქმიანობას ფერადი და შავი მეტალურგიის საწარმოები (ცენტროლიტის ქარხანა დიდუბეში და ფეროშენადნობთა ქარხანა ზესტაფონში); 70 წლისაა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა.

- 70 წელზე მეტი ისტორია აქვთ ისეთ თავდაცვით საწარმოებს, როგორიცაა თბილისის ავიამშენებელი ქარხანა, რომელიც უშვებდა ცნობილ "ЅҮ"-სა და მათზე დამაგრებულ რაკეტებს.

- ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც დაარსდა თბილისის ელექტრომავალმშენებელთა ქარხანა (მაგისტრალური ელმავლების გამომშვები) და ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა (მაღაროთა ელმავლების გამომშვები).

- ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლიან ისეთი სამეცნიერო-საკონტრუქტორო ტექნოლოგიური და საწარმოო ცენტრები, როგორიცაა `ტნიისა~, `ანალიზხელსაწყო~, `სოხუმხელსაწყო~, `გორიხელსაწყო~, `მიონი~, რუსთავის `ავტომატმრეწვი~, ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნები (5 ერთეული!), ფოთის ელექტრომექანიკური და ელექტროაპარატის საწარმოები, გემთმშენებელი ქარხანა (წყალქვეშა ფრთებზე!) და მიწისმწოვი საწყალოსნო კომპლექსები (!), რომლებზეც ამოუწურავი საექსპორტო მოთხოვნები დღესაც არის.

- ერთ-ერთ ისტორიულ საწარმოს მანქანათმშენებლობის სფეროში წარმოადგენენ (80 წლის წინათ დაარსებული !) თბილისის ჩარხმშენებელი ქარხანა, მასთან შეკრული როგორც სახეხი ჩარხების ქარხანა, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, მძლავრი სამეცნიერო-კვლევითი-ტექნოლოგიური ინსტიტუტი და ინსტრუმენტალური ქარხანა.

- ცხადია, ქვეყნის ეკონომიკაში, განსაკუთრებული ადგილი უკავია სასოფლო-სამეურნეო და კვების ინდუსტრიის დარგის საკონსტრუქტორო ბიუროებსა და საწარმოებს, რომლებიც აწარმოებდნენ მცირეგაბარიტიან ტრაქტორებს, სახნავ და სასხლავ ელექტროინსტრუმენტს ჩაისაკრეფ მანქანებს და სხვა ტექნოლოგიურ ხაზებს.

- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის საუკუნოვანი ისტორია აქვს ნავთობმილსადენსა და ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას, საბაგირო გზებს და სხვა.

- ნათელია, რომ ამ ჩამონათვალში ფლაგმანის ადგილი ეკავათ რუსთავის მეტალურგიულ კომბინატსა (70წ.) ორიენტირებულს მილწარმოებასა და ნაგლინ ლითონპროდუქციის გამოშვებაზე, ქუთაისის ავტომშენებელ ქარხანას (70წ.), ორიენტირებულს სატვირთო, გრძელძარიანი, თვითმცლელი, ნაგვის ამღებიც და სხვა სახის მოდიფიკაციის მანქანების გამოშვებაზე.

- ასეთივე ჩამონათვალი შეიძლება გაგრძელდეს სართავი, ტრიკოტაჟის, სამკერვალო, ტყავ-საგალანტერიო საწარმოების ხარჯზე, მათივე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტითა და ნორმატიული სადგურებით.

- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა მსხვილი საწარმოს შემადგენლობაში წარმატებულ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენენ საკუთარი საკონტრუქტორო ბიუროები, ხარისხის საქარხნო ლაბორატორიები, გამოთვლითი ცენტრები.

საქართველოში, თავისი ბუნებრივი რესურსების გამო, განსაკუთრებული, ტრადიციული ადგილი უკავია სამთო-მომპოვებელ და გადამამუშავებელ დარგს,

გეოლოგიის სფეროს; 80 წელზე მეტი ისტორია ჰქონდა ამ სამსახურებს და საკავშირო მასშტაბით წამყვან ინსტიტუტებს (გეოლოგიის, კავკასიის მინერალური ნედლეულის და სხვა).

თავისი ჰიდრორესურსების გამო, აგრეთვე, განსაკუთრებულ დარგს ქვეყანაში წარმოადგენს ჰიდრო- და თბო-ენერგეტიკა, თავისი ისტორიული კომპლექსებით (ზაჰესი, რიონჰესი, ჩითახევჰესი, ხრამჰესი და მრავალი სხვა, ხოლო მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან – ენგურჰესი).

ასეთი ჩამონათვალის გახსენების მიზანი არის შემდეგი მოსაზრებანი, რომ ხაზგასმით აღინიშნოს:

- ეს საწარმოები და კოლექტივები ძირითადში კომპლექტდებოდნენ ადგილობრივიუმაღლესისკოლის(სასწავლოინსტიტუტების,უნივერსიტეტების)მიერ გამოშვებული სპეციალისტებით: - დაწყებული თბილისის რეალური სასწავლებლით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტით და მისგან გამოყოფილი: - ინდუსტრიული, შემდგომში – პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ამჟამად – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), _ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტ (ამჟამად საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი); სწორედ მათში, მრავალრიცხოვანი საბაზო კათედრებისა, დარგობრივი და პრობლემური ლაბორატორიების მიერ ყალიბდებოდა სამეცნიერო და საწარმოო განათლებისა და გამოცდილების სპეციალისტები, რომლებიც ავსებდნენ საკონსტრუქტორო ბიუროებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებს.

ამით, კიდევ ერთხელ, ხაზი გაესვა იმ ისტორიულ ფაქტს, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები წარმოადგენდნენ სხვა _ ჰუმანიტარული, ისტორიოგრაფიული, ქართველოლოგიური, სამართალდაცვის, ეკონომიკური თეორიის, ფუნდამენტური _ მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის დარგების, პარალელურად საინჟინრო კორპუსის სამჭედლოს.

აქვე უნდა ხაზი გაესვას იმ მრავალ ასეულ და ათასეულ ახალგაზრდა სპეციალისტს ჩვენი რესპუბლიკიდან, რომლებსაც მიეცათ საკავშირო სამეცნიერო-ტექნოლოგიური და საწარმოო ცენტრებში დაფრთიანების საშუალება.

აუცილებლად ვთვლი, კიდევ აღინიშნოს, რომ დიდი სამამულო ომის (1941-45 წწ.) წლებში, მრავალ ჩამოთვლილ საწარმოთა მიერ საქართველოში იწარმოებოდა სამხედრო ტექნიკა; ავტომატები, თოფები, პისტოლეტები, ნაღმები, ნაღმსატყორცნები და სხვა.

თავისი უწყებრივი დაქვემდებარებით, თითქმის ყველა ჩამოთვლილი საწარმო მიეკუთვნებოდა საკავშირო სამინისტროებს, გააჩნდათ შესაბამისი ცენტრალური სამმართველოები და სამეცნიერო-კვლევითი უზრუნველყოფა, რაც, თავისთავად, ხელს უწყობდა მათ განვითარებას და სპეციალისტთა პროფესიულ სრულყოფას.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არა მხოლოდ ფაქტიურად არის `ალმა-მატერი~ ჩვენი ეროვნული სამეცნიერო-ტექნიკური აზროვნებისა და ინჟინერიის სამჭედლო, არამედ თვით არის მრავალი სამეცნიერო-ტექნოლოგიური და საწარმოო პროექტის ავტორი, რაც დიდად წაადგება ხოლმე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. უკანასკნელ წლებში შექმნილი ვითარების გამო, მასთან დაქვემდებარებული მრავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და კოლექტივის ბაზაზე მუშავდება `ტექნო-პარკების~ იდეა და, ვფიქრობ, რომ ეს სტრუქტურული რეფორმაც უზრუნველყოფს როგორც სასწავლო პროგრამების სრულყოფას, ასევე ინჟინრების გამოშვებას თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით.

საყურადღებოდ უნდა იქნას მიჩნეული ის ფაქტიც, რომ სწორედ თბილისის

სახელმწიფო უნვიერსიტეტის, თბილისის ინდუსტრიული და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების ბაზაზე, გასული საუკუნის 30-იან, 40-იან, 50-იან, 60-იან წლებში შეიქმნა ათეული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ესოდენ საჭირო და მიზანმიმართული ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი აღმასვლისათვის: - გეოლოგიის, - მინერალური ნედლეულის, - სამთო საქმის, - მეტალურგიის, - ენერგეტიკის, - სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელქტროფიკაციის, - ქიმიის, - ფიზიკის და სხვა. სწორედ მათ მსგავსად და მხარდაჭერით შეიქმნა 50-იან და 60-იან წლებში უკვე ადგილობრივი თუ საკავშირო დაქვემდებარების, მაგრამ ახალი მიმართულებების, სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრები: - ავტომატიზაციის, - მართვის პროცესების, - კიბერნეტიკის, - ელექტრონიკის, და ა.შ.

ცხადია, რომ ეკონომიკის განვითარების ერთიან პროცესებში, აგრეთვე სამეცნიერო ტექნოლოგიურ და საწარმოო სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მშენებლობას, საშენი მასალების წარმოებას; ამიტომაც იყო ქართველ ინჟინრებში მაღალი დონის ავტორიტეტებს წარმოადგენდნენ სეისმიკის, სამშენებლოს მექანიკის, სამშენებლო მასალების სამეცნიერო-ტექნოლოგიურ და საწარმოო ცენტრები, ათეულობით საპროექტო ინსტიტუტები, რომელთა წარმომადგენლები ასრულებდნენ აგრეთვე საკავშირო დავალებებს, უცხოეთში მონაწილეობდნენ დიდი მასშტაბის პროექტებში; სამაგალითოა გამოჩენილი ქართველი ინჟინრების, მეცნიერებისა და სპეციალისტების საქმიანობა ინდოეთში, ეგვიპტეში და სხვა ქვეყნებში.

(უკვე) მოგვიანებით, ე.წ. `გარდაქმნის~ ეპოქაში, ჰიპერტროფირებული ცენტრალიზმიდან გამოსვლის პერიოდში, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის, საბაზრო ეკონომიკის, კაპიტალიზმის საწყისი განვითარებისას დაიწყო საზოგადოებრივი კავშირების ფორმირების ტენდენცია. ერთ-ერთი პირველი მათგანი გახდა საქართველოს საინჟინრო აკადემიის ჩამოყალიბება (1991-92 წწ.), რომელთა ხელმძღვანელობაში არჩეულ იქნენ გამოჩენილი ქართველი ინჟინრები, მეცნიერები, მათ შორის – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრები.

ამჟამად, საქართველოს საინჟინრო აკადემია, მიუხედავად ეკონომიკის მრავალმხრივი დაქვეითებისა, მაინც განაგრძობს მთავრობის კოლექტიური სამეცნიერო-ტექნოლოგიური მრჩევლის ფუნქციას, ასრულებს მრავალდარ¬გოვანი ექპსერტის ამოცანებს, ანხორციელებს მრავალი დარგობრივი კოლექტივების საქმიანობის კოორდინაციას, გამოარჩევს პერსპექტიულ სამცნიერო-ტექნოლოგიურ და საკონსტრუქტორო-ექსპერიმენტულ სამუშაოებს.

ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის გაჯანსაღების პრობლემები, ლიბერალური ეკონომიკისა და საბაზრო ურთიერთობების შემოღება და გავრცელება, სტრატეგიული რეფორმები და ახალი კანონების ამოქმედება კერძო საკუთრებაში, საბანკო სფეროში და მეწარმეობაში, ითხოვენ არა მხოლოდ მართვის ახალ ფორმებს, არამედ სპეციალისტების პროფილურ მომზადებას, სტაჟირებას და პრაქტიკაში აღზრდას, რომელთა შორის ყოველთვის იქნება მოთხოვნილი საინჟინრო კორპუსიც, რაც, თავისთავად, კვლავ დააყენებს სათანადო ამოცანებს უმაღლესი სასწავლებლების, სამინისტროების, მთავრობის, აკადემიური სტრუქტურების წინაშე, ცხადია ადგილობრივი, საკუთარი, და უცხოური მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გამოყენებით.

Резюме

Экономическое и социальное положение страны является одной из важнейших актуальных задач правительств. Постсоветский переходный период в Грузии, к сожалению, растянулся на многие годы и имел серьезные-негативные последствия для населения.

На каждом этапе экономического развития, примером которого являются многие страны мира, одна из важнейших ролей принадлежит сфере производства; особенно, Экономика будет успешной, если ее отраслевая структура будет правильно выбрана (акцентирована) и насколько активно будет использоваться процесс научно-технического включения.

Такие международные примеры хорошо известны: несмотря на масштабы и разрушительные последствия Второй мировой войны, всего за 10 лет Германия, Япония, Италия, Советский Союз, Восточная Европа достигли очень высоких уровней за счет промышленности, в основном в области машиностроения, горного дела, технологических инновации.

Я счел интересным показать грузинскому читателю краткое описание того уровня, которого достигли ведущие машиностроительные и промышленные отрасли в послевоенный период в Грузии, к сожалению, почти полностью разрушенные в постсоветский переходный период.

SUMMARY

The economic and social situation of a country is one of the most important concerns of Governments. Unfortunately, the post-Soviet transition period in Georgia extended for many years and had serious negative consequences for the population.

At every stage of economic development, of which many countries are examples, one of the most important roles belongs to the sphere of production; especially, the economy will be successful if its sectoral structure is correctly chosen (accentuated) and the process of scientific and technological inclusion is actively used.

Such international examples are well known: despite the scale and destructive effects of the Second World War, in just 10 years Germany, Japan, Italy, the Soviet Union, Eastern Europe have reached very high levels at the expense of industry, mainly in the field of mechanical engineering, mining, technological innovation.

I found it interesting to show the Georgian reader a brief description of the level reached by the leading machine-building and industrial sectors in post-war Georgia, which unfortunately were almost completely destroyed in the post-Soviet transition period.

# მართვის მახასიათებლები თანამედროვე უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში

**ნინო ჩუბინიძე**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი**

**საკვანძო სიტყვები:** საგანმანათლებლო სისტემა, თანამედროვე პირობები, სისტემის მართვა, სისტემის მახასიათებლები.

თანამედროვე პირობებში უმაღლესი განათლების სისტემის მართვის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ ბოლო წლებში განათლების პრობლემები ფაქტობრივად მხოლოდ საგანმანათლებლო სისტემის, ანუ მეგა დონეზე გვარდება. უნდა აღვნიშნოთ, რომ 2004 წელი გარდამტეხი იყო საქართველოს განათლების სისტემის განვითარებაში, სწორედ ამ წლიდან გახდა განათლების ქართული სისტემა ეროვნულ დონეზე ზრუნვის საგანი. საგანმანათლებლო სისტემაში არსებული პრობლემების მოგვარება საერთო ეროვნული პოლიტიკის კომპონენტი ხდება, ხოლო საგანმანათლებლო სისტემაში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ქართული საზოგადოებისთვის განათლების სისტემის მართვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

ამავე დროს, განათლების პრიორიტეტულობა მუდმივად უნდა დარჩეს დეკლარირებულ მიმართულებათა შორის და თანმიმდევრულად უნდა ხორციელდებოდეს პრაქტიკაში. როგორც აღნიშნულია იუნესკოს მსოფლიო კონფერენციის დეკლარაციის „21-ე საუკუნეში განათლებისადმი მიდგომებში და პრაქტიკული ღონისძიებებში" მე-13 მუხლში: "… უმაღლესი განათლების სფეროს მართვა და დაფინანსება მოითხოვს განვითრების შესაბამისი პოტენციალისა და სტრატეგიის დაგეგმვას და პოლიტიკის ანალიზს, რომელიც ეყრდნობა პარტნიორულ კავშირებს რესურსების მართვა-გამოყენების, „ხარჯვა-ეფექტიანობის" კრიტერიუმების საჭირო დონეზე უზრუნველსაყოფად".

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა მივიდნენ პერსპექტიული მართვის პრაქტიკამდე, რომელიც აკმაყოფილებს იმ გარემოს მოთხოვნებს, რომელშიც ისინი მოქმედებენ. მართვის საბოლოო მიზანი უნდა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური მისიის გაძლიერება, სწავლებისა და კადრების მომზადების მაღალი დონის, სამეცნიერო კვლევების მაღალი ხარისხისა და საზოგადოებისთვის მსახურების უზრუნველსაყოფად.

ახალი საგანმანათლებლო სისტემის მართვის არსებითი თვისებები რთული სტრუქტურით განისაზღვრება. თანამედროვე განათლების სისტემის ძირითადი ქვესისტემებს წარმოადგენს პედაგოგიური, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და ეკონომიკური ქვესისტემები, რომლებიც ერთმანეთთან და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებთან რთულ ურთიერთქმედებაში არიან (ნახ. 1).

აქედან გამომდინარე, უმაღლესი განათლების მართვის ყველა დონეზე (ეროვნულ, რეგიონალურ, მუნიციპალურ და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების) მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს თანმიმდევრულობა. უმაღლესი განათლების სისტემაში მართვა წარმოადგენს საგანმანათლებლო მენეჯმენტის სხვადასხვა დონის ინტეგრაციას. აქედან გამომდინარე, ჩვენი წარმოდგენით, მენეჯმენტი არის ურთიერთქმედების პროცესი, ხოლო განათლების მენეჯმენტი - მართვის სისტემა, რომელშიც ძირითადი ელემენტებს წარმოადგენს: განათლების სფეროში მენეჯმენტი სახელმწიფო დონეზე, სამინისტროს დონეზე და უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების მენეჯმენტი.

**დიაგრამა 1. განათლების თანამედროვე სისტემის საერთო სტრუქტურა**




„მართვის პირამიდის" გამოყენებით და მისი კორელაციით საგანმანათლებლო სისტემის მართვის ვერტიკალურ დონესთან, მივიღებთ შემდეგ სურათს მართვის სამ ძირითადი დონეს:

1) მართვის უმაღლესი დონე - ეს არის განათლების სფეროს სახელმწიფო დონის მენეჯმენტი (top-management);

2) მართვის საშუალო რგოლი - არის მენეჯმენტი სამინისტროს დონეზე (middle-management);

3) ყველაზე დაბალი რგოლს წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უნივერსისტეტის) მენეჯმენტი (first-management, ან low-management).

ამავე დროს, თითოეული რგოლი, თავის მხრივ, შეიძლება წარმოადგენდეს „შიდა მმართველობით პირამიდას", რომელიც შედგება ასეთივე რგოლებისაგან, მაგრამ მოცემული კონკრეტული დონის ფარგლებში.

უმაღლესი განათლების სისტემაში ასეთი მართვის ეფექტურობა დამოკიდებულია ხსენებული დონეების ურთიერთკავშირის ხარისხზე და მის უწყვეტობაზე; ხოლო მართვის გადაწყვეტილებების შეფასება ყველა დონეზე ასახულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მენეჯმენტის ეფექტურობასა და წარმატებაში.

გარდა ამისა, უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის განვითარების მართვა ეფექტური შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები, სწავლებისა და ცოდნის გადაცემის ინოვაციური მეთოდები (პირველ რიგში მულტიმედიური და ინტერნეტ ტექნოლოგიები და ა.შ.). აღნიშნული ასევე დამოკიდებულია შესაბამის ორგანიზაციულ სტრუქტურებზე და ფორმებზე, ახალი ეკონომიკური მექანიზმების შემუშავებაზე. სასწავლო პრობლემის სრულყოფის პროცესები მისი დაფინანსების მექანიზმებისა და ორგანიზაციული ფორმების შემუშავებისგან იზოლირებულად ვერ მოგვარდება. ეს პრობლემები უნდა განიხილებოდეს და მოგვარდეს, როგორც ინტეგრირებული სისტემის ფორმირების

ერთიანი პროცესის კომპონენტები.

გარდა ამისა, უმაღლესი განათლების მართვის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ახალი მარეგულირებელი აქტების შემუშავებას, რომლებიც შეესაბამება არა მხოლოდ საქართველოსს სოციალურ-კულტურულ ვითარებას, არამედ საზოგადოების საჭიროებებსაც. მათ ასევე შეუძლიათ განსაზღვრონ უმაღლესი განათლების სახელმწიფო, არასახელმწიფო და მუნიციპალური დონის თანაფარდობა, რაც დღეს აუცილებლობას წარმოადგენს.

ამჟამად ვითარდება და ხორციელდება განათლების მართვის დეცენტრალიზაციის პრინციპი - ეს არის კომპეტენციის, უფლებამოსილებების და პასუხისმგებლობის გადანაწილება მის სხვადასხვა დონეებს შორის.

ახალი იურიდიული საფუძვლების განვითარების გარეშე შეუძლებელია ახალი სისტემის ჩამოყალიბება. ამიტომ, განათლების მართვის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების სრულყოფა და მასზე დაყრდნობით პრაქტიკული ქმედებების აგება წარმოადგენს უმაღლესი განათლების მართვის მნიშვნელოვან პრინციპს.

მიღებულია ჩაითვალოს, რომ თანამედროვე პირობებში უმაღლესი განათლების მართვამ უნდა გადაწყვიტოს შემდეგი პრობლემები:

- განათლების ხელმისაწვდომობის ორგანიზება, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს საქართველოს მოსახლეობის საგანმანათლებლო საჭიროებები;
- ყველა ადამიანისთვის განათლების ყველა დონეზე და საფეხურზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- განათლების ხარისხის ამაღლება და მისდამი წაყენებული მოთხოვნების საზოგადოების საჭიროებებთან შესაბამისობა;
- განათლების სისტემის ეფექტურობის ამაღლება;
- განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფა;
- პერსონალური დაფინანსებისა და საგანმანათლებლო საჭიროებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების გადანაწილების მიზანშეწონილობის მეშვეობით უფასო უმაღლესი განათლების პრინციპის დაცვა; სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთიან კომპლექსში ინტეგრაციის უზრუნველყოფა;
- კონკურენტული საგანმანათლებლო გარემოს განვითარება.

ყველა ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს სტუდენტების სწავლების პირობებში, როცა ადგილი აქვს ერთი სტუდენტზე გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების შემცირებას. ეს ტენდენცია ბოლო წლებში საკმაოდ სტაბილური იყო. პრობლემების ხედვის სირთულე, სახელმწიფო დაფინანსების შემცირებასთან ერთად, მოითხოვს სახელმწიფოს, საწარმოების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ოჯახების, სტუდენტების როლისა და ფუნქციების გადახედვას განათლების დაფინანსებისა და ორგანიზების საქმეში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვა თანამედროვე პირობებში მოითხოვს განათლების პრობლემების მოგვარებაში სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტის, ძირითადად, ოჯახების ჩართვას; გარდა ამისა, სტუდენტების როლის გადახედვას სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მხარდაჭერაში. სტუდენტის როლი განისაზღვრება საკმარისად დიფერენცირებულ საგანმანათლებლო სივრცეში სწავლების გზის ტრაექტორიის დამოუკიდებელი არჩევითა და მონაწილეობით სწავლის საფასურის გადახდაში.

ოჯახი გარკვეულ როლს ასრულებს უმაღლესი განათლების ორგანიზებაში:

ა) თუ ოჯახს შეუძლია გადაიხადოს განათლების საფასური, იგი მონაწილეობს მის დაფინანსებაში;

ბ) აბიტურიენტის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების და სპეციალობის არჩევანში მონაწილეობით, იგი გარკვეულწილად მოქმედებს განათლების შინაარსზე;

გ) სატელეკომუნიკაციო ბაზაზე დისტანციურ სწავლებაში მონაწილეობით, ოჯახი ხელს უწყობს სასწავლო გარემოს შექმნასა და ჩამოყალიბებას.

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის მართვის დამახასიათებელი თვისება უნდა იყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიურობის პრინციპის შემდგომი განვითარება, საგანმანათლებლო პროცესის ძირითადი მახასიათებლების დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობა; კერძოდ, ესაა სწავლებისთვის გამოყენებული მეთოდები და ტექნოლოგიები, საკადრო პოტენციალის სტრუქტურა, დაფინანსების წყარო, სტუდენტთა კონტინგენტი და მთლიანობაში სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფის შესაძლებლობა.

სახელმწიფო მენეჯმენტის დონეზე, განათლების მართვის სახელმწიფო ორგანოებს ევალებათ უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის სტრატეგიის შემუშავება და ამ სტრატეგიის განხორციელების რეგულირების ფუნქცია. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებაში, სახელმწიფო უშუალო ხელმძღვანელიდან გადაიქცევა საგანმანათლებლო სერვისების აქტიურ დამკვეთად და მომხმარებლად.

ურთიერთობების საბაზრო სისტემაში, უმაღლესი განათლების სისტემა აყალიბებს მართვის ახალ სტილს, რაც გულისხმობს კონკურენტულ ბაზარზე არსებულ საგანმანათლებლო გარემოს პირობებში მართვას. ამასთან ერთდ, საქართველოში უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო სივრცის სეგმენტი ყველაზე მეტად კონკურენტუნარიანია ყველა სხვა სეგმენტთან შედარებით. ზოგჯერ სწორედ მასში შეინიშნება მკაცრი ბრძოლა უმაღლესი განათლების სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორებს შორის. მიმდინარეობს „ბრძოლა" საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრისა და მისი მომხმარებლებისთვის, პოტენციურ დონეზეც კი. ამ ბაზარს ახასიათებს მაღალი ადაპტირების უნარი, ცვალებადობა და საკმარისი სტაბილურობა. უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების საბაზრო პრინციპის განხორციელება გულისხმობს განათლების სფეროში ახალი ეკონომიკური მექანიზმების შემუშავებასა და განვითარებას.

საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის განვითარებასთან ერთად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამთავრობო ორგანოებს შორის ვითარდება კვალიფიციური კადრების მომზადების სახელშეკრულებო ურთიერთობების სისტემა, რაც გულისხმობს განათლების ხარისხის მოთხოვნების დაფიქსირებას. ხოლო საგანმანათლებლო სერვისების ხარისხის შესახებ მოთხოვნები დგინდება უმაღლესი განათლების სახელმწიფო სტანდარტების საფუძველზე. მათში განსაზღვრულია ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო მინიმალური შინაარსი (მაგალითად, აკადემიური დატვირთვის მოცულობა, კურსდამთავრებულთა მომზადების დონისადმი მოთხოვნები და ა.შ.), რაც საფუძვლად უდევს მიღებული განათლების დონისა და ხარისხის შეფასებას. სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებისბაზაზე,იქმნებაგანათლებისხარისხისკონტროლისეროვნულისისტემა, ხდება განათლების ხარისხის მონიტორინგის ორგანიზება სახელმწიფო,რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე.

ამგვარად, თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის მართვის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრავენ მის სტრატეგიულ ხელმძღვანელობას, არიან:

1. უმაღლესი განათლების სისტემის განვითრებისა და მოდერნიზებისთვის აქტიური პოლიტიკის გატარების საჭიროება;

2. უმაღლესი განათლების მართვის ძირითადი პრინციპი ყველა სტრუქტურულ დონეზე (სახელმწიფო, რეგიონალური, მუნიციპალური და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების), როგორც სისტემურ პრინციპად უნდა იქნას აღიარებული;

3. უმაღლესი განათლების სისტემაში მართვა უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოების საჭიროებებს და უნდა უზრუნველყოს განათლების ხელმისაწვდომობა;

4. უმაღლესი განათლების სისტემის მართვის ეფექტურობის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს სხვადასხვა ვერტიკალურ სტრუქტურულ დონეებზე ორგანიზაციების კომპეტენციების დაყოფის ხარჯზე, რომელიც უნდა მოხდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიის განვითრების პრინციპის დაცვით იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებას, უზრუნველყოფას და განვითარებას (ესენია სწავლების მეთოდებისა და განათლების ტექნოლოგიების შერჩევა, დასაქმებული პროფესორ-მასწავლებლების სტრუქტურისა და შემადგენლობის განსაზღვრა, დაფინანსების წყაროები, მოსწავლე სტუდენტების კონტინგენტი და სხვა.);

5. სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტატუსის მქონე უმაღლეს სასწავლებლებს შორის ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;

6. განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და მისი კონტროლის სისტემის შემუშავება საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

**დასკვნა.** განათლების მოდერნიზაციის პროცესში, რომელიც განიხილება როგორც ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორი, სახელმწიფო თანმიმდევრულად ზრდის ფინანსურ დახმარებას აუცილებელი საჭიროების შესაბამისად. განათლების მოდერნიზაციისა და განვითარების ეფექტური ეკონომიკური მექანიზმების ფორმირების მნიშვნელოვანი ელემენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფაქტიურად ახალ პრინციპებს და დარგის დაფინანსების სისტემას, უნდა გახდნენ:

- ზოგადი, საშუალო და დაწყებითი პროფესიული განათლების ნორმატიული საბიუჯეტო დაფინანსების დანერგვა, რომელშიც გათვალისწინებულია სახელმწიფო სასწავლო სტანდარტების დაცვა და საგანმანათლებლო პროცესისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და სამომავლოდ უმაღლესი პროფესიული განათლების საბიუჯეტო დაფინანსების დიფერენცირებული სტანდარტების შემუშავება, რაც ასახავს მათ მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების ხასიათსა და შედეგებს;
- სახელმწიფო საგანმანათლებლო დაკრედიტების სისტემის შექმნა, დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებიდან და ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმოსული მოქალაქეების სუბსიდირება იმისათვის, რომ მიიღონ პროფესიული განათლება;
- ყველა დონის ბიუჯეტიდან განათლების განვითარებისათვის თანხების გამოყოფა, მათ შორის საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საგანმანათლებლო და ლაბორატორიული აღჭურვილობის, ინფორმაციული და გამოთვლითი კომპიუტერული ტექნოლოგიების შესყიდვისთვის; აგრეთვე საჭირო თანხების მოძიება ბიბლიოთეკების და საინფორმაციო რესურსების განვითარებისთვის, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

**References:**


1. Hague S. Beyond Universities. Institut of Economic Affair-L. 2011.
2. Holtmerg B. Growth and structure of distance education. L., 2006, P.163.
3. Keegan D. The foundation of distance education. L., 2006. P. 276.
4. Moore M.G.,Kearsley G. Listant Education: A System View. Wadsworth Pubishing. 2016.
5. Sounder W.E. The effectivenes of traditional versus satelite delivery in management of technology masters degree programs / American Journal of DE. 2013. P.37-53.


**რეზიუმე**


სტატია ეძღვნება ახალ ეკონომიკურ პირობებში საგანმანათლებლო სისტემის მართვის თავისებურებებს, რომლებიც, ავტორის აზრით, განისაზღვრება მათი ადგილის მიხედვით განათლებას თანამედროვე სოციალურ განვითარებაში. ავტორი ასაბუთებს, რომ განათლება გარდაიქმნება ადამიანის საქმიანობის ერთერთ ყველაზე ფართო და მნიშვნელოვან დარგად, რომელიც მჭიდროდაა გადაჯაჭვული სოციალური ცხოვრების დანარჩენ სფეროებთან: ეკონომიკა, პოლიტიკა, მატერიალური წარმოება და სულიერი ცხოვრება. გარდა ამისა, ავტორი აღნიშნავს, რომ თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის მართვის მახასიათებლები ძირეულად არის განსაზღვრული იმ მდგომარეობით, რომელშიც ბოლო ათწლეულების განმავლობაში იმყოფებოდა განათლების სფერო, - ესაა ექსპონენციური გაფართოების მდგომარეობა, რომელსაც თან სდევს მწვავე კრიზისული მოვლენები. ავტორი აანალიზებს შექმნილ მდგომარეობას და ეძებს კრიზისიდან გამოსვლის გზებს, რომლის დროსაც, მისი მოსაზრებით, გამოვლინდება ახალი საგანმანათლებლო სისტემის ძირითადი მახასიათებლები.


## RESUME

## MANAGEMENT FEATURES IN THE MODERN HIGHER EDUCATION SYSTEM


**Nino Chubinidze**

**Ph.D. student at Georgian Technical University**



The article is dedicated to education system management in new economic conditions, which, in the author›s view, is defined by their place in education in modern social development. The author argues that education is transformed into one of the broadest and most important areas of human activity that are closely intertwined with other areas of social life: economics, politics, material production, and spiritual life. In addition, the author notes that the management characteristics of the modern education system are fundamentally determined by the state of education in recent decades - an exponential expansion that is accompanied by severe crisis events. The author analyzes the current situation and looks for ways out of the crisis in which, in his opinion, the key features of the new educational system will be revealed.



Keywords: educational system, modern conditions, system management, system characteristics.

# კომუნიკაციის პროცესის ფორმირების მექანიზმი ორგა-ნიზაციებში

თამარ ღამბაშიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
კონსტანტინე თელია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  დოქტორანტი

ორგანიზაციის მუშაობა დამოკიდებულია ინფორმაციის გაცვლის პროცესზე - კომუნიკაციაზე. კომუნიკაციის პროცესში ქცევის შესახებ სიგნალები ან გზავნილები გადაეცემა ერთი სუბიექტიდან მეორეს და პირიქით. სუბიექტებად შესაძლოა მოგვევლინოს პიროვნება, ჯგუფი ან ორგანიზაცია მთლიანად.

პირველ შემთხვევაში კომუნიკაცია ატარებს

პიროვნებათშორის ხასიათს და ხორციელდება იდეების, ფაქტების, აზრების, მინიშნებების, შეგრძნებების, გრძნობებისა და ურთიერთობების გადაცემით ერთი პირიდან მეორეზე ვერბალური (ზეპირი ან წერილობითი) ფორმით, ასევე არავერბალური (პოზა, ჟესტი, ხმის ტონი და ა.შ) ფორმით სასურველი პასუხის მიღების მიზნით.

მეორე და მესამე შემთხვევაში ლაპარაკია ორგანიზაციულ კომუნიკაციაზე, ე.ი. იმაზე თუ ვინ და როდის აგზავნის სიგნალს ჯგუფის ან ორგანიზაციის კონტექსტში (თათბირი, პრეზენტაცია, ინსტრუქციები და პროცედურები,

საქმიანი დოკუმენტაცია, ბრძანებები და განკარგულებები, გეგმები და ა.შ.) და ორგანიზებულად იღებს პასუხს (დაკვირვება, ანგარიშები, შეფასება და ა.შ.).

კომუნიკაცია (ლათინურიდან communico-საერთოს ვხდი) ეს არის ინფორმაციის გადაცემა ერთი სისტემიდან მეორეზე (მ. შანიძე 2010). კომუნიკაციის პროცესი არის ინფორმაციის გაცვლა ორ ან მეტ ინდივიდს შორის. იგი მოიცავს ინფორმაციის, შეტყობინების კოდირებას, გადაცემას და გაშიფვრას.

ჩვენს გარშემო კომუნიკაცია ხორციელდება განუწყვეტლივ, ინდივიდებს, ჯგუფებს, საზოგადოებებს, ორგანიზაციებს, კორპორაციებს, კულტურებს, ქალაქებს, ქვეყნებს, შორის. კომუნიკაციისას ნიშნების სისტემათა და ნიშნობრივი წარმონაქმნების მეშვეობით გადაიცემა ინფორმაცია, ცოდნა, გრძნობები, აზრები, გამოცდილება შეხედულებები. კომუნიკაცია უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ერთობლივი მოქმედების შესაძლებლობას, მართვას, კონტროლს.

კომუნიკაცია უზრუნველყოფს ინფორმაციის გადაცემა-მიღებას. ინფორმაციის მოძრაობას უზრუნველყოფს ურთიერთდაკავშირებული ელემენტები. ინფორმაციის გაცვლის ჯაჭვში საწყის ელემენტს წარმოადგენს ინფორმაციის გამცემი, რომელიც შემდეგ ელემენტს ინფორმაციას გადასცემს ასევე პროცესის ერთ-ერთი ელემენტით არხით, ხოლო საბოლოო ელემენტს წარმოადგენს ინფორმაციის მიმღები.

კომუნიკაციის ამ ოთხი ელემენტიდან თითოეულს გააჩნია საკუთარი დანიშნულება, ერთმანეთთან კავშირით და ფუნქციების შესრულების ხარისხის შესაბამისად შედეგიც ისეთივე ეფექტურია. ინფორმაციის გამგზავნის, როგორც ერთ-ერთი ელემენტის როლს წარმოადგენს იდეის, მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვება, გაფილტვრა და გადასაცემად მომზადება. გამგზავნი ახდენს ინფორმაციის კორექტირებას და დამუშავება - კოდირებას, რომელსაც ეძლევა შემდეგი ელემენტის სახე ანუ ყალიბდება კონკრეტულ ინფორმაციად, რომელიც თავიდანვე შესაბამისობაში მოვიდა პროცესის შემდეგ ელემენტთან არხთან, ანუ ხერხთან რომლის მეშვეობითაც მოხდება ინფორმაციის გაცვლა. ეს მოიცავს პირისპირ, სატელეფონო, წერილობით

თუ სხვა ტიპის ურთიერთობებს.

კომუნიკაციის როლი მართვის სისტემაში უაღრესად მნიშვნელოვანია. ხელმძღვანელები თავისი სამუშაო დროის 50-დან 90%-მდე ხარჯავენ კომუნიკაციაზე. ინფორმაციის გაცვლა გამოიყენება მმართველობით საქმიანობაში და ეწოდება დამაკავშირებელი პროცესი. არაეფექტური კომუნიკაცია არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი პრობლემების წარმოქმნის მართველობით საქმიანობაში. აუცილებელია განუწყვეტელი მცდელობა არაეფექტური კომუნიკაციის შემთხვევების შესამცირებლად. პროფესიონალი ხელმძღვანელები წარმოადგენენ რა კომუნიკაციის პროცესის არს, ფლობენ კარგად განვითარებულ ზეპირ და წერილობით ურთიერთობის უნარს, კარგად ესმით თუ როგორ მოქმედებს გარემო ინფორმაციის გაცვლაზე.

კორპორაციები თავის გარე გარემოსთან ურთიერთობისათვის იყენებენ კომუნიკაციის სხვადსხვა საშუალებებს. არსებულ და პოტენციურ კლიენტებთან ისინი ურთიერთობენრეკლამითადასტიმულირებისსხვასაშუალებებით.საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის ახორციელებენ განსაზღვრული იმიჯის ფორმირებას, როგორც ადგილობრივ, ისე ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე. ორგანიზაციებს, მათი სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, უხდებათ დაემორჩილონ სახელმწიფო რეგულირებას და მოამზადონ სხვადსხვა სახის წერილობითი ანგარიშები. ეს არის მხოლოდ გარე გარემოს ფაქტორებზე და მოვლენებზე რეაგირების მაგალითების მცირედი ნაწილი. თათბირები,

სატელეფონო მოლაპარაკებები, სამსახურეობრივი წერილები, ანგარიშები, რომლებიც ცირკულირებენ კორპორაციის შიგნით, ხშირად წარმოადგენენ რეაქციას შესაძლებლობებზე ან პრობლემებზე, რომლებსაც ქმნის გარე გარემო. კორპორაციის სხვადასხვა დონესა და ქვეგანყოფილებას შორის კომუნიკაციის დროს ინფორმაცია გადაადგილდება დონიდან დონეზე ვერტიკალური კომუნიკაციის ჩარჩოებში. იგი შესაძლოა გადაიცემოდეს ზედა დონეებიდან ქვედაზე. მართვის დაქვემდებარებულ დონეებს ეცნობება მიმდინარე ამოცანების, პრიორიტეტებში ცვლილების, კონკრეტული ამოცანებისა და რეკომენდირებული პროცედურების შესახებ. მაგალითად, კორპორაციის აღმასრულებელმა დირექტორმა შესაძლოა შეატყობინოს წარმოების დირექტორს პროდუქციის წარმოებაში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ. თავის მხრივ, წარმოების დირექტორი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს მას დაქვემდებარებულ მენეჯერებს მომავალი ცვლილებების თავისებურებების შესახებ.

კორპორაციაში აუცილებელია კომუნიკაცია ქვედა დონიდან ზედა დონეზე. მოსამსახურეებმა უნდა შეატყობინონ თავის ხელმძღვანელობას წარმოშობილი პრობლემების შესახებ. ინფორმაციის გადაცემა ქვედა დონიდან ზედაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს მწარმოებლურობაზე. ღირებული ინფორმაცია წარმოების გაუმჯობესების შესახებ, რომელიც მოდის დაბალი დონის მუშაკებისაგან, თუ დროულად მიეწოდება ხელმძღვანელობას, გახდება კორპორაციის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების საშუალება.

კომუნიკაცია სხვადასხვა ქვეგანყოფილებებს შორის აუცილებელია ინფორმაციის გაცვლისათვის, ამოცანებისა და ქმედებების კოორდინაციისათვის. შედარებით ნათელია კომუნიკაციური ურთიერთობები უფროსსა და თანამშრომლებს შორის. ასეთი კომუნიკაციის მაგალითები შემდეგია:

· ამოცანების, პრიორიტეტების და მოსალოდნელი შედეგების განმარტება;
· ამოცანების გადაწყვეტაში ქვეგანყოფილებების ჩართვის უზრუნველყოფა;
· მუშაობის ეფექტიანობაში არსებული პრობლემების განხილვა;
· მოტივაციის მიზნით აღიარება და დასაჩუქრება;
· თანამშრომელთა უნარების დახვეწა და განვითარება;
· მოსალოდნელი, ყოფითი პრობლემის შესახებ ინფორმაციის შეგროვება.

· უფროსის მხრიდან თანამშრომლისათვის მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

· იდეების, წარმოების გაუმჯობესების და წინადადებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხელმძღვანელობისათვის.

არაფორმალური კომუნიკაცია შეგვიძლია ვუწოდოთ ჭორების გავრცელების არხებს. რამდენადაც ჭორების გავრცელების არხებით ინფორმაცია გადაეცემა ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე ფორმალური ურთიერთობების არხებით. ხელმძღვანელები ჭორებს ავრცელებენ ინფორმაციის დაგეგმილი გაჟონვის სახით. იმის მტკიცება, რომ ინფორმაცია გავრცელებული ჭორების სახით არ არის ზუსტი არ არის გამართლებული. კვლევებმა აჩვენეს, რომ ინფორმაცია გადაცემული ჭორების საშუალებით ხშირად აღმოჩნდება ზუსტი. ჭორების არანაკლებ 80%-სა ზუსტია თვით ორგანიზაციის შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაში. მაგრამ ჭორების სიზუსტის დონე მცირდება, როდესაც საქმე ეხება პირადად და ემოციურად გალამაზებულ ინფორმაციას.

კომუნიკაციის პროცესის ყველა ეტაპზე საჭიროა კომუნიკაციური ბარიერების გათვალისწინება. (თ. ბარხომენკო 2018). საჭიროა განხორციელდეს რაც შეიძლება მეტად პროცესის დამაბრკოლებელი და ხელისშემშლელი ეფექტებისგან გამოხშირვა, რაც თავის მხრივ გაზრდის ინფორმაციის სიზუსტეს და ხარისხს. კომუნიკაციური ბარიერები რომლებიც ხელს უშლიან ინფორმაციის გაცვლას შეიძლება დავყოთ რამდენიმე კატეგორიად:

1. ენობრივი ბარიერები გვხვდება მაშინაც კი როცა კომუნიკაცია არის საერთო ენაზე. ტერმინოლოგია, რომელიც გამოიყენება შეტყობინებისას შიძლება იქცეს ბარიერად, როცა შეიცავს ბევრ დარგობრივ სიტყვას, ჟარგონს, აბრევიატურას თუ ეს ყველაფერი უცხოა ინფორმაციის მიმღებისთვის.

2. ფსიქოლოგიური ფაქტორები ასევე შეიძლება გახდეს დაბრკოლება ინფორმაციის გაცვლისას. თუ ინფორმაციის გაცვლის პროცესში

ჩართული ინდივიდები არიან სტრესის ქვეშ, დარდობენ ამ დროს კომუნიკაციის ეფექტურობა იკლებს. ასევე საჭიროა სიბრაზის და თავდაჯერებულობის კონტროლი რადგან ამ დროს შეიძლება პიროვნებამ მორიდების გამო ბოლომდე ვერ გადმოგვცეს ინფორმაცია ან პირიქით იმაზე მეტად მძაფრად ვიდრე საჭიროა.

3. ფიზიკური ბარიერები კომუნიკაციისას გვხვდება როცა გარემო პირობები აბრკოლებს კომუნიკაციას. როცა ინფორმაციის გაცვლა ხდება ხალხმრავალ, ხმაურიან ან შეუფერებელ ადგილას. კომუნიკაციაში ჩართული პირები დაშორებულები არიან ერთმანეთს. ახლოს მყოფებთან კომუნიკაციისათვის მეტი შესაძლებლობა და ხერხია.

4. ავტორიტეტული ბარიერები გულისხმობს ინდივიდებს შორის პერსონალურ დამოკიდებულებებს. როცა არის პერსონალური კონფლიქტები, ნაკლები მოტივაცია, სტატუსებს შორის სხვაობა, რელიგიური თუ რასობრივი შეხედულებების გათვალისწინება.

5. ბარიერად შეიძლება ჩაითვალოს უკუკავშირის არარსებობაც. როცა ინფორმაციის მიმღების მიერ არ ხდება ინფორმაციის გადამცემთან კავშირი და მის მიერ გაშიფრული ინფორმაციის მართებულობის გადამოწმება.

კომუნიკაცია გვხვდება ოთხი ფორმით. პირველი და ყველაზე ხშირი ვერბალური კომუნიკაციაა, რომელიც სიტყვების და მეტყველების საფუძველზე გადასცემს შეტყობინებას. ვერბალური კომუნიკაციისას შეიძლება გამჟღავნდეს ფიქრები, ემოციები, სენტიმენტები. ვერბალური კომუნიკაცია შეიძლება გამოვიყენოთ საკუთარ თავთან, გონებაში საუბრით, ანალიზის ჩასატარებლად და ფიქრისთვის, სხვა ინდივიდთან სასაუბროდ, მცირე ჯგუფებსა თუ ფართო საზოგადოებასთან კონტაქტისას.

არავერბალური კომუნიკაცია არის პროცესი როცა ინფორმაცია გადაიცემა სიტყვების გარეშე. ჟესტების, სხეულის ენის, სახის გამომეტყველების, მზერით,

ტონით, ხმის ტემბრით, ჩაცმით და სხვა. როგორც წესი ასეთი კომუნიკაცია ვერბალური კომუნიკაციის შემცველია და ის ერთგვარი ნაწილია და დამხმარე ინფორმაციის გაცვლის პროცესში.

წერილობითი კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას წერილობითი ფორმით. წერილები, მეილები, მოხსენებები, ანალიზები, ბრძანებები და სხვა. წერილობითი კომუნიკაცია შეიძლება შეიცავდეს ასევე ვიზუალურ კომუნიკაციას რომელიც ასევე ერთ-ერთი სახეა და გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას ფოტოების, ვიდეოების, ბანერების და სხვათა მეშვეობით.

კომუნიკაცია კორპორაციული მართვის აუცილებელი პირობაა. კომუნიკაციისას განიხილება ადამიანები, ჯგუფები, რომლებიც ურთიერთობენ ერთმანეთთან.

კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს პირისპირ, კრებებზე, ტელეფონით, წერილების მეშვეობით, თანამედროვე მსოფლიოში კომუნიკაციების დამყარების შესაძლებლობა ძალიან გამარტივებულია და მან ყველგან შეაღწია.

**დასკვნა**

ამრიგად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღი, რომელიც მენეჯერს გააჩნია არის ინფორმაცია. ურთიერთობა ორგანიზაციის შიგნით, ორგანიზაციასა და გარემოს შორის არის ის, რაც წარმოადგენს ორგანიზაციულ კომუნიკაციას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კორპორაციები, ორგანიზაციები, საერთაშორისო დონეზე ასპარეზობენ, შესაბამისად კომუნიკაცია უფრო და უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მათი საქმიანობის განხორციელების პროცესში, განსაკუთრებით კორპორაციის ანტიკრიზისული მართვის სისტემაში.

ლიტერატურა

1. Ансофф И. Новая корпоративная стратегия. - Спб.: Питер Ком, 2005. 18. Басовский Л.Е. Менеджмент: Учебное пособие. — М.: ИНФРА-М, 2007.
2.https://finlit.online/page/menedzhment/ist/ist-7--idz-ax236--nf-6.html
3. . Дворникова Е. Маркетинговые коммуникаций и их роль в построении бренда.М. 2012. https://www.cfin.ru/management/practice/alt2012-2/upr-14.shtm
4.  Дорофеев В.Д., Левин Д.Н., Сенаторов Д.В., Чернецов А.В.. Антикризисное управление: учеб. Пособие. Пенза. 2006.209. http://scicenter.online/menedjmenta-osnovyi-scicenter/antikrizisnoe-upravlenie-ucheb-posobie.html4.
5. Каплан Роберт С., Нортон Дейвид П. Организация, ориентированная на стратегию. Как в новой бизнес-среде преуспевают организации, применяющие сбалансированную систему показателей / Пер.с англ. - М.: ЗАО “Олимп-Бизнес”, 2004
6. Молодой аналитик. Сущность и виды коммуникаций. Структура процесса коммуникации. 2013. http://humeur.ru/page/sushhnost-i-vidy-kommunikacij-struktura-processa-kommunikacii

# რეზიუმე

კომუნიკაციის როლი მართვის სისტემაში უაღრესად მნიშვნელოვანია. ხელმძღვანელები თავისი სამუშაო დროის 50-დან 90%-მდე ხარჯავენ კომუნიკაციაზე. ინფორმაციის გაცვლა გამოიყენება მმართველობით საქმიანობაში და ეწოდება დამაკავშირებელი პროცესი. არაეფექტური კომუნიკაცია არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი პრობლემების წარმოქმნის მართველობით საქმიანობაში. აუცილებელია განუწყვეტელი მცდელობა არაეფექტური კომუნიკაციის შემთხვევების შესამცირებლად. პროფესიონალი ხელმძღვანელები წარმოადგენენ რა კომუნიკაციის პროცესის არს, ფლობენ კარგად განვითარებულ ზეპირ და წერილობით ურთიერთობის უნარს, კარგად ესმით თუ როგორ მოქმედებს გარემო ინფორმაციის გაცვლაზე.

## SUMMARY

The role of communication in the management system is extremely important. Managers spend 50 to 90% of their working time on communications. The exchange of information is used in governance activities and is called the linking process. Ineffective communication is one of the main causes of problems in managing activities. There is a continuous effort to reduce the incidence of ineffective communication. Professional executives represent what the communication process is, have well-developed verbal and written communication skills, and understand how the environment affects on the sharing of information.

# КАК ПО-НОВОМУ ОЦЕНИВАТЬ АКТИВЫ И ОБЯЗАТЕЛЬСТВА

**Манана Мчедлишвили**
**Доктор экономических наук**
**Международный Университет Кавказа, ассоцированный профессор**
**Наира Табатадзе**
**Доктор экономических наук**
**Международный Университет Кавказа, ассоцированный профессор**

**Введение.** Совет по МСФО уточнил концепцию оценки элементов финансовой отчетности. Он предложил две базы для оценки: историческую стоимость и текущую ценность. Мы разобрались, какую из них выбрать в конкретных ситуациях и как не наделать ошибок. Все элементы финансовой отчетности выражены в денежной оценке, величина которой обусловлена главным образом выбранной базой: исторической стоимостью или текущей ценностью. Последняя, в свою очередь, разделяется на справедливую стоимость, ценность использования и стоимость замещения. Каждая из них несет специфическую информацию пользователю и полезна в конкретных обстоятельствах. Новые Концептуальные основы финансовой отчетности 2018 года не содержат детального руководства, какую базу использовать в разных ситуациях. Однако описывают, какую информацию заключает в себе каждая база оценки и какие факторы надо учесть при ее выборе.

**Основная часть.** Историческая стоимость- Оценка по исторической стоимости содержит информацию об активе/обязательстве и связанных с ним доходах и расходах, полученную как минимум частично из цены сделки или другого исходного события. Эта база оценки не отражает последующие изменения текущей ценности элемента, за исключением ситуаций, когда они связаны с обесценением актива или с тем, что обязательство становится обременительным. Историческая стоимость приобретенного или созданного актива – это ценность понесенных затрат в виде уплаченного вознаграждения плюс затраты по сделке. Историческая стоимость обязательства, понесенного или принятого, – это ценность полученного вознаграждения минус затраты по сделке. В отношении финансового актива или обязательства оценка по исторической стоимости – это амортизированная стоимость, так как она отражает оценку будущих денежных потоков, дисконтированных по ставке, определенной на первоначальную дату признания. Главное преимущество исторической стоимости в том, что она основана на цене сделки. Поэтому если актив приобретен на рыночных условиях, то компания ожидает, что он будет генерировать столько экономических выгод, чтобы как минимум покрыть его стоимость. Аналогично если обязательство было принято на рыночных условиях, то обоснованы ожидания, что стоимость обязанности передать экономические ресурсы для исполнения обязательства в нормальных условиях будет не больше ценности ранее полученного возмещения, уменьшенного на затраты по сделке. Концептуальные основы рассматривают такую ситуацию, когда сделка по приобретению проведена не на рыночных условиях, то есть понесенные затраты не дают уместной информации для оценки. Тогда Концептуальные основы позволяют использовать текущую ценность как условную первоначальную стоимость, которая послужит базой для последующей оценки исторической стоимости. Историческая стоимость актива подлежит обновлению с течением времени, чтобы отражать:

- потребление части или всех экономических ресурсов, которые заключает в себе актив (в форме амортизации);

- обесценение;
- начисление процентов для учета финансового компонента актива;
- получение платежей, которые аннулируют часть или весь актив.

Историческая стоимость обязательства должна обновляться с течением времени, чтобы отражать:

- погашение части или всего обязательства (путем осуществления платежей или передачи товаров);
- события, которые говорят о том, что обязательство становится обременительным;
- начисление процентов для учета финансового компонента обязательства.

Обратите внимание: использование или продажа актива, оцененного по исторической стоимости, ведет к признанию расхода, базирующегося на исторической стоимости актива. Расход от продажи актива признается в то же время, что и доход в виде полученного возмещения, с одновременным признанием маржи от продажи. Аналогично исполнение обязанности ведет к признанию дохода, базирующегося на исторической стоимости. Разница между ним и понесенными расходами для исполнения обязанности образует маржу. Таким образом, оценка элементов по исторической стоимости имеет:

- прогнозную ценность, так как позволяет прогнозировать маржу от будущих продаж товаров или услуг;
- подтверждающую ценность, так как доходы и расходы, выраженные по исторической стоимости, иллюстрируют предшествующие прогнозы о денежных потоках или марже.

Справедливая стоимость- Это цена, которая будет получена при продаже актива или уплачена при передаче обязательства при проведении операции на добровольной основе среди участников рынка на дату оценки. Справедливая стоимость отражает допущения участников рынка, к которому у компании есть доступ, в отношении оцениваемого элемента. Так как справедливая стоимость даже частично не происходит из цены сделки, она не корректируется на затраты по сделке при приобретении актива или обязательства. Она также не отражает затраты по сделке, которые потребуются при окончательном выбытии актива или передаче/погашении Справедливую стоимость компания может получить как прямым путем, используя цены на активном рынке, так и косвенным – с помощью техник оценки, основанных на будущих денежных потоках, которые отражают:

- оценку будущих денежных потоков;
- возможные вариации оценки величины и периода возникновения будущих денежных потоков ввиду неопределенности, присущей денежным потокам, включая влияние кредитного риска контрагента или собственного кредитного риска;
- временную стоимость денег;
- премию или дисконт в связи с присущей элементу величиной риска;
- прочие факторы, например ликвидность, если участники рынка принимают их в расчет.

Основное преимущество оценки по справедливой стоимости в том, что она имеет прочную прогнозную ценность, так как отражает текущие ожидания участников рынка в отношении величины, периода и неопределенности будущих денежных потоков. Эти ожидания оценены в такой манере, которая показывает текущие предпочтения участников рынка в отношении рисков. Величины доходов и расходов, которые возникают в связи с элементами, оцененными по справедливой стоимости, также отражают текущие ожидания участников рынка и поэтому могут иметь прогнозную ценность, если их использовать как входящие данные для предсказания будущих доходов

и расходов. Они также показывают, насколько эффективно руководство управляет экономическими ресурсами компании. Изменение справедливой стоимости актива или обязательства может быть вызвано различными факторами, перечисленными выше. Когда они обладают различными характеристиками и их влияние можно отдельно идентифицировать как доход или расход, подобное признание и раскрытие несет очень полезную информацию для пользователей финансовой отчетности. Продажа актива или передача обязательства в нормальных условиях будет приниматься за вознаграждение, близкое по сумме к справедливой стоимости, если сделка происходит на рынке, по которому определялась справедливая стоимость. В этом случае чистые доходы или расходы, возникающие в момент продажи, будут небольшими (в отличие от оценки по исторической стоимости), если затраты по сделке незначительны. Ценность использования актива или ценность исполнения обязательства- Ценность использования актива (value in use) – это текущая стоимость денежных потоков (или других экономических выгод), которые компания ожидает извлечь в результате использования актива и его окончательного выбытия. Ценность исполнения (fulfilment value) – это текущая стоимость денежных потоков (или других экономических ресурсов), которые компания ожидает передать по мере исполнения обязательства (необязательно контрагенту, а любому лицу, если это позволит исполнить обязательство). Так как ценность использования и ценность исполнения основываются на будущих денежных потоках, они не включают в себя затраты по сделке, понесенные при приобретении актива/принятии обязательства. Однако они включают в себя текущую стоимость любых затрат по сделке, которые компания ожидает понести при окончательном выбытии актива или выполнении обязательства. Эти оценки отражают специфические допущения компании, а не участников рынка. При этом Концептуальные основы признают, что на практике разница между допущениями компании и участников рынка иногда очень мала (п. 6.19 Концептуальных основ 2018). Оценки ценности использования или ценности исполнения не могут быть получены напрямую и определяются с помощью техник оценки, основанных на денежных потоках. Факторы, заложенные в эти техники оценки, аналогичны факторам оценки для справедливой стоимости, однако отличаются в части допущений, специфичных для компании, а не для участников рынка. Оценка величины ценности использования (ценности исполнения) может иметь прогнозную ценность для оценки будущих чистых денежных потоков. Стоимость замещения (current cost)- Стоимость замещения или текущая стоимость актива – это стоимость эквивалентного актива на дату оценки, состоящая из вознаграждения, которое подлежало бы уплате на дату оценки, и затрат по сделке, которые были бы понесены на эту дату. Стоимость замещения обязательства – это вознаграждение, которое было бы получено за эквивалентное обязательство на дату оценки минус затраты по сделке, которые были бы понесены на эту дату. В некоторых случаях стоимость замещения не может быть определена напрямую, как цена на активном рынке, и определяется косвенным путем. Например, если цены доступны только для новых активов, то эта оценка подлежит корректировке для отражения текущего возраста и Как и историческая стоимость, стоимость замещения раскрывает информацию о затратах на потребление актива или доходах от исполнения обязательства. Однако в отличие от исторической стоимости стоимость замещения отражает цены, преобладающие на дату потребления. Если цены изменяются значительно, то маржа, основанная на стоимости замещения, более информативна для оценки будущих результатов, нежели маржа, определенная по исторической стоимости. В этой связи уместно разбить изменение в текущей стоимости

на текущую стоимость потребления и эффект изменения цен. Информация, получаемая из оценки элементов финансовой отчетности, должна быть полезна ее пользователям. Чтобы этого достичь, информация должна быть уместной и правдиво представленной. Кроме того, информация должна быть сопоставимой, проверяемой, своевременной и понятной, насколько это возможно. Уместность информации- Определяется характеристиками актива или обязательства, а также влиянием на будущие денежные потоки. Характеристики актива/обязательства- При выборе базы оценки важно обратить внимание на такие характеристики актива или обязательства, как изменчивость денежных потоков и чувствительность к рыночным факторам и прочим рискам. Так, если чувствительность высока, то историческая стоимость может сильно отличаться от текущей ценности. Если для пользователей отчетности важна информация об изменении в ценности элемента, то оценка по исторической стоимости будет неуместна (например, оценка по амортизированной стоимости не дает уместной информации о деривативе). В случае исторической стоимости информирование о ее изменениях производится не тогда, когда они произошли, а только когда происходит выбытие, обесценение актива или исполнение обязательства. Это влияет на признание прибылей и убытков только в момент события, а не в течение периода владения статьей. Кроме того, так как оценка по исторической стоимости не дает своевременной информации об изменении ценности элемента, доходы и расходы, формируемые на этой базе, не обладают полной прогнозной и подтверждающей ценностью, так как не отражают полного эффекта от подверженности компании рискам, возникающим от владения активом или обязательством в течение отчетного периода. И наоборот, если бизнес компании не строится на продаже активов и передаче обязательств (например, если компания удерживает активы только для получения предусмотренных договором денежных потоков), то оценка изменений справедливой стоимости, связанная с изменениями ожиданий участников рынка, неуместна и не несет прогнозную или подтверждающую ценность. Влияние на будущие денежные потоки- В зависимости от характера бизнеса экономические ресурсы могут генерировать денежные потоки напрямую (самостоятельно) или только в комбинации с другими экономическими ресурсами, то есть косвенно. Если деятельность компании предполагает использование нескольких экономических ресурсов, которые генерируют денежные потоки при взаимодействии, то историческая стоимость или стоимость замещения будет обеспечивать пользователей более уместной информацией о деятельности компании. Например, основные средства обычно используются в комбинации с другими экономическими ресурсами. Аналогично запасы обычно не могут быть проданы покупателю без активного использования других экономических ресурсов компании. Если актив можно независимо продать без значительных экономических штрафов (то есть без срывов в бизнес-процессах), то он производит денежные потоки напрямую, и, возможно, информация о его текущей ценности будет более уместна для пользователей.

Вывод.Если определенные активы и обязательства каким-то образом взаимосвязаны, то использование различных баз оценки может привести к «учетному несоответствию». Поэтому только оценка данных активов и обязательств одинаковым образом даст пользователям полезную информацию. Концептуальные основы гласят, что правдивое представление свободно от ошибок (неточностей). Однако это не означает, что оценки должны быть корректны во всех отношениях. Любой оценке свойственна неопределенность, если ее невозможно получить, опираясь только на наблюдаемые цены активного рынка. Уровень неопределенности в оценке, связанный с выбором

определенной базы, может влиять на решение, несет ли информация правдивое представление о финансовом положении и финансовых результатах компании. Вместе с тем высокий уровень неопределенности в оценке не всегда означает, что выбранная база неуместна. Если оцененная величина сопровождается описанием заложенных в ее расчет входящих данных и объяснением неопределенности, которая им свойственна, то информация об активе/обязательстве, скорее всего, будет соответствовать критерию правдивого представления. Однако если уровень неопределенности в оценке настолько высок, что не дает правдивого представления, то имеет смысл выбрать другую базу оценки. Совет по МСФО признает, что предыдущая версия Концептуальных основ 2010 года содержала совсем небольшое руководство по оценке. Очевидно, что Концептуальные основы 2018 восполняют недостающую информацию и призваны помочь пользователям при выборе учетной политики, а Совету по МСФО – в разработке требований к оценке в будущих стандартах.

**Литература:**

1,www.m.msfo-practice.ru
2.www.cyberleninka.ru
3.www.e.stroychet.ru
4.www.accaglobal.com

**РЕЗЮМЕ**

Все элементы финансовой отчетности выражены в денежной оценке, величина которой обусловлена главным образом выбранной базой: исторической стоимостью или текущей ценностью. Последняя в свою очередь разделяется на справедливую стоимость, ценность использования и стоимость замещения. Каждая из них несет специфическую информацию пользователю и полезна в конкретных обстоятельствах. При выборе базы оценки важно обратить внимание на такие характеристики актива или обязательства, как изменчивость денежных потоков и чувствительность к рыночным факторам и прочим рискам. Так, если чувствительность высока, то историческая стоимость может сильно отличаться от текущей ценности. Если определенные активы и обязательства каким-то образом взаимосвязаны, то использование различных баз оценки может привести к «учетному несоответствию». Поэтому только оценка данных активов и обязательств одинаковым образом даст пользователям полезную информацию. Концептуальные основы гласят, что правдивое представление свободно от ошибок (неточностей). Однако это не означает, что оценки должны быть корректны во всех отношениях. Любой оценке свойственна неопределенность, если ее невозможно получить, опираясь только на наблюдаемые цены активного рынка. Уровень неопределенности в оценке, связанный с выбором определенной базы, может влиять на решение, несет ли информация правдивое представление о финансовом положении и финансовых результатах компании.

SUMMARY

Information obtained from the assessment of elements of financial statements should be useful to its users. To achieve this, information must be relevant and truthfully presented. In addition, information should be comparable, verifiable, timely and understandable, as far as possible. If certain assets and liabilities are somehow interconnected, the use of different valuation bases can lead to an “accounting mismatch”. Therefore, only an assessment of these assets and liabilities in the same way will provide users with useful information.

# ოლიმპიური სპორტის კომერციალიზაციის დადებითი და უარყოფითი ასპექტები

**ვაჟა დანელია**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი**

**საკვანძო სიტყვები**: ეკონომიკა, ბიზნესი, მოგება, კომერციალიზაცია, კორუფცია, სპორტი, ოლიმპიური თამაშები, საქართველო, გაზეთი „ლელო“, სეოკი.

21-ე საუკუნის დასაწყისში, გლობალიზაციის პროცესების ზეგავლენით, ცხოვრების ყველა სფეროზე ეკონომიკის ზემოქმედების პირობებში გლობალური ბიზნესის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი გახდა სპორტი, რომელსაც როგორც მსოფლიოს, ისე ეროვნულ ეკონომიკაში უდიდესი წვლილი შეაქვს. ეს სპორტის კომერციალიზაციის, შემდგომი პროფესიონალიზაციის პროცესებს ააქტიურებს. ოლიმპიური სპორტის კომერციალიზაცია კი სპორტსმენების მომზადებისა და თამაშებში საასპარეზოდ დაფინანსების წყაროს წარმოადგენს, რაც დიდ ფულთან არის დაკავშირებული.

ოლიმპიური სპორტის კომერციალიზაცია ტელევიზიის განვითარებასაც უწყობს ხელს. ეს უკანასკნელი საარსებო საშუალებას ოლიმპიური თამაშების ტრანსლირებისას რეკლამების განთავსებით იღებს, თანაც სოლიდურ თანხას, ამიტომაც არის, რომ სატელევიზო კომპანიები კოლოსალურ სახსრებს ხარჯავენ მნიშვნელოვანი შეჯიბრებების, განსაკუთრებით - ოლიმპიური თამაშების ტელეტრანსლაციის უფლების მოსაპოვებლად. საგულისხმოა, რომ სწორედ ტელევიზიებმა მიიჩნიეს არახელსაყრელად ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიადების ერთ წელიწადში გამართვა, ამიტომ 1994 წლიდან მათი მონაცვლეობის თარიღი შეიცვალა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი უბრალოდ არ წასულა ამ დათმობაზე - ბოლო წლების მონაცემებით, ტელეტრანსლაციების უფლების გაყიდვით სოკ-მა 3.271 მილიონი დოლარი მიიღო.

ცნობილია, რომ ატლანტის ოლიმპიადის ტრანსლირებისთვის ტელეკომპანიებმა 900 მილიონი დოლარი გაიღეს, აქედან ამერიკულმა ენ-ბი-სიმ - 456 მილიონი, ევროპის ტელევიზიების კავშირმა - 250 მილიონი, იაპონიის ტელეკომპანიამ - 99.5 მილიონი დოლარი. 1992 წლის ბარსელონის თამაშების ტელეტრანსლაციის ღირებულებამ 635 მილიონ დოლარს გადააჭარბა; სოჭის 2014 და რიოს 2016 წლის თამაშების ტელეტრანსლაციებისთვის სხვადასხვა ქვეყანამ 2 მილიარდი დოლარი გადაიხადა, მათ შორის - იტალიამ - 219 მილიონი, გერმანიამ - 187 მილიონი, ბრაზილიამ - 170 მილონი დოლარი. ეს არ არის შემთხვევითი: სოჭის ზამთრის ოლიმპიადის პაექრობათა ჩვენების ექსკლუზიური უფლების შესყიდვა რუსეთის სამ ტელეარხს 1.6 მილიარდი რუბლი დაუჯდა. სამაგიეროდ, ორკვირა-ნახევრის განმავლობაში რეკლამებიდან მათ სარეკორდო თანხა - 2 მილიარდი რუბლი მიიღეს. ამიტომაცაა, ტელეკომპანიებს გასავლის ზრდა არ აშინებთ, რადგან სპორტში ფულის დაბანდება დიდ მოგებას იძლევა.

სპორტის ინდუსტრიის ეფექტიანობაზე მოსაზრებათა გასამტკიცებლად კიდევ რამდენიმე ფაქტს მოვიშველიებთ: კანადის საკონფერენციო საბჭოს (The Conference Board of Canada) შეფასებით, ვანკუვერის 2010 წლის ზამთრის ოლიმპიურმა თამაშებმა ადგილობრივი ეკონომიკა 0.8 პროცენტით გაზარდა; 2012 წლის ოლიმპიურმა თამაშებმა, შესაძლოა, დიდი ვერაფერი ეფექტი მოუტანა დიდი ბრიტანეთის ეკონომიკას, მაგრამ

ძირითადი ბიძგი მისცა აღმოსავლეთ ლონდონის განახლების პროცესს და ხელი შეუწყო ბრიტანეთის დედაქალაქის საჯარო ტრანსპორტის განვითარებას;

რუსეთის ვიცე-პრემიერ დმიტრი კოზაკის განაცხადებით, სოჭის ზამთრის ოლიმპიადის შემოსავალმა დანახარჯს 1.5 მილიარდი რუბლით გადააჭარბა. პიონჩანგის (კორეა) 2018 წლის ზამთრის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელ ლი ჰი ბომის გაანგარიშებით, თამაშების შემოსავალმა 55 მილიონი დოლარი შეადგინა.

ახლა, როცა ოლიმპიადებს დიდი ეკონომიკური მოგება მოაქვს, გამოჩნდა ხალხი, რომლებსაც თამაშებზე ფულის კეთება მოუნდათ. ამან კი საკორუფციო სკანდალებს დაუდო სათავე. პრესის კრიტიკისა და მკაცრი მსჯელობის საგანი არაერთხელ გახდა ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული მექრთამეობა. პირველად ამის შესახებ გამოჟონა ინფორმაციამ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიოს ომამდე 1936 წლის გერმანიისა და 1940 წლის იაპონიის ოლიმპიადებთან დაკავშირებით. ითქვა, რომ ჰიტლერსა და მის თანამოაზრეებს ეს ოლიმპიადა საკუთარი იდეის პროპაგანდისთვის სჭირდებოდათ.

ადამიანების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა 1996 წელს თანამედროვე ოლიმპიადების საუკუნოვანი იუბილე აღინიშნა არა ათენში, ოლიმპიური მოძრაობის სამშობლოში, არამედ - ატლანტაში, სადაც „კოკა-კოლას“ შტაბბინაა განთავსებული. „გაყიდულ“ ოლიმპიადად მიიჩნევენ 2002 წლის სოლთ ლეიქ სითის ზამთრის თამაშებსაც. 1998 წელს სოკ-ის უხუცესმა წევრმა მარკ ჰოდლერმა ქრთამის აღების ფაქტები გამოამზეურა - კოლეგებს კორუფციაში დასდო ბრალი, დაასახელა ის ადამიანები, რომლებმაც 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის სოლთ ლეიქ სითის მისცეს ხმა და ხელი მოითბეს. მაშინ ამ დანაშაულისთვის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრობიდან ექვსი ფუნქციონერი გაათავისუფლეს. 1991 წელს სოკ-ის ამერიკელი წევრი რობერტ ხელმიკი თანამდებობიდან ბიზნესში ყოფილ პარტნიორებთან კავშირის გამო წავიდა.

დღევანდელი მკვლევრები და კრიტიკოსები XX და XXI საუკუნეების ოლიმპიადებს, უმთავრესად, ზედმეტ კომერციალიზაციაში ადანაშაულებენ, რომელიც პირდაპირ უკავშირდება კორუფციას, დოპინგის გამოყენებას, უსამართლო მსაჯობას, მოწინააღმდეგის მოსყიდვას.

კომერციული ინტერესის ზრდა შეჯიბრებებზე ბილეთების, ასევე, დელეგაციების, ჟურნალისტებისა და ტურისტების საცხოვრებელი ადგილების გაძვირებასაც იწვევს; ოლიმპიური სპორტის კომერციალიზაცია მას შოუბიზნესის ნაირსახეობად, ოლიმპიურ თამაშებს კი გასართობ შოუდ აქცევს. ამასთანავე, სპორტსმენები ცდილობენ, ნებისმიერი ხრიკით მიაღწიონ წარმატებას, რაც ძირს უთხრის ძირითად ოლიმპიურ პრინციპს - „მთავრია მონაწილეობა და არა - გამარჯვება“, რომელმაც კარგა ხანია დაკარგა აქტუალობა. ახლა მოდაში სხვა დევიზია - „მონაწილეობა კარგია, გამარჯვება - უკეთესი“.

ყოველივეს მიუხედავად, ვერ დავეთანხმებით იმ მეცნიერებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დღევანდელი სპორტის კორუფციონერები ძველი ბერძნების იდეალებს ჩირქ სცხებენო, თითქოს ათაწლეულის განმავლობაში ბერძენი მოყვარული ათლეტები თამაშებზე მხოლოდ ზეთისხილის გვირგვინისთვის იბრძოდნენ მშვიდობისა და სასპორტო სულის სახელით. ეს მხოლოდ ლამაზი ლეგენდაა. „ძველი ბერძნები, რა თქმა უნდა, არ იყვნენ ისეთი იდეალისტები, როგორიც დღეს ჩვენ წარმოგვიდგენია, - წერს პენსილვანიის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორი დევიდ ჰილმან რომანო. - მათაც ისეთი პრობლემები აწუხებდათ, რაც ჩვენ - დღეს“.

სპორტის ამჟამინდელი თაყვანისმცემლების ერთი ნაწილი ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებს წმინდა და სამართლიანი სპორტის ეტალონად მიიჩნევს. სხვათა შორის, ასე ფიქრობდა ანტიკური ოლიმპიადების ზოგიერთი თანამედროვეც, მაგალითად, მწერალი ფლავიუს ფილოსტრატოს II (ათენელი,170-247), რომელიც მექრთამეობაზე

წუხდა და წერდა, რომ საბერძნეთში, ოლიმპიადების გარდა, ყველგან არის კორუფცია.
ცხადია, ის არ იყო მართალი, რადგან ძველი ბერძენი გეოგრაფი, ისტორიკოსი და მწერალი პავსანია (110-180 წ.წ.) ანტიკური ხანის პირველ გზამკვლევ „ელადის აღწერაში" მოგვითხრობს, რომ ოლიმპიაში სტადიონისკენ მიმავალ გზაზე მარცხნივ კრონოსის ფერხთით ქვის ტერასაზე დგას ზევსის 16 ქანდაკება, ბრინჯაოსგან ჩამოსხმული იმ თანხებით, რომლებითაც სხვადასხვა დროს ათლეტები და მსაჯები ზევსის წინაშე დადებული პატიოსნად ასპარეზობისა და მიუკერძოებლად მსაჯობის ფიცის დარღვევისთვის დაჯარიმდნენ.
ძველ ეგვიპტეში ყოველმხრივ ცდილობდნენ დამნაშავეებისა და უგვანო ადამიანების სახელების მეხსიერებიდან წაშლას, ბერძნები კი პირიქით - კანონის დამრღვევთა სახელებს უკვდავყოფდნენ შთამომავლობის გასაფრთხილებლად. საჯარიმო ქანდაკებები არა მარტო ქებას ასხამდა თამაშების ზეციურ მფარველს, არამედ ადამიანებს სასპორტო კორუფციასაც ახსენებდა.
პირველი ასეთი ქანდაკება დაიდგა ჩვენს ერამდე 388 წელს 98-ე თამაშების შემდეგ მუშტი-კრივში მონაწილე თესალიელი ევპოლიდის ჯარიმის თანხით. ამ ათლეტმა მოისყიდა სამი მებრძოლი, რომ მათ მთელ ძალით არ ეჩხუბათ და თავად გამხდარიყო ჩემპიონი.
წესრიგის დამრღვევებს არა მარტო აჯარიმებდნენ, არამედ სტადიონზე ათასობით მაყურებლის წინაშე როზგავდნენ, მაგრამ ტიტულს უნარჩუნებდნენ, რაც ათლეტებს უპატიოსნო გზით ჩემპიონობის მოპოვებისკენ უბიძგებდა, რადგან ანტიკური პერიოდის თამაშების გამარჯვებულებს არა მარტო სახელი ჰქონდათ, არამედ - პრივილეგიებიც: გადასახადს არ იხდიდნენ და სიცოცხლის ბოლომდე საზოგადოებრივ სასადილოებში უფასოდ იკვებებოდნენ.
ცნობილი მკვლევარი კარლ-ვილგელმ ვებერი, ანტიკურ თამაშებზე კაპიტალური ნაშრომის („უწმინდური თამაშები: უძველესი ოლიმპია ლეგენდებსა და რეალობას შორის") ავტორი, მიაჩნევს, რომ ძველბერძენ პროფესიონალ სპორტსმენთა ერთი ნაწილი „ნაყიდ გამარჯვებებსა" და პოლიტიკურ ინტრიგებში ბანაობდა. მართალია, მხილებულ დამნაშავეებს აჯარიმებდნენ და სახალხოდ როზგავდნენ, მაგრამ ოლიმპიური თამაშები ამით სპეტაკი ვერ ხდებოდა...
ოლიმპიადაზე წარმატება საამაყო იყო არა მარტო შეჯიბრების მონაწილეებისთვის, არამედ - იმ ქალაქისთვისაც, რომელსაც ოლიმპიონიკი წარმოადგენდა. მე-100 საიუბილეო თამაშებზე ეფესის დელეგაციამ მოისყიდა კრეტელი სოტადი, რომელმაც გრძელ მანძილზე რბენაში გაიმარჯვა. ჩემპიონმა განაცხადა, რომ არის ეფესიდან. სამშობლომ ათლეტს ღალატი არ აპატია: სოტადი კუნძულიდან გააძევეს და სახლი გადაუწვეს.
ოლიმპიურ თამაშებში კორუფცია განსაკუთრებით რომაელების პერიოდში აყვავდა. დასტურად ისიც გამოდგება, რომ 67 წელს რიგგარეშე 212-ე ოლიმპიადაზე იმპერატორმა ნერონმა 1808 (!) ზეთისხილის გვირგვინი დაიმსახურა. ეს ჯილდოები მას ხვდა არა მარტო სასპორტო შეჯიბრებებისთვის: მოსყიდულმა ორგანიზატორებმა თამაშების პროგრამაში შეიტანეს პოეტური და სამუსიკო პაექრობები, რომლებშიც იმპერატორი თურმე მართლაც გამოირჩეოდა.
ოლიმპიადის ორგანიზატორებმა სიხარბეს ვერ სძლიეს. საქციელის გასამართლებლად, შეეძლოთ ეთქვათ, რომ ხალხზე ზრუნავდნენ, რადგან თამაშებში მომღერლების, პოეტებისა და მუსიკოსების ჩართვის გამო იმპერატორი ოლიმპიას გადასახადებისგან გათავისუფლებას შეჰპირდა.
ეტლებით რბოლისას ნერონი მოსახვევში გადმოვარდა, ტრავმა მიიღო და ფინიშამდე ვერ მიაღწია, მაგრამ ჩემპიონად მაინც გამოაცხადეს, თუმცა ნაყიდმა გამარჯვებებმა ვერ უშველა - მომდევნო წელს სენატმა 30 წლის ნერონი ხალხის მტრად გამოაცხადა და სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, რის გამოც მან თავი მოიკლა.

მისმა შემცვლელმა ლუციუს ლივიუს ოკელა სულპიციუს გალბამ ოლიმპიისგან იმ ფულის დაბრუნება მოითხოვა, რომელიც ნერონმა პირველობისთვის მსაჯებსა და ორგანიზატორებს გადაუხადა, ცხადია, იმპერატორის მიერ შეპირებული გადასახადებისგან გათავისუფლებაც გაუქმდა...

ზემოთ აღნიშნული უარყოფითი მოვლენების მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებს ბერძნული ტომების ცხოვრებაში უდიდესი დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან საშეჯიბროს გარდა, უამრავ სოციალურ ფუნქციას ასრულებდა, კერძოდ, რელიგიურს, კულტურულს, საგანმანათლებლოს, ეკონომიკურს, პოლიტიკურსა თუ სანახაობრივს. უპირველესი სოციალური მნიშვნელობა კი მაინც ის იყო, რომ ანტიკურმა ოლიმპიურმა თამაშებმა ბერძნული სამყაროს გაერთიანებასა და ერთიანი ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

ეს არ არის შემთხვევითი, რადგან ოლიმპიზმი აზრებისა და შეხედულებების სისტემაა, რომელიც მიზნად ისახავს კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების, ტექნიკისა და ზნეობრიობის მოწინავე მიღწევებთან სასპორტო საქმიანობის შეხამებას, რაც მას მსოფლიოს ყველა ქვეყნის უამრავი ადამიანისთვის ძალიან მიმზიდველს ხდის. ამიტომაცაა ძნელი, ოლიმპიზმთან შედარებით იპოვო სხვა რომელიმე სოციალური მოვლენა, რომელიც საზოგადოების ასეთ მაღალ ყურადღებას, ინტერესსა და ღრმა თანაგრძნობას იწვევდეს. ოლიმპიადები - ეს არის საუკეთესო სპორტსმენების, უმაღლესი კულტურული მიღწევების დათვალიერება, სამეცნიერო-ტექნოლოგიური წარმატებების დემონსტრაცია, ხალხთა ოლიმპიური მშვიდობის შარავანდედით კურთხეული დღესასწაული.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშები, რომელიც ფრანგი ბარონის - პიერ დე კუბერტენის ძალისხმევით მე-19 საუკუნის მიწურულს აღორძინდა, ოლიმპიური იდეისა და სპორტის ურთიერთობის მწვერვალია. ოლიმპიური დევიზი - „უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო ძლიერად"! იმის მაჩვენებელია, რომ ადამიანის შესაძლებლობებს ზღვარი არ აქვს. დასტურად ქართველი გოლიათის, საჩხერელი მძიმეწონოსანი ძალოსნის, რიოს ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულის, მსოფლიოს და ევროპის ოთხ-ოთხგზის ჩემპიონ ლაშა ტალახაძის ბოლოდროინდელი შედეგებიც კმარა: ქართველმა სპორტსმენმა 2018-2019 წლების მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატზე 12 რეკორდი დაამყარა და ორჭიდის ჯამში 500 კილოგრამს მიუახლოვდა (2019 წლის მსოფლიოს პირველობაზე ორჭიდში 484 კილოგრამი მოაგროვა).

ლაშა ტალახაძე იმ ქართველი სპორტის ლეგენდების თანავარსკვლავედის წევრია, რომლებსაც საერთაშორისო სარბიელზე მრავალგზის უსახელებიათ თავი. წარმატებებს ის განაპირობებდა, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველოს მოწინავე პოზიციები ეკავა რეგიონში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებით. ეს კი უშუალოდ უკავშირდება ოლიმპიურ მოძრაობას, რომელსაც ჩვენთან საფუძველი, ფაქტობრივად, გასული საუკუნის 50-იან წლებში ჩაეყარა, თუმცა, ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებით, მას უფრო ძველი ფესვები აქვს.

„ოლიმპიური ენციკლოპედიის" შემდგენელი ნ. გუგუშვილი აღნიშნავს, რომ „ბერძნულ ოლიმპიურ თამაშებში ქართველთა მონაწილეობა ისტორიულად დასაბუთებული არ არის, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ ქართველები ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ელინთა ოლიმპიადების მსგავს სპორტულ თამაშებს მართავდნენ". ამ თვალსაზრისით საინტერესოა მესხი მკვლევარ-ეთნოგრაფ ივანე გვარამაძის მიერ 1882 წლის გაზეთ „დროებაში" აღწერილი ე. წ. მესხური შეჯიბრებანი, რომლებშიც სრულიად საქართველო მონაწილეობდა.

ცნობილი ქართველი ჟურნალისტი და სპორტის მკვლევარი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი პაატა ნაცვლიშვილი დიდი ხნის კვლევა-ძიების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქართული ოლიმპიური ისტორია 1900 წლიდან და გიორგი ნიკოლაძით უნდა დავიწყოთ.

საქმე ის არის, რომ 120 წლის წინათ 26 აგვისტოს პარიზში მდინარე სენაზე გამართული ნიჩბოსანთა ოლიმპიური რეგატის შემდეგ გადაღებულ ერთ-ერთ ფოტოზე აღბეჭდილი არიან ორადგილიან ნავებით შეჯიბრებაში გამარჯვებული ჰოლანდიელები – ფრანსუა ბრანდტი და რულოფ კლაინი. ამ ორ გოლიათ ნიჩბოსანს შორის კი მათი მესაჭეა, რომელიც „უცნობი ფრანგი ბიჭუნას“ სახელით იყო ცნობილი. სამივენი ოლიმპიური ჩემპიონები არიან.

ნაცვლიშვილის აზრით, „უცნობი ფრანგი ბიჭუნა“ სწორედაც გიორგი ნიკოლაძე შეიძლებოდა ყოფილიყო, რომელიც სწორედ 1900 წლის აგვისტოში, სწორედ იმ დღეს, როცა ის ისტორიული რეგატა გაიმართა, პარიზში აღმოჩნდა მშობლებსა და დებთან ერთად და ჰოლანდიელმა ნიჩბოსნებმა თავიანთი მუდმივი მესაჭის - ჰერმანუს ბროკმანის ნაცვლად, რომლის შეცვლა წონის გამო გადაწყვიტეს, ფინალურ რბოლაში სწორედ შემთხვევით ნაპოვნი 12 წლის გიორგი ნიკოლაძე დაიხმარეს.

ოფიციალური მონაცემებით, საქართველო ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს 1952 წლიდან. მაშინ ჰელსინკში ჩვენმა სპორტსმენებმა სამი ოქროს (ჩემპიონები გახდნენ თავისუფალი სტილით მოჭიდავე დავით ციმაკურიძე, ტანმოვარჯიშე მედეა (მზია) ჯუღელი და ძალოსანი რაფაელ ჩიმიშკიანი), 4 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ცხადია, ცალკეულ ოლიმპიადებსა და იქ მოპოვებულ ჯილდოებზე მსჯელობა ძალიან შორს წაგვიყვანს, ამიტომ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ 1952 წლიდან ქართველმა სპოტსმენებმა ოლიმპიურ თამაშებში 39 ოქროს, 28 ვერცხლისა და 57 ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურეს.

დღეს საქართველოში ოლიმპიურ მოძრაობას სათავეში უდგას ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, რომელიც გაზეთ „ლელოს“ რედაქციის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით 1989 წელს შეიქმნა. ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბებამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა არა მარტო საქართველოს, არამედ პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებში დამოუკიდებელი ოლიმპიური კომიტეტების შესაქმნელად.

1989 წლის 11 ივლისს „ლელოში“ დაიბეჭდა ჟურნალისტ პაატა ნაცვლიშვილის წერილი „საქართველოს ოლიმპიური პოტენცია“, რომელშიც ავტორი ყურადღებას ამახვილებს ევროპის ზოგიერთ ქვეყანაზე, რომლებმაც დამოუკიდებლობამდეც იასპარეზეს ოლიმპიურ თამაშებში (მაგალითად, 1908 წელს ფინეთი დამოუკიდებლად მონაწილეობდა ლონდონის ოლიმპიადაზე, თუმცა ის მაშინ რუსეთის იმპერიაში შედიოდა - ვ.დ.), ამიტომ მას მიჩნია, რომ „საქართველოს ცალკე გუნდად გამოსვლა ოლიმპიურ თამაშებში სულაც არ იქნება სიმბოლური აქტი“.

1989 წლის 6 ოქტომბერს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც სეოკ-ის პირველ პრეზიდენტად ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი და მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების თერთმეტგზის გამარჯვებული ნონა გაფრინდაშვილი აირჩია, ვიცე პრეზიდენტებად ჟურნალისტები - თენგიზ გაჩეჩილაძე და პაატა ნაცვლიშვილი, აღმასკომის ერთ-ერთ წევრად - ჟურნალისტი ნოდარ გუგუშვილი.

მაშინ სეოკ-ის მესვეურები 1992 წლის ბარსელონის თამაშებთან დაკავშირებით შეხვდნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩს, სხვა მაღალჩინოსნებს. დიდი პოლემიკის შემდეგ საქართველოს შეთავაზებული ვარიანტი მიიღეს: ოლიმპიადაზე ყოფილი საბჭოეთის ყველა სპორტსმენი გამოვიდოდა დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობის (დსთ) გაერთიანებულ გუნდში, მაგრამ თავისი ეროვნული დროშის ქვეშ და გამარჯვების შემთხვევაში აჟღერდებოდა ეროვნული ჰიმნი.

საქართველოს სპორტსმენებმა ბარსელონაში 3 ოქროს და 5 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ კახი კახიაშვილი (ძალოსნობა), დავით ხახალეიშვილი (ძიუდო) და ლერი ხაბელოვი (თავისუფალი

ჭიდაობა), ხოლო გიორგი კოღუაშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), დავით გობეჯიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ლეილა მესხი (ჩოგბურთი), რამაზ ფალიანი (კრივი), ხათუნა ქვრივიშვილი (მშვილდოსნობა) ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

მას შემდეგ 28 წელიწადი მიილია და დამოუკიდებელმა ქართულმა სპორტმა არაერთ საგულისხმო წარმატებას მიაღწია საერთაშორისო სარბიელზე. ამასტანავე, საქართველომ ბევრ მნიშვნელოვან შეჯიბრებას უმასპინძლა. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია 2015 წელს თბილისში გამართული ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი, რომლის მაღალ დონეზე ჩასატარებლად ჩვენი დედაქალაქის ინრასტრუქტურას შეემატა ხელბურთის, ფრენბურთისა და ტანვარჯიშის უნიკალური სასახლეები, მძლეოსნობის სტადიონი, 50-მეტრიანი ღია საცურაო აუზი, ჩოგბურთის კორტები. აღსანიშნავია ისიც, რომ აჭარის დედაქალაქ ბათუმში აშენებულ მრავალფუნქციურ სპორტის სასახლეში 2018 წლის შემოდგომაზე მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა ჩატარდა, რომელშიც მსოფლიოს 180 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

2021 წელს თბილისში კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. ამ პირველობის მასპინძლობის უფლებისთვის 7 ქვეყანა ეცილებოდა ერთმანეთს. მათ შორის იყო სლოვენეთი, სადაც მსგავსი ტურნირი შვიდი წლის წინ ჩატარდა. ეტყობა, ამგვარი შეჯიბრებები დიდ სარგებელს იძლევა, თორემ საეჭვოა, სლოვენებს თავიანთი კანდიდატურა ისევ წამოეყენებინათ.

გაისად 2-9 სექტემბერს თბილისი ევროპის ჩემპიონატის 15 მატჩს უმასპინძლებს. ჩვენთან ჩამოვლენ NBA-ისა და ევროპის ტოპკალათბურთელები, ქართველ გულშემატკივარს ელის უმაღლესი ხარისხის სანახაობა, ქართულ კალათბურთს კი შემდგომი განვითარება.

ამ ტურნირისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე უკვე დაიწყო მრავალფუნქციური სპორტის სასახლის მშენებლობა 10.000 მაყურებლისთვის. საქართველოს სასპორტო ინფრასტრუქტურას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბაზა შეემატება. შეჯიბრების შემდეგ ჩვენთან კალათბურთში მომეცადინე მოზარდთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდება. ეს კი ცხოვრების ჯანსაღი წესის განმტკიცებას შეუწყობს ხელს.

ფიბა-მ შვეიცარიულ კომპანიას ევროპის 2017 წლის ჩემპიონატის დეტალური ფინანსური ანალიზი დაუკვეთა. გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ თურქეთმა 64.7 მილიონი ევრო მოგება მიიღო, ფინეთმა - 43.3, ისრაელმა - 44.5 მილიონი ევრო. თელ ავივში ყველაზე მეტი ფული სასტუმროებში შევიდა - 11.3 მილიონი (ეს პირდაპირი შემოსავალია), კვებიდან - 6.4 მილიონი, შოპინგიდან - 4.4 მილიონი, კულტურული და სოციალური სერვისებიდან - 4.7 მილიონი ევრო. დღევანდელ მასშტაბებსა და შესაძლებლობებს თუ გავითვალისწინებთ, კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატი საქრთველოსთვის ფინანსურადაც მომგებიანი იქნება.

**დასკვნა**

ზემოთ ვთქვით და გავიმეორებთ, რომ, უარყოფითი ასპექტების მიუხედავად, ოლიმპიურ თამაშებს, როგორც შეხედულებათა სისტემას, მსოფლიოს ხალხების ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან უამრავ სოციალურ ფუნქციას ასრულებს, რაც მთავარია, ბერძნული სამყაროსთვის ანტიკური თამაშების მსგავსად, დღევანდელი ოლიმპიადები თითოეული ქვეყნის ერთიანი ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს,

ოლიმპიზმი მიზნად ისახავს კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების, ტექნიკისა და ზნეობრიობის მოწინავე მიღწევებთან სასპორტო საქმიანობის შეხამებას,

რაც მას მსოფლიოს ყველა ქვეყნის უამრავი ადამიანისთვის ძალიან მიმზიდველს ხდის. ამიტომაც ქართველი ერის ცხოვრება ორგანულად უკავშირდება ოლიმპიურ მოძრაობას, რომელსაც საფუძველი, ფაქტობრივად, გასული საუკუნის 50-იან წლებში ჩაეყარა, თუმცა, ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებით, მას უფრო ძველი ფესვები აქვს. ქართველმა სპორტსმენებმა პირველად ოლიმპიურ თამაშებში 1952 წელს იასპარეზეს და იქიდან მოყოლებული დღემდე სპორტის ამ დიდ ფორუმებზე 39 ოქროს, 28 ვერცხლისა და 57 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს, რასაც ნებისმიერი ქვეყანა ინატრებდა.

ლიტერატურა

1.გაზეთი „ლელო", 1989 წლის 11 ივლისი,
2.გაზეთი „ლელო", 1989 წლის 30 ივლისი,
3.Павсаний, Описание Эллады, АСТ-Пресс, 2002,
4. თენგიზ გაჩეჩილაძე, ლელო - 80 (გაზეთი მემატიანე), 2014,
5.გაზეთი „დროება", 1882 (ივანე გვარამიძე),
6. В.В. Галкин, Экономика спорта и спортивный бизнес: учебное пособие. М., 2008;
7. ნოდარ გუგუშვილი, ოლიმპიური ენციკლოპედია, 1997;
8. პაატა ნაცვლიშვილი, ხუთი რგოლი საქართველოსთვის, 2014;
9. ელგუჯა ბერიშვილი, სპორტის ენციკლოპედია, 2006;
10. Karl-Wilhelm Weeber, Das antike Olympia zwischen Legende und Wirklichkeit. Artemis & Winkler, Zürich 1991,

რეზიუმე

ოლიმპიური სპორტის კომერციალიზაციის დადებითი და უარყოფითი ასპექტები

სტატიაში განხილულია ეკონომიკისა და ოლიმპიზმის ურთიერთმიმართების საკითხები, ხაზგასმულია ის მნიშვნელოვანი მომენტი, რომ გლობალიზაციის პროცესების ზეგავლენით სპორტი გლობალური ბიზნესის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი გახდა.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ოლიმპიური სპორტის კომერციალიზაციას ანტიკური პერიოდიდან დღემდე. ავტორი ეთანხმება იმ აზრს, რომ კომერციულმა ინტერესებმა ოლიმპიურ თამაშებში სათავე დაუდო კორუფციულ სკანდალებს, კერძოდ, დოპინგის გამოყენებას, უსამართლო მსაჯობას, მოწინააღმდეგის მოსყიდვას, ბილეთებისა და ოლიმპიადებზე დელეგაციების საცხოვრებელი ადგილების ფასების ზრდას.

ოლიმპიადებს დიდი ეკონომიკური მოგება მოაქვს, - ნათქვამია სტატიაში, - თუმცა ოლიმპიური სპორტის კომერციალიზაცია მას შოუბიზნესის ნაირსახეობად, ოლიმპიურ თამაშებს კი გასართობ შოუდ აქცევს. აღნიშნულია ისიც, რომ კომერციალიზაციას დადებითი ასპექტებიც აქვს.

სამეცნიერო ნაშრომში განხილულია ქართველთა მონაწილეობა ოლიმპიურ მოძრაობაში და მათი წვლილი მსოფლიო ოლიმპიზმის განვითარებაში.

SUMMARY

OLYMPIC SPORTS COMMERCIALIZATION POSITIVE AND NEGATIVE ASPECTS

Vaja Danelia

PHD student

Georgian Technikal University

The article discusses the interrelationships between economics and Olympics, and emphasizes the important point that under the influence of globalization processes, sport has become an essential part of global business.

The work focuses on the commercialization of Olympic sports from the antique period to the present. The author agrees that commercial interests have led to corruption scandals at the Olympics, including the use of doping, unfair judging, bribery of opponents, rising ticket prices for delegations and the Olympics.

The Olympics bring in big economic profits, the article says, but the commercialization of the Olympic sport has made it a show business, and the Olympics make it a fun show. It is also mentioned that commercialization has positive aspects as well.

The research paper discusses the participation of Georgians in the Olympic movement and their contribution to the development of the World Olympiad.

# ФАКТОРЫ ВЛИЯНИЯ НА УРЕГУЛИРОВАНИЕ РАЗМЕЩЕНИЯ НАСЕЛЕНИЯ В ГЯНДЖА - ГАЗАХСКОМ ЭКОНОМИЧЕСКОМ РАЙОНЕ

**Ахмедли Арифа Аббасаликызы**
**Доцент кафедры географии факультета истории и географии Гянджинского государственного университета, Азербайджан**

**Ключевые слова:** демографический статус, расселение, социально-экономические, экономико-региональные, естественный прирост, поселение, население

## АННОТАЦИЯ

Проблема наиболее целесообразного территориального размещения населения на современном этапе в условиях интегрирования Азербайджана в мировое сообщество является актуальной и злободневной. Это связано с радикальными изменениями, которые произошли во всех жизненных сферах Азербайджана. Весьма значительное влияние на расселение населения оказали оккупация Арменией Азербайджанских земель и изгнание с древних Азербайджанских территорий азербайджанцев насильственным путем. Появление беженцев и вынужденных переселенцев явилось основной причиной значимых затруднений, зародившихся в демографической ситуации Азербайджана. Вместе с тем Азербайджан, являясь толерантным светским демократическим государством, стало проводить успешную миролюбивую политику и реформу в решении вопроса размещения беженцев и вынужденных переселенцев, оказавшихся в бедственном положении. Сегодня Азербайджан одно из развитых ведущих государств, которое процветает и интегрирует в мировое сообщество, внедряя во все сферы деятельности современные инновационные технологии, занимая должное место среди всех цивилизаций.

Известно, что одним из основных и важных направлений современной программы развития регионов в государственной политике Азербайджана, является улучшение демографической ситуации населения и устойчивость населенных пунктов. Наряду с этим в основе социально-демографического развития региона в стратегической среде лежат природно-географические факторы, которые представляют собой важный комплекс в жизни населения. Пути формирования и наиболее целесообразного территориального размещения поселений предусматривают структурные изменения и улучшения в социальной и демографической областях. Основная цель- это описание путей эффективной территориальной организации населения на территории Гянджа-Газахского региона, проведение демографических загрузок, территориальное урегулирование и определение тенденции устойчивого развития, балансирование труда и производства, решения проблем занятости в регионе, а также перспективное социально-экономическое развитие. Это связано с тем, что данный регион является одним из важнейших регионов страны, который имеет весомое значение в экономической, политической и культурной сферах нашего государства. Этим обосновывается актуальность темы.

## ИЗУЧЕНИЕ ПРОБЛЕМЫ

Гянджа-Газахский экономический район- это один из важнейших стратегических регионов Азербайджана, который имеет важное значение в политической, экономической и культурной жизни нашего государства. Уровень плотности заселения населения в Гянджа-Газахском экономическом районе занимает особое место среди общей численности

населения республики. Численность населения в данном регионе зависит от рельефа, климатических и природных факторов.

Азербайджан- одно из развитых демократических государств в мировом сообществе. Природные условия Азербайджана удивительно разнообразны. Многочисленные реки создают благоприятные условия для проживания населения в достатке. Недра Азербайджана содержат ценные полезные ископаемые. Среди природных богатств особое место принадлежит прекрасным климатическим условиям. Азербайджан –индустриальное государство с высокоразвитой промышленностью и аграрным сектором. Аграрный сектор специализируется в основном на виноградарстве, садоводстве, табаководстве, овощеводстве, животноводстве и шелководстве. Азербайджан имеет тесные политические, экономические и культурные связи со многими государствами.

Известно, что человек является частью природы и только в результате их взаимодействия может возникать и развиваться земная цивилизация. Воздействие человека на природу неизмеримо возрастает и принимает глобальные масштабы. В основе увеличивающихся нагрузок на природный фактор лежат следующие предпосылки: а) растет беспрерывность и объем производственного процесса; б) увеличивается население, растущие потребности которого приводят к использованию и изменению природы. При таких обстоятельствах перед государством выдвигается важная задача- правильное размещение населения с целью повышения жизненного благосостояния народа[8].

Гянджа-Газахский экономический район представляет в жизни нашего государства большую значимость. Площадь Гянджа-Газахского экономического района составляет 12 500 км.Население данного района составляет 1 744,8 тысяччеловек (на 1 января 2018 года). Гянджа-Газахский экономико-географический район расположен на западе республики, преимущественно на северном склоне Малого Кавказа.Он также включает в себя равнину Гянджа-Газахского плато и плато Джейранчел слева от Куры. Экономический регион граничит с Грузией на севере и западе, с Арменией на юго-западе. Основными населенными пунктами экономического района являются главным образом районы Гедабей, Шамкир, Дашкесан, Гейгел, Самух, Геранбой, Гянджа и Нафталан. Гянджа-Газахский экономический район занимает второе место по объему природного газа после Абшеронского экономического района. Естественный прирост в экономическом регионе в 2010 году составил 12,474 тысячи человек, в 2013 году - 12015, в 2014 году - 13516, в 2015 году - 12,630, в 2016 году - 11521, в 2017 году - 9337 тысяч.[1]. Анализ статистических данных показывает, что за последние 7 лет численность населения превысила 3137 тысяччеловек. Это указывает на то, что естественный темп роста в Гянджа- Газахском регионе был намного ниже,хотя число рождаемости в 2010 году составило 20 649, а в 2017 году эта цифра составила 18089. Так, за последние 8 лет естественный прирост населения составил приблизительно 2560 человек. Уровень смертности колеблется от 8,1 до 8,4 тысячи человек. Это составляет 0,7% от общего количества населения региона. В 2012 году этот уровень был самым низким за период 2010–2015 годов. Общий уровень смертности за эти годы составил 6,9% в 2010 году, 6,8% в 2012 году и 6,7% в 2015 году. Коэффициент смертности новорожденных за эти годы составил 10,2%, 9,3% и 7,5%. В результате этого в данном районе естественный прирост населения стабилизировался на 10,5, 9,9 и 10,1%.

Число женского пола составило 4200 человек. Это на 0,7% выше, чем мужчин. Одной из причин, покоторой число женщин превышает количество мужчин, является изменение в генофонде страны после Карабахской войны [2]. Гянджа-Газахский экономический район считается демографически благоприятным регионом. По данным Госкомстата Азербайджанской Республики, на 1 января 2018 года население Гянджа-Газахского

экономического района составляло 1274,8 тысяч человек. Из них 580,9 тыс. (45,9%) проживали в городах, а 684,3 тыс. (54,1%) - в сельской местности. 631 100 (49,9%) населения экономического района составляют мужчины, а 634,1 тысяч (50,1%) - женщины. В 2011-2017 годах количество мужчин составляло от 579,0 тысяч до 631,1 тысяч и 52,1 тысяча или 8,9% женщин, с 593,8 тысяч до 634,1 тыс. человек (40, 3000 человек или 6,8%). Население составляет 12,9%[6] .

Темпы экономического роста в регионе начали снижаться с 1980-х годов. Темпы прироста населения значительно снизились с 1970 по 1979 годы (125,1%) по сравнению с 1989-99 годами (109,6) В 1970-1979 годах в одной только Гяндже темпы роста составляли 122,4%, в 1980–1989 годах- 120,8%, а в 1989-1999 годах темпы роста составляли 106,7% [2].

В 1970-1989 годах городское население было переведено в Геранбой вместе с Агджакендом. В 1970 году в секторе розничной торговли было 3 381 человек, в 1979 году - 7 967, а в 1989 - 9011. Город Гянджа представлен вместе с поселением Гаджикенд. В 1970-79 годах темпы прироста населения в Гяндже составляли 119,5%.

В 1999 году в Гяндже было зарегистрировано 29 879 человек. В период после 1970 года темпы роста городов снизились. В 1970-1999 годах население увеличилось более чем на 100 000 человек, или на 57,7%. Население поселка Гаджикенд постепенно уменьшается из-за городской местности. В период с 1970 по 1989 год количество населения уменьшилось на 213, или 31,5%[8].

Гянджа является вторым по численности населения городом в стране после Баку и Сумгаита по своему экономическому потенциалу и развитию туризма. Это один из развитых в республике городов. Известно, что города играют ведущую роль в размещении населения. Город Гянджа занимает важное место в системе экономического развития этих городов, Он является крупным социально-экономическим и культурным центром в западном регионе страны. Изменился социально-экономический статус города и населения. Расширилась возможность развития социально-значимых объектов. Возрос спектр его воздействия на прилегающие территории и увеличивающиеся связи. Площадь территории Гянджи в целом составляет 107 кв. км. Доля города в общей численности населения республики составляет 3,76%, а городского населения - 7,3%. По данным Госкомстата Азербайджанской Республики, на 1 января 2018 года численность населении Гянджа-Газахского экономического района составляла 1274,8 тысяч человек. Из них 580,9 тыс. (45,9%) проживали в городах, а 684,3 тыс. (54,1%) - в сельской местности. Гянджа является направляющим и регулирующим центром не только для жилых районов, но и для развития городских и сельских районов в регионе. Хотя город не имеет политического и административного влияния на прилегающие районы, он играет важную роль в управлении поселениями, социально-экономическом развитии, а также в обеспечении социальных и культурных потребностей населения. Выгодное транспортное и географическое положение города позволяет поддерживать контакты с другими прилегающими поселениями. Пригород Гянджи плотный и, учитывая резкие различия в развитии городов, входящих в экономический район, он оказывает большое влияние на будущее развитие Дашкесана, Гей-Геля, Геранбоя и других городских районов Гянджинского бассейна[5].

Хотя Гянджа-Газахский экономический район считается одним из древнейших поселений, процесс расселения в Гянджа-чайском районе начал развиваться, главным образом со времен Первой мировой войны. Изменения в социально-экономической жизни населения произошли в основном за счет создания новых сельскохозяйственных, животноводческих и новых промышленных комплексов. Расположенный в бассейне реки

Гянджа-чай,  город Гянджа является практически древним среди городов. Он известен во всем мире как родина великого Низами Гянджеви, который вошел в золотой фонд мировой литературы. В городе  по сей день сохранились исторические памятники, культурное наследие, старинный архитектурный стиль, военные и различные ремесла, различные знаки, произведения культуры. Они  представляют чрезвычайно  ценную информацию об образе жизни и культуре поколений, которые жили до нас, и являются богатым научным источником информации как арсенал древних времен. По мере развития процесса расселения в бассейне реки Гянджачай становилась важной интерпретация географического положения и жилого потенциала городов, которые часто являются источником социальной напряженности в регионе[6].

Население каждого  региона  формируется в соответствии с уникальными возможностями района. С этой точки зрения заселение Гянджинского бассейна напрямую зависит от развития хозяйства. Основной формой расселения людей являются постоянные поселения - города и села, которые во многих частях Гянджинского бассейна густонаселенные, а в некоторых районах редки. Чтобы равномерно разделить поселения на городские и сельские районы в Гянджинскомбассейне, осуществлялось социально-территориальное разделение труда. Это, в первую очередь, приводит к дезинтеграции промышленной и коммерческой рабочей силы в соответствии с аграрным сектором, что способствует развитию двух основных типов поселений - городских и сельских. Городские поселения отличаются  несколько разнообразными народнохозяйственными функциями: сюда входят промышленность, транспорт, организационные, экономические, культурные, политические и административные,  жилые зоны, которые выполняют функции отдыха и лечения населения. Большинство поселений в бассейне реки Гянджачай также содержат четыре вида вышеуказанных классификаций. В настоящее время 300 000 человек проживают вдоль долины Гянджачай[7].

Следует особо отметить, что с 1988 года более 30%  азербайджанцев  были вынуждены мигрировать из Армении и Нагорного Карабаха в Азербайджан. Они были размещены в бассейне рекиГянджачай, что повлияло на социально-экономическое состояние бассейна. Большинство беженцев и вынужденных переселенцев были частично заселены в пяти основных прилежащих горных районах Гянджачайского бассейна.  Размещение населения началось, начиная с деревни АлаханчаллыДашкесанского района. В районах, где река протекает по равнине, население было сконцентрировано намного больше. Малое заселение населения в прилежащих горных районах напрямую связано с рельефом и  выживанием населения в горных условиях и разведением  домашнего скотоводства. В районе Дашкесан с площадью 1,005 км и населением 34,4 тысяч человек (статистический бюллетень за 2016 год) процесс расселения в основном осуществлен в бассейне Гянджачай. Здесь широко было распространено животноводство.  Население здесь проживает в основном  за счет оказания государственной материальной помощи. Размещение населения проводилось также и в близлежащих селениях.

Население в Гёйгёльском районе Гянджа-чайского бассейна относительно плотное. Особенно примечательны большие сельские заселения в районе протекания реки через равнинную поверхность. Заселение населения вдоль реки является естественным процессом, так как река- это основной источник орошения посевов. Население широко использует воду для развития сельскохозяйственного сектора. Сельские поселения в Гёйгёльском районе с площадью в 0,92 тысяч км и населением 63,4 тысяч человек (2018) охватывают все прилежащие села.

Помимо социально-экономических факторов, влияющих на развитие целесообразного

размещения населения в Гянджа-чайском бассейне, выделяются еще два других фактора: природный и демографический. Природные факторы - это в основном рельеф, климат, почва, географическая зона и другие природные ресурсы. Чем выше развитие производительных сил в поселении, тем менее прямое воздействие природных факторов.

В зависимости от плотности населенных пунктов повышается численность сельского населения. Таким образом, плотность населения сел определяется по группам (0-50, 50-100, 100-200,200-500,500-1000, 1000-2000, 2000-3000, 3000-5000 и более). Приведенные данные показывают, что число деревень с населением от 200 до 3000 человек встречаются значительно реже[2].

В последние годы тенденции развития социально-экономического рынка региона определяют динамику структуры расселения, количественные и качественные показатели для реализации экономических и социальных реформ. Важна роль государственных программ в формировании нефтяного сектора и инфраструктуры в регионе. Это влияет на формирование и урегулирование демографической ситуации и расселение населения в данном районе.

## ИТОГИ И ПРЕДЛОЖЕНИЯ

В заключении можно сделать следующий вывод. Анализ демографических процессов и механизмов размещения населения в Гянджа-Газахском экономико-географическом регионе показывает, что за последний период наблюдается естественный прирост населения. Темпы экономического роста в районе начали снижаться, начиная с 1980-х годов. Эти обстоятельства оказали отрицательное влияние на развитие новых мест обитания. Известно, что снижение темпов естественного прироста демографических процессов влияют на рост численности населения. Из всего вышесказанного следует, что при изучении демографического статуса распределения населения, в целях решения экономико-географических проблем, связанных с размещением населения в Гянджа-Казахском экономическом районе, следует иметь в виду:

исторически в Гянджа-Газахском экономико-географическом регионе естественные темпы прироста населения были высокими. Эта динамика изменилась с 1989 года, и темпы естественного роста снизились по сравнению с предыдущими годами.

Для решения социально-экономических проблем, связанных с наиболее рациональным распределением населения в Гянджа-Газахском экономико-географическом регионе и для достижения целей, установленных Государственной программой социально-экономического развития регионов на 2014-2018 годы следует:

- обеспечить повышение жизненного уровня населения, и установить контроль за колебаниями рождаемости и смертности в существующих условиях данного района. Вместе с тем создать новые рабочие места, способствующие повышению социально-экономического развития в соответствии с демографическим состоянием в городах и селах.
- создать наиболее благоприятные условия для совершенствования инфраструктуры хозяйственного комплекса, формирования межгородских и межрегиональных рынков в как в внутри экономического района, так и за его пределами.

**Список использованной литературы**:

1. Материалы Государственного комитета по статистике Азербайджанской Республики. 1990-2018 года
2. миграционные данные Государственным комитетом статистики СССР.
3. География Азербайджанской Республики. Издание Национальной Академии Наук Азербайджана. Институт географии им. Г.Алиева Баку 2015. 328 .с.
4. Эфендиев. А. Урбанизация и городские поселения Азербайджана. Баку-2002,395 с.
5. Эфендиев В.А. Демиркаев Ш. Географические проблемы градостроительства Азербайджанской Республики. 1995 ,172 с Баку.
6. Эфендиев В.А., Нагиев С.К. География населения. Баку-2006 338. с.
7. Ахмедли А.А. Гаджиева Н.Н. Проблемы единообразного проживания в Азербайджане. Баку -2018, 180 с.
8. Эминов З. Население Азербайджана. Баку-2005, 560.с
9. Строев Е.С., Бляхман Л.С. и другие Экономика Содружества Независимых.Третьего изгоя за государственную ст. - СПБ., 1998.
10. Ратанова. М.П. Экономическая и социальная география, пособие для вузов - М.:Дрофа, 2006. - 571 .с
11.MaurizioAmbrosini . "Worlds in Motion: International Migration at the End of the Millennium" Italli-2013.
Интернетресурсы.
https://report.az/.../azerbaycanda-ehalinin-demoqrafik-veziyet
https://www.stat.gov.az/source/demoqraphy/
http: // www.ier.az
https://www.stat.gov.az

## РЕЗЮМЕ

Статья посвящена описанию нынешнего демографического состояния населения в Гянджа-Газахском экономическом районе, который имеет ряд особенностей. В статье рассматриваются некоторые из них. Известно, что население является основной производительной силой общества, как производителем, так и потребителем. Гянджа-Газахский экономический район входит в число регионов с населением более, чем в 1 миллион человек по общей численности населения страны. Благоприятные природные условия и экономико-географическое положение экономического района играют важную роль в рациональном расселении населения. В статье приводятся данные Госкомстата Азербайджанской Республики по годам. В статье анализируются пути усовершенствования наиболее рационального расселения населения в целях повышения уровня благосостояния народа.

SUMMARY

## FACTORS OF INFLUENCE ON THE SETTLEMENT OF POPULATION ACCOMMODATION IN GANJA - GAZAKH ECONOMIC DISTRICT

Ahmadli Arif Abbasali

**Key words:** demographic status, resettlement, socio-economic, economic-regional, natural growth, settlement, population.

The article describes the current demographic status of the population in the Ganja-Gazakh economic region which has a number of features. The article discusses some of them. It is known that the population is the main productive force of society, both producer and consumer. Ganja-Gazakh economic region is one of the regions with a population of more than 1 million people in the total population of the country.

Favorable natural conditions and the economic and geographical position of the economic region play an important role in the rational settlement of the population. The article provides data on the State Statistics Committee of the Republic of Azerbaijan by years. The article analyzes the ways to improve the most rational settlement of the population in order to increase the welfare of the people.

# კოსოვოს შექმნა და სახელმწიფოებრიობის მშენებლობა

მარინა იზორია
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
თბილისის ღია უნივერსიტეტი

2008 წლის 17 თებერვალს კოსოვოს ავტონომიური მხარის პარლამენტმა მხარი დაუჭირა სერბეთის დამოუკიდებლობას. ამ ნაბიჯმა გაჰყო საერთაშორისო თანამეგობრობა კოსოვოს მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. 2008 წლის 9 აპრილს კოსოვოს პარლამენტმა დაამტკიცა პირველი კონტიტუციის პროექტი[1]. იმავე წლის 15 ივნისს დოკუმენტი ძალაში შევიდა. ალბანეთის უმრავლესობა ამტკიცებს, რომ ეთნიკური უფლებების საფუძველზე კოსოვოს ტერიტორია ეკუთვნის ალბანეთს, რადგან ამ დროისათვის აღნიშნული მხარის ორი მილიონი მოსახლეობიდან 90%-ზე მეტს ალბანელები შეადგენდნენ და მხოლოდ 6% იყო სერბები. თავის მხრივ, სერბთა უკმაყოფილება კოსოვოს მიმართ დაკავშირებულია ისტორიულ წაარსულთან .

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით კოსოვოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა შესაძლებელია მხოლოდ აშშ-სა და ევროკავშირის დაცვის ქვეშ ყოფნის შემთხვევაში. მათ უნდა შეინარჩუნონ კოსოვოს ტერიტორიაზე მუდმივი სამხედრო მზადყოფნა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და გაუწიოს ყოვლისმომცველი ფინანსური დახმარება. შესაბამისად, დასავლეთის დამოკიდებულება კოსოვოსთან ამცირებს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების ბოსნიურ მოდელს: დამოუკიდებლობას საერთაშორისო კონტროლის ქვეშ და ევროატლანტიკური სტრუქტურების სრულ ინტეგრაციას. თავის მხრივ, პრიშტინამ ნაკლებად სავარაუდოა შეძლოს გაატაროს დამოუკიდებლად საგარეო პოლიტიკა. მას განკუთვნილი აქვს ერთ- ერთი ყველაზე ერთგულისა და თანმიმდევრული თანამგზავრის როლი აშშ-სა და მის ევროპელ მოკავშირეებს შორის ბალკანეთში. მიმდინარე ,,ინტერესების ალიანსში'' აშშ-ს ადმინისტრაცია, ისევე როგორც მნიშვნელოვანი ნაწილი მთლიანი ამერიკული პოლიტიკის, უცვლელად დაიკავებს ალბანელების მხარეს და დაიცავს მათ ინტერესებს საერთაშორისო არენაზე. ამერიკელი სტრატეგები განიხილავენ კოსოვოს, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან გლობალური ჰეგემონიის გაფართოების თეატრს აშშ-ში დემოკრატიის ხელშეწყობის ლოზუნგის ქვეშ. გარდა ამისა, რეგიონში ამერიკელების გაძლიერება, რომელთაც უკავიათ სტრატეგიული პოზიცია ბალკანეთში, საშუალებას მისცემს ვაშინგტონს გააკონტროლოს სატრანსპორტო კომუნიკაცია სამხრეთ და დასვლეთ ევროპაში[2] და ასე გააძლიეროს ზეწოლა რუსეთის დასავლეთ საზღვრებში. ვაშინგტონის არსებითი მხარდაჭერა კოსოვოელი ალბანელების მიმართ, თავის მხრივ დაკავშირებულია აშშ-ში ძლიერ ალბანურ ლობთან, ამან ჩამოაყალიბა ძლიერი კავშირები ბევრ კონგრესმენებს და ,,კვლევითი ცენტრის'' წარმომადგენლებთან, რომლებიც ზემოქმედებენ ამერიკის საგარეო პოლიტიკის კურსის განვითარებაზე, რომლებიც გულუხვად ფინანსდებიან ალბანური ფონდებისგან. ფილადელფიის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის თქმით, საერთაშორისო პოლიტიკურ პრობლემასთან და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით მ.რადასთან, ყველაზე გავლენიანი ალბანური ლობი არსებობს ნიუ-იორკში ზოგიერთი ალბანური დიასპორის წარმომადგენლებს უკავიათ მაღალი თანამდებობები აშშ-ს სადაზღვეო

1.Голицин С.А. Государственное строительство в Косово., М., 2009, с. 127.
2. მათ შორის ბელორუსიაში და უკრაინაში

და სახელმძღვანელო[1] ადმინისტრაციაში. კერძოდ, ალბანური ფესვები აქვს ცენტრალური სადაზღვეოს ყოფილ მმართველს ჯ.ტენეტს, იგი ამ თანამდებობას იკავებდა იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატო-ს ოპერაციების დროს. აშშ-ში ხელისუფლების მდუმარე თანხმობით მოქმედებს ულტრანაციონალური ორგანიზაცია ,,საქველმოქმედო ლიგა'', რომელიც აერთიანებს ალბანელ ექსტრემისტებს კოსოვოდან, მაკედონიიდან და ჩერნოგორიიდან. ეს მესამე ლიგაა, რომელიც ჩამოყალიბდა 1962 წელს. მისი მიზანი იყო შექმნა ,,დიდი ალბანეთი''. მისი დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს-ნარკოვაჭრობა, ხოლო მისი დამაარსებელი ხ.ტრებზა ითვლება ყველაზე დიდ ნარკომოვაჭრედ აშშ-ში. მარტო ნიუ-იორკში[2] ამ ორგანიზაციის ალბანელი ,,დილერები'' აკონტროლებენ ნარკობზრის 40%. აშშ-ს ხელისუფლებამ იცის ამ ორგანიზაციის კრიმინალური მოქმედებების შესახებ (კერძოდ, ამის შესახებ აფრთხილებდა ყოფილი ნიუ-იორკის მერი რ.ჯულიანი; ამ თემასთან დაკავშირებით ანგარიშით წარსდგა სტრატეგიული კვლევების ამერიკული უნივერსიტეტი). დღემდე არც ერთი ალბანური ნარკომაფიის ხელმძღვანელი არ არის დაჭერილი. საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და იტალია მხარს უჭერენ კოსოვოს დამოუკიდებლობას, მიუხედავად იმისა, რომ თავად დგანან სეპარატიზმის პრობლემის წინაშე. ყველაზე დიდი აქტივობა ევროპულ ძალებს შორის, სუვერენიტეტის მიღების პროცესში აჩვენა გერმანიამ. ამ ქვეყანას აქვს ტრადიციულად ძლიერი გავლენა ალბანურ წრეებში. მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტური გერმანიის მთავრობამ გამოაცხადა ,,დიდი ალბანეთის'' შექმნა, სადაც იუგოსლავიის სახელმწიფოს დანაწევრების შემდეგ კოსოვოს და მეტოქიის დიდი ნაწილი შევიდა, მათთან ერთად დასავლეთ მაკედონიაც. ალბანელები, გერმანულ და იტალიურ ჯარებს მიესალმებოდნენ, როგორც განმათავისუფლებლებს და იმედოვნებდნენ, რომ მათი დახმარებით აისრულებდნენ თავიანთ ოცნებას, ერთიან დამოუკიდებელ ალბანურ სახელმწიფოსთან დაკავშირებით. ალბანეთში 1992 წლის საპარლამენტო არჩევნები ბერლინის მხარდაჭერის წყალობით მოიგო სალი ბერიშის პარტიამ, თავად ბერიში ხელმძღვანელობდა ხელისუფლებას. გერმანიის სადაზღვეო სამსახურის მიერ არმიისთვის იყო ორგანიზებული დაფინანსება და იარაღის მიწოდება კოსოვოს გასათავისუფლებლად. 1991-1999 წლებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ალბანურმა ლობმა კოსოვოს სეპარატისტულ მოძრაობაში ჩადო 1,3 მლრდ. გერმანული მარკა. ალბანური ლობის დაფუძნებულმა ფონდმა ,,სამშობლო გვეძახის'' გახსნა ანგარიშები აშშ-ში, კანადაში, იტალიაში, ბელგიაში, დაანიაში, შვეიცარიაში, შვედეთში და ავსტრიაში. გერმანული ხელისუფლება მრავალი წლის მანძილზე ხუჭავდა თვალს, თავის ტერიტორიაზე კოსოვოელი ალბანელების ე.წ. ჩრდილოვანი ხელისუფლების საქმიანობაზე, რომლის მეთაურიც ბ.ბუკოში იყო. მხოლოდ 1998 წლის გაზაფხულიდან, 1999 წლის გაზაფხულამდე ამ ,,მთავრობამ'' შეაგროვა 350 მლნ. გერმანული მარკა. კოსოვოს ძირითად მხარდამჭერ მიმართულებად ევროკავშირის მხრიდან იქნება, დიდი ფინანსური სახსრების გამოყოფა, ამ მხარის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განსავითარებლად, რომელიც ითვლება ყველაზე ჩამორჩენილად ევროპაში. ევროკომისიის ოფიციალური წარმომადგენლის კ.ნადის განცხადებით, ევროკავშირი და მსოფლიო ბაანკი გეგმავს ჩაატაროს საერთაშორისო კონფერენცია ,,დონორი'' ქვეყნებისთვის, რათა განისაზღვროს ეკონომიკური დახმერების საერთაშორისო მასშტაბები, კოსოვოს აღდგენის საჭიროებისთვის. მომდევნო ოთხი წლის მანძილზე უნდა გამოიყოს ამ მიზნით 1მლრდ. ევრო [პროექტი ,,კოსოვო'' 2008]. გარდა ამისა, 2010 წლისთვის ვარაუდობენ დაფინანსდეს კოსოვოს გადამზადების პროგრამა

1 Задохин А. Г. Национальные архетипы и стереотипы и внешняя политика России. М., 1997, с. 32–44

2. აქ ალბანელებს მეტი გავლენა აქვთ მედიაზე

ევროკავშირში გასაწევრიანებლად, 326,4 მლნ. ევროს ოდენობით. აქედან 2008 წელს, კოსოვოში ევროკომისიის კანცელარიის ხელმძღვანელის რ.დავიდის თქმით, იქნება გამოყოფილი 124,7 მლნ. ევრო, 2009 წელს - 66,1 მლნ. ევრო, 2010 წელს - 67,3 მლნ. ევრო. ევროკავშირის დაინტერესება კოსოვოს მიმართ მეტწილად განპირობებულია მისი სტრატეგიულად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, რომელიც საშუალებას იძლევა გააკონტროლოს მნიშვნელოვანი სატრანსპორტო - ენერგეტიკული დერეფნები ევროპასა და აზიას შორის. ჯერ კიდევ 1990-იანი წლების შუა ხანებში ამერიკის მმართველ წრეებს შორის აღმოცენდა პროექტი ,,ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი'', რომელიც უზრუნველყოფდა ნავთობსადენების სისტემის მშენებლობას ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ენერგორესურსების მისაწოდებლად, კასპიის ზღვიდან და ცენტრალური აზიიდან. პროექტის იდეოლოგი იყო ცნობილი პოლიტიკოსი და პოლიტოლოგი ზ.ბჟეზინსკი, რომელიც იმ დროისთვის აშშ-ს ნავთობ-კომპანიის ,,Amoco''-ს წევრი იყო. გაჩნდა გეგმა ამიერკავკასიის ნავთობსადენის, რომლის მეშვეობითაც კასპიის ზღვის ნავთობი უნდა მომხდარიყო ევროპაში და მსოფლიო ბაზარზე თურქეთის გავლით და რუსეთის გვერდის ავლით. ამ პროექტის წარმატებით განსახორციელებლად საჭირო იყო ორი პრობლემის გადაწყვეტა: პირველ რიგში, გასანეიტრალებელი იყო მოქმედი რუსული ნავთობსადენი ბაქო-გროზნი-ნოვოროსიისკი (ამასთანაა დაკავშირებული, მათ შორის კონფლიქტი ჩრდილოეთ კავკასიაში), მეორეც, ბალკანეთის სატრანსპორტო დერეფნების და რეგიონში მმართველი რეჟიმების კონტროლის ქვეშ აყვანა. სერბეთის ხელმძღვანელობის პროექტები - გამოიყენოს ნავთობსადენი ,,მეგობრობა'' ნავთობის მისაწოდებლად რეგიონში უმსხვილესი ნავთობგადამამუშავებელი გაერთიანების პანჩევოში, ბელგრადთან შემდგომი გაყიდვისთვის მზა პროდუქტის ევროპაში, აგრეთვე აშენდეს კიდევ ერთი ნავთობსადენი რუმინეთის ქალაქ პიტეშტიდან პანჩევომდე ძირს უთხრიდა დასავლეთის ტრატეგიულ გეგმებს ბალკანეთში. ნატო-ს ომის დაწყებამდე იუგოსლავიის წინააღმდეგ გავლენიანი ამერიკული გაზეთი ,,ვაშინგტონ პოსტი'' წერდა: ,,დაძაბულობის ზრრდასთან ერთად ახლო აღმოსავლეთში გვესაჭიროება საფუძველი და ბალკანეთზე გავლენის უფლება (სამხედრო თვითმფრინავების), რათა დავიცვათ კასპიის ზღვის ნავთობი'' [სტიუარტ 2002][1]. იუგოსლავიის დაბომბვის შემდეგ, აშშ-ს ენერგეტიკის მინისტრმა ბ.რიჩარდსონმა განაცხადა: ,,საუბარი მიდის ამერიკის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე. ჩვენ ვსაუბრობთ მათ სტრატეგიულ შეკავებაზე, ვინც არ იზიარებს ჩვენს ღირებულებებს. ჩვენ ჩავდეთ მნიშვნელოვანი ინვესტიცია კასპიის ზღვაში, და ახლა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნავთობსადენი და პოლიტიკა წავიდეს ჩვენთვის ხელსაყრელი მიმართულებით.'' ბორისოვი 2008] ამერიკული ნავთობკომპანიების ინვესტიციის მოცულობა კასპიის ზღვის აუზის წარმოსაქმნელად, აგრეთვე აშშ-ს მთავრობის სწრაფვა შეამციროს ეროვნული ეკონომიკის დამოკიდებულება იმპორტირებულ ნავთობზე, განსაკუთრებითახლოაღმოსავლეთში,საჭიროებსგრძელვადიანიგადაწყვეტილებების მიღებას აშშ-ში და ევროპაში ნავთობის მიწოდების შესახებ. აშშ-ს ვაჭრობისა და განვითარების სააგენტომ (Trade & Development Agency), გულუხვად დააფინანსა კვლევის პერსპექტივები და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები, ტრანს-ბალკანური ნავთობსადენის შექმნისთვის, ნიუ-იორკული კომპანია «AMBO» («Albania, Macedonia, Bulgaria Oil») ღირებულებით 1.3 მლრდ. დოლარი. ვარაუდობენ, რომ ნავთობის გადატანა მოხდება შავი ზღვით, ტანკერების დახმარებით ბულგარულ ნავთობის პორტში ბურგასში, ხოლო იქიდან მაკედონიის ნავთობსადენის გავლით, ალბანეთის ადრიატიკის პორტში - ვლორაში. იქ კვლავ დატვირთავენ ტანკერებს და გაგზავნიან

1. Голицин С.А. Государственное строительство в Косово., М., 2009, с. 127.

ევროპასა და აშშ-ში, ბოსფორის გვერდის ავლით - შავი ზღვის ერთ-ერთი გზით.

კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საერთაშორისო კონსორციუმმა იტალიის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის და ალბანეთის შემადგენლობით, განაცხადა უახლოეს მომავალში ნავთობსადენების პროექტის დასრულება, ადრიატიკა-მაკედონია-ბულგარეთი: ვლორა-სკოპიე-ბურგასი. თითქმის ნახევარი ამ ტრანსბალკანური არტერიის აღმოჩნდა ალბანეთის ტერიტორიაზე. ეს პროქტი მიზნად ისახავს კონკურენცია გაუწიოს ნავთობსდენს ბურგას-ალექსანდროპოლს, რომლის მეშვეობით დაგეგმილია რუსეთისა და კასპიის ზღვის ნავთობის მიწოდება ხმელთაშუა ზღვისთვის, თურქეთის გვერდის ავლით. იუგოსლავიის საბოლოო დაშლის შესამლო შედეგების გათვალისწინებით, საჭიროა გამოიყოს შემდეგი ფაქტორები. 1.დასავლეთის მიერ ბაალკანეთის რეგიონში, ეთნოპოლიტიკური რუკის შეცვლის პროცესი, სავარაუდოდ, გაგრძელდება. ალბანელები კვლავ გააგრძელებენ შექმნან ,,დიდი ალბანეთი'', განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მიიღეს ძლიერი იმპულსი, დამოუკიდებელი კოსოვოს მხარდამჭერის სახით. ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში ბალკანეთში იარსებებს ორი ერთგვაროვანი სახელმწიფო - ალბანეთი და კოსოვო, გაერთიანებულნი აგრესიული ნაციონალიზმით, მზარდი ისლამური ექსტრემიზმით და კლანურ-მაფიოზური სტრუქტურული საზოგადოებით. აქტივირდება ალბანური დიასპორები სხვა ბალკანურ ქვეყნებში. დიასპორის მეთაურების აზრით, ,,დიდი ალბანეთი'' უნდა გახდეს ძლიერი მონონაციონალური ისლამური სახელმწიფოს ფორმირება სამხრეთ ევროპაში, რომლის შემადგენლობაში შევლენ ალბანეთი, კოსოვო, მაკედონიის მსხვილი ტერიტორიები, სერბეთის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთი, აღმოსავლეთ ჩერნოგორია და ჩრდილოეთ საბერძნეთი, სადაც ამ დროისთვის კომპაქტურად ჩასახლებულია ალბანური მოსახლეობა. 2. აშშ-მ, რომელმაც გამოუცხადა მრავალმხირი მხარდაჭერა ალბანელებს, მიიღო ეფექტური სამოქმედო ბერკეტი, ერთიან ევროპაში. საზღვაო და სახმელეთო წვდომა ალბანეთის და კოსოვოს ტერიტორიაზე, ამერიკელებს საშუალებას აძლევს გააკონტროლოს საზღვაო ვაჭრობა ადრიატიკის და იონიის ზღვაში, აგრეთვე განახორციელოს სამხედრო ოპერაციები ხმელთაშუა ზღვაში. ალბანეთის კონფლიქტში, აშშ-ს მხარდაჭერა ,,მჟუტავ მდგომარეობაში'' შესაძლებელს ხდის დაჭიროს ,,მტკივნეულ ადგილზე'' ევროპას. ყოველთვის როცა მისთვის აუცილებელი იქნება შეასუსტოს ევროკავშირის ზემოქმედება, და მისი ფინანსური და ეკონომიკური სისტემა[1]. 3.ალბანელი სამხედროების საკუთარ მოკავშირეებად არჩევა, მსოფლიო მასშტაბით ისლამურ ტერორისტულ ორგანიზაციებთან კონტაქტის შენარჩუნება, ვაშინგტონი იმედოვნებს შეამციროს ისლამურ სამყაროში ანტიამერიკული ხასიათი, რომელიც ატარებს მზარდ კავშირებს, აშშ-ს ,,უხეშ'' საქმიანობასთან ახლო აღმოსავლეთში, ერაყში და ავღანეთში.

ამრიგად, 1999 წლის 10 ივნისის 1244 რეზოლუციის თანახმად, უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა განათავსოს კოსოვოში, გაეროს ეგიდის ფარგლებში, საერთაშორისო სამოქალაქო და უსაფრთხოების მისიები. საბჭო უფლებამოსილია გენერალური მდივნის დახმარებით შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციების, უზრუნველყოს საერთაშორისო სამოქალაქო ყოფნა კოსოვოში, გაეროს ადმინისტრაციიის დროებითი საქმიანი მისია კოსოვოში (გმკ), კოსოვოში დროებითი ადმინინისტრაციის შექმნის მიზანი, რომლის თანახმადაც კოსოვოს მოსახლეობა ,,შეძლებს ისარგებლოს იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ფარგლებში მტკიცე ავტონომიით და, რომელიც უზრუნველყოფს გარდამავალ ადმინისტრაციას, რომელიც ერთდროულად შექმნის და გააკონტროლებს თვითმართვლობის დროებითი დემოკრატიული

1. Задохин А. Г. Национальные архетипы и стереотипы и внешняя политика России. М., 1997, с. 32–44.

ორგანოების განვითარებას, პირობების უზრუნველყოფის მიზნით, მშვიდობიანი და ნორმალური ცხოვრებისთვის, კოსოვოში მცხოვრებთათვის.''

2009 წლის 15 ნოემბერს კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან, პირველად ჩატარდა მუნიციპალური არჩევნები. გაიმარჯვა კოსოვოს დემოკრატიულმა პარტიამ ქვეყნის პრემიერ-მისისტრის ხაშიმ ტაჩის მეთაურობით. მეორე ადგილზე გავიდა მათი ოპონენტი კოსოვოს დემოკრატიული ლიგა ქვეყნის პრეზიდენტის ფატმირ სეიდიუმი ხელმძღვანელობით. მესამე ადგილზე მოვიდა კოსოვოს მომავლის ალიანსი, რომლის სათავეში იყო რამუშემ ხარადინაემი, ერთ-ერთი დამფუძლებელი კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის.

2009 წლის 1 დეკემბერს საერთაშორისო სასამართლომ, ჰააგაში, დაიწყო მოსმენა ცალმხრივად კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე. 2010 წლის 22 ივლისს საერთაშორისო სასამართლომ აღიარა კოსოვოს ხელისუფლების გადაწყვეტილების კანონიერება, სერბეთიდან დამოუკიდებლობის შესახებ.

2010 წლის 15 ოქტომბერს ქვეყნის ისტორიაში პირველად მოხდა პოლიტიკური კრიზისი: კოსოვოს დემოკრატიულმა ლიგამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ყოფილი პრეზიდენტი ფატმირა სეიდიუმი, გადაწყვიტა გასულიყო მმართველი კოალიციიდან. კრიზისი დაიწყო ოქტომბერში, როდესაც ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ქვეყნის პრეზიდენტს არ შეუძლია ერთდროულად იყოს პარტიის ლიდერიც.

2011 წლის 8 მარტს პირველად ისტორიაში ბრიუსელში გაიმართა მოლაპარაკებები სერბეთთან. კოსოვოს პოლიტიკური სტატუსი არ განხილულა. ბელგრადის პოზიცია: კოსოვოში სერბი საზოგადოების ცხოვრების გაუმჯობესება. პრიშტინის პოზიცია: სერბეთთან ურთიერთობის ნორმალიზება.

2011 წლის ივლისში წარმოიშვა კონფლიქტი კოსოვოს რესპუბლიკის თვითმარქვია ხელისუფლებებს შორის და კოსოველი სერბების ორი საზღვრის გადაკვეთის გაკონტროლებისთვის ცენტრალური სერბეთის რეგიონში, რომელსაც კოსოვოს ხელისუფლება განიხილავს, როგორც სახელმწიფოებრივს. ფაქტობრივად, კოსოვოს მხარე დაიჭირეს KFOR ძალებმა. კონფლიქტს წინ უძღვოდა წარუმატებელი მოლაპარაკებები პრიშტინის და ბელგრადის, საბაჟო რეგულირებაზე .

2013 წლის 19 აპრილს ბრიუსელში სერბეთის პრემიერ-მინისტრმა ივიცა დაჩიჩმა და კოსოვოს პრემიერ-მინისტრმა ხაშიმ ტაჩიმ დაიწყეს შეთანხმება ურთიერთობის ნორმალიზების პრინციპებზე. ის ეხება სერბი თემების სტატუსსა და ფუნქციას ჩრდილოეთ კოსოვოში, მაგრამ არა კოსოვოს სტატუსს[1]. შეთანხმება უზრუნველყოფს ახალი ერთიანი საზოგადოების ფორმირებას კოსოვოში სერბი თემების ასოციაციას, რომლებმაც უნდა გააკონტროლონ ეკონომიკური განვითარების ტერიტორიები, განათლება, ჯანდაცვა, ქალაქისა და სოფლის მეურნეობა. ამ ასოციაციას შეუძლია მისცეს დამატებითი უფლებამოსილება კოსოვოს ,,ცენტრალურ ხელისუფლებას''. კოსოვოს სერბულ ნაწილში პოლიციის ერთეულები მთლიანად უნდა იქნას ინტეგირებული ერთიან კოსოვოს სამსახურში, მაგრამ სამხარეო პოლიციის მართვა, რომელიც გააკონტოლებს ოთხს სერბულ თემს (ჩრდილოეთ მიტროვიცა, ზვეჩანი, ზუბინის ნაკადი და ლეპოსავიჩი), უნდა მოხდეს კოსოველი სერბის განკარგულებით. ჩრდილოეთ კოსოვოს სასამართლო ორგანოები უნდა იყოს ინტეგრირებული კოსოვურად და უნდა მოქმედებდეს კოსოვოს კანონებით, თუმცა სერბეთის ნაწილში ქალაქ კოსოვსკა-მიტროვიცაში უნდა შეიქმნას სპეციალური რაიონული სასამართლო[2]. 2013 წელს ეუთოს მხარდაჭერით ჩატარდა სერბეთის მუნიციპალური

1. კოსოვო აღიარა - 114 ქვეყანამ, საქართველო არაღიარებს კოსოვოს დამოუკიდებლობას.

2 .О контактной зоне: Задохин А. Г. Политические процессы на периферии Евразии. М., 1998. С. 5–11.

ხელმძღვანელების არჩევნები. კოსოვო და სერბეთი შეთანხმდნენ ერთმანეთს არ დაუბლოკონ ევროკავშირში შესვლის პროცესი. შეთანხმების განსახორციელებლად ევროკავშირის მხარდაჭერით უნდა ჩამოყალიბდეს ერთობლივი კომიტეტი. მრავალი სერბული ოპოზიციური პარტია, სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესია, ნაციონალისტური მოძრაობა და კოსოვოელი სერბები გამოდიან კოსოვოსთან შეთანხმების წინააღმდეგ, რადგან მიიჩნევენ მას ეროვნული ინტერესების ღალატად.

ლიტერატურა


1. Голицин С.А. Государственное строительство в Косово., М., 2009, с. 127.
2. Порошин Г.А История конфликта в Косово. М.2005., с. 78.
3. Задохин А. Г. Национальные архетипы и стереотипы и внешняя политика России. М., 1997, с. 32–44.
4. Косик В. И. Русская политика на Балканах. М., 1991, С. 72.
5. О контактной зоне: Задохин А. Г. Политические процессы на периферии Евразии. М., 1998. С. 5–11.


**SUMMARY**


**Marina Izoria**


**CREATION OF KOSOVO AND STATE BUILDING**


In 1991, Kosovo Albanians spent inan illegal referendum on independence and unauthorized elections whom I. Rugov was elected president. Pristina set about creating armed separatist units that in 1996 were united in the Kosovo Liberation Army. A sabotage-terrorist war unfolded in the region, accompanied by mass killings and ethnic cleanings on both sides. Since 1999 due to interethnic conflicts, more than 200 thousand Serbs left the region. In an effort to expel the Serb population from Kosovo and destroy evidence his presence, the Albanian militants did not stop even before the destruction of Orthodox shrines. Since 1999, more than 150 churches and monasteries have been destroyed, in total about 400 Orthodox suffered structures, many of which are unique and are under the protection of UNESCO. March 24, 1999 NATO without UN authorization launched a military operation against Yugoslavia, called «Allied power». Yugoslav cities and military objects were subjected to massive bombing. June 20 of the same year Belgrade was forced to withdraw its troops from Kosovo and agree to enter the province NATO military contingent.

On February 17, 2008 the Serbian province of Kosovo and Metohija unilaterally declared its independence from Serbia. The next day, President Hashim Thachi sent a “recognition request” to the governments of all states of the world. However, the reaction of the international community has been extremely heterogeneous and controversial.

October 24, 2005 Security Council The UN gave the green light to the process of determining the final status of Kosovo. Special Envoy of the General UN Finnish President M. Ahtisaari became UN Secretary-General for Kosovo. is he introduced by the Security Council its settlement plan, which provided for the provision of Kosovo «controlled independence», its separationfrom Serbia and long-term conservation on its territories of international presenceto control the situation.

# საერთაშორისო ურთიერთობები და ტერიტორიების გაყიდვის საკითხი

**გურამ მარხულია**

**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი**

მსოფლიო ისტორიაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ქვეყნის მმართველები თავიანთ ტერიტორიებს, ქვეყნებს, ოლქებს ჰყიდიდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ იყიდებოდა არა ცარიელი მიწა ან უკაცრიელი კუნძულები, არამედ ტერიტორია ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად. უბედურება ის იყო, რომ ამ შემთხვევაში მიწის ნამდვილი პატრონის ნება-სურვილს, ამ თუ იმ ქვეყანაში ცხოვრების შესახებ, არავინ ითვალისწინებდა, არც გამყიდველი და არც მყიდველი. ყველა სახის თვითმყრობელი მკვიდრ მოსახლეობას გულწრფელად თავის ღვიძლ ნაწილად კი არა გარიგების საგნად განიხილავდა.

მცირე ზომის სახელმწიფოების მოსახლეობა დიდ სახელმწიფოებს ვერ უმკლავდებოდა და ბრძოლაში მარცხდებოდა. შედეგად დარჩენილი მოსახლეობითურთ დამყრობელი სახელმწიფოს ნაწილი ხდებოდა. ზოგჯერ „მფლობელის შეცვლას" მოსახლეობა შედარებით მშვიდად ხვდებოდა, რადგან მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ ვის გადაუხდიდნენ ხარკს.

ჯერ კიდევ ანტიკურ დროში მეფეები, რომლებიც ძალაუფლებას კარგავდნენ, უფრო ხშირად თავიანთ სახელმწიფოებს რომს უანდერძებდნენ. ამის მაგალითია ვიფინიის[1] მეფე ნიკომედ IV[2] ან პერგამოს[3] მეფე ატალ III[4].

ასევე არაერთხელ ქცეულა გარიგების საგნად ბერძნული მიწები. ამგვარად, 1204 წელს ბონიფაცი მონფერატელმა[5] კუნძული კრეტა[6] ვენეციას, არც ისე ძვირად - ვერცხლის ათას მარკად მიჰყიდა[7]. საუკუნის შემდეგ ამჯერად ვენეციელებმა

1 ვიფინია - ისტორიული ოლქი, ძველი სახელმწიფო და რომის პროვინცია რომელიც მდებარეობდა ანატოლიის (მცირე აზია) ჩრდილო-დასავლეთით ბოსფორის სრუტესა და მდინარე სანგარიუსს შორის. ვიფინიის დიდ ქალაქებად ითვლებოდა ნიკომედია და ნიკეა.

2 ნიკომედ IV ფილოპატრე - ვიფინიის მეფე - 94-74 წწ. ჩვ. წ. ა. ნიკომედმა მამისგან მემკვიდრეობით ძლევამოსილ პონტოს სამეფოსთან გართულებული ურთიერთობა მიიღო. მითრიდატე VI ხშირად ლაშქრობდა ვიფინიის წინააღმდეგ, 89 წელს მითრიდატემ ნიკომედის ძმას სოკრატეს ჯარი გააყოლა და მან ვიფინია აიღო, მაგრამ რომაელებმა სოკრატეს ნიკომედისთვის ტახტის დაბრუნება მოსთხოვეს. სასაიკვდილოდ განწირულმა უშვილძირო მეფემ რომაელთა ასეთი პატივი არ დაივიწყა და ვიფინია რომს უანდერძა. ამგვარად, ჩვ. წ. აღ. 74 წელს ვიფინია რომს შეუერთდა.

3 პერგამოს სამეფო - ელინისტური სახელმწიფო მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით. არსებობდა 283-133 წწ. ჩვ. წ. ა. დედაქალაქი - ქ. პერგამო.

4 ატალ ფილომეტორ ევერგეთი - 170- 133 ჩვ.წ. ა. პერგამოს უკანასკნელი მეფე. გაურკვეველ მიზეზთა გამო თავისი სამეფო რომის რესპუბლიკას უანდერძა. ატალის მეფობის შესახებ ცნობები მწირია, ანტიკური ისტორიკოსების მონათხრობებში ატალს ტირანს უწოდებენ, რომელსაც ქვეყნის მართვა არ სზალუძს. იგი სამეფოს პრაქტიკულად არ მართავდა. გატაცებული იყო მედიცინით და ბოტანიკით, მის მიერ შექმნილ შხამს ის თავის მეგობრებს და ნათესავებს ასმევდა და კლავდა. არსებობს მოსაზრება, რომ ანდერძი შეცვალეს და ასე შეწყვიტა პერგამომ თავისი დამოუკიდებელი ცხოვრება.

5 ბონიფაცი I მონფერატელი - 1150-1207წწ. ვილჰემ V ძველის შვილი. თესალონიკის პირველი მეფე. მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის მეთაური, რომელიც კონსტანტინოპოლის აღებითა და ძარცვით დასრულდა (მონფერატის სამთვაროს ყოფილი ტერიტორია დღეს იტალიის პიემონტის ოლქის ნაწილს შეადენს, რომლის ცენტრს ქ. ტურინი წარმოადგენს).

6 კრეტა - კუნძული ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. ფართობი 8336 კმ². (დღეს ეკუთვნის საბერძნეთს)

7 История Неаполитанского королевства: От вступления Карла Бурбона к смерти Фердинанда. И.Б.Тавриды. 2011.გვ. 164.

გაყიდეს მათ მფლობელობაში მყოფი კუნძულები როდოსი[1] და კოსი[2]. კუნძულების ახალი ფლობელი ჰოსპიტალიერთა ორდენი[3] გახდა.[4]

1320 წელს ნეოპოლიტანის[5] მეფის შვილმა ფილიპე ტრენტსკიმ[6] 40 ათას ლივრად გამოისყიდა ახეის სამთავრო.[7]

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეპოქაში უკაცრიელი კუნძულების ყიდვა-გაყიდვაც ხდებოდა. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში, გარიგების მონაწილეებს ადგილობრივი მოსახლეობის ნება-სურვილი საერთოდ არ აინტერესებდათ. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ყველა სახის ავტოკრატი და ქვეშევრდომი თავს გარიგების მონაწილედ ან მის ნაწილად არ მიიჩნევდა. თუმცა რესპუბლიკების მმართველები ამ მხრივ, მონარქებისგან დიდად არ განსხვავდებოდნენ. ერთადერთი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც აუქციონზე გამოტანილი ტერიტორიების მცხოვრებთ ჰკითხეს, თუ ვისი ქვეშევრდომობის ქვეშ სურდათ ყოფნა. გარიგება ხმელთაშუა ზღვის ქალაქებს - მენტონსა და როკენბრუნს შორის მოხდა. 1860 წლის აპრილში მოქალაქეებს სთხოვეს გადაეწყვიტათ, თუ ვის მხარეზე იყვნენ: საფრანგეთის, იტალიის, თუ მონაკოს[8]. უმრავლესობამ საფრანგეთი აირჩია და ამავე წლის ზაფხულში ორივე ქალაქი ოფიციალურად საფრანგეთის რივიერა გახდა, ხოლო მონაკოს პრინც კარლოს III-ს[9], რომელმაც ერთდროულად თავისი სამფლობელოს 80% დაკარგა, ნაპოლეონ III[10]-მ 4 მილიონი ფრანკი გადაუხადა.[11] ამრიგად, ხშირ შემთხვევაში, ტერიტორიის ხელიდან ხელში გადასვლისას „მფლობელის" შეცვლის ფაქტზე მოსახლეობა საკმაოდ მშვიდად რეაგირებდა.

## ვაჭრობა რუსულად

ევროპელი კოლეგების პარალელურად გაკოტრებული რუსული სამთავროების მიწებს, მოსკოვის პრინცი ივან კალიტა[12] ეუფლებოდა. მას, თავისი მეტსახელიდან

---

1 როდოსი - კუნძული ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, სამხრეთ სპორადების არქიპელაგში, მცირე აზიის ნახევარკუნძულიდან 18 კილომეტრში. ფართობი 1408 კმ². (დღეს ეკუთვნის საბერძნეთს)

2 კოსი - კუნძული ეგეოსის ზღვაში. შედის დოდეკანესის კუნძულთა ჯგუფში რომელიც შედგევა 12 დიდი და 150-ზე მეტი პატარა კუნძულებისაგან, რომელთაგან 24 დაუსახლებელია. კუნძულის მოსახლეობა შეადგენს 33 388 ადამიანს. (დღეს ეკუთვნის საბარძნეთს).

3. წმ. იოანე ნათლისმცემლის ორდენის რაინდები - ასევე წმინდა იოანეს ორდენი, ჰოსპიტალიერთა ორდენი, ჰოსპიტალიერი რაინდები, იოანიტები, ჰოსპიტალიერები - შუა საუკუნეებში ყველაზე სახელგანთქმული დასავლურ - ქრისტიანული სამხედრო ორდენი. დაარსდა 1099 წ.

4. Самаркин В. В. Численность населения, его состав и размещение // Историческая география Западной Европы в средние века. — М.: Высшая школа, 1976. გვ. 87

5. ნეოპოლიტანის სამეფო - სახელმწიფო სამხრეთ იტალიაში XII – XIX სს. თანამედროვე იტალიის ოლქების - კამპანიის, აპულიის, კალაბრიის, ბაზილიკატის, მოლიზის, აბრუწის ტერიტორიები ეკავა.

6. ფილიპე I ტარენტელი - (1728-1332წწ.) კარლ II (1248 – 1309 წწ.) კოჭლის შვილი, კონსტანტინოპოლის იმპერატორი - 1297—1330 წწ.

7.ახეის სამთავრო, ან სამთავრო მორეია, მორეის პრინციპატი - ჯვაროსანთა სხელმწიფო რომელიც შეიქმნა მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგად (1202-1204 წწ.) თანამედროვე საბერძნეთის ტერიტორიაზე. არსებობა 1432 წელს შეწყვიტა.

8 Pemberton H. The history of Monaco, past and present. L., 1867. L., 2009;გვ.125.

9 კარლოს III – 1818 – 1889 წწ. - მონაკოს მთავარი გრიმალდიის დინასტიიდან. მონტე -კარლოს ცნობილი კაზინოს დამაარსებელი.

10 შარლ ლუი ნაპოლეონ ბონაპარტე - მოგვიანებით ნაპოლეონ ბონაპარტე III – (1808 -1872 წწ) - საფრანგეთის მეორე რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი - 1848- 1852 წწ; საფრანგეთის მეორე იმპერიის იმპერატორი - 1870 – 1871 წწ.

11 Robert J.-B. Histoire de Monaco. 2 éd. P., 1997, გვ. 117.

12 ივანე I დანიელის ძე კალიტა (1288-1340) - მოსკოვის მთავარი -1325-1340 წწ., ვლადიმირის დიდი მთავარი - 1328-1340წწ., ნოვგოროდის მთავარი - 1328-1337წწ. მეტსახელი - კალიტა ღარიბებისადმი გულუხვობის გამო მიიღო.

გამომდინარე[1], აშკარად საკმარისი ფული ჰქონდა და ამიტომ, რამდენიმე წელიწადში გაღატაკებული მეზობლებისაგან უგილიჩი[2], გალიჩი[3], ბელოოზერო[4] და სხვა ქალაქები იყიდა[5]. მოგვიანებით კი, თავიანთი სამფლობელოები იაროსლავლის და როსტოვის მთავრებმაც მოსკოვის მთავარს მიჰყიდეს.[6] როდესაც, ფაქტობრივად, დასრულდა რუსული მიწების გაყიდვა, მათ მეზობლებთან ვაჭრობა დაიწყეს.

პეტრე I - მა[7] 1721 წელს შვედეთისგან თითქმის მთელი ბალტიისპირეთი იყიდა[8]. ეს ნიშტადის[9] მშვიდობიანი ზავის შედეგად გახდა შესაძლებელი. ზავის თანახმად, რუსეთის ფარგლებში კარელია, ესტლანდია, ინგერმანლანდია და ლიფლანდია შევიდა[10], რაც რუსეთის ხაზინას 2 მილიონი ეფიმკა[11] - თითქმის 56 ტონა ვერცხლი, დაუჯდა.[12]

ამ ტერიტორიების ადმინისტრაციული სისტემა სუსტად იყო განვითარებული, მოსახლეობა გერმანულ ენაზე საუბრობდა. ლიფლანდიას მნიშვნელოვანი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა რუსეთის სახელმწიფოსთვის, მოსახლეობის ძირითად ნაწილს ესტონელები, ლატვიელები და ლიტველები შეადგენდნენ. რუსეთთან შეერთების შემდეგ ლიფლანდიას - რიგის გუბერნია ეწოდა. დღეს ლიფლანდიის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი ლატვიას, ხოლო დანარჩენი ესტონეთს ეკუთვნის.

ინგერმანლანდია იყო მსხვილი ისტორიული რეგიონი რუსეთის ჩრდილო -დასავლეთ ნაწილში (ესაზღვრება ესტონეთს და კარელიას) და გეოგრაფიული პრინციპების მიხედვით, თანამედროვე სანკტ-პეტერბურგის ოლქს[13] შეადგენს. ათეული წლების შემდეგ გუბერნია რუსეთისთვის მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრად იქცა.

ესტლანდია თანამედროვე ესტონეთის ჩრდილოეთ ნაწილს მოიცავს და

1 კალიტა - ქისა ან საფულე.

2 უგილიჩი - დაახლოებით თანამედროვე იაროსლავის ოლქის ტერიტორია.

3 გალიჩი - დაახლოებით თანამედროვე კოსტრომის ოლქის ტერიტორია.

4. ბელოოზერო - რუსული სამთვარო XIII –XV სს. დედაქალაქი - ბელოოზერო. 1328-1338 წლებს შორის ბელოოზეროს სამთავრო მოსკოვის მთავარმა ივანე კალიტამ იყიდა, მაგრამ 1338 წელს ოქროს ურდოს ხანმა უზბეკმა ივანე კალიტას ბელოოზეროს მართვის სიგელი წაართვა და ადგილობრივ თავადებს გადასცა. 1380 წელს კულიკოვოს ბრძოლის შემდეგ ბელოოზეროს სამთვარო მოსკოვის სამთავროს შეუერთდა. 1777 წელს ბელოოზეროს სახელი გადაარქვეს და ბელოოზერსკი უწოდეს, დღემდე ქალაქს ბელოოზერსკი ეწოდება.

5 Кучкин В. А. «Формирование государственной территории северо-восточной Руси в X—XIV вв.». М., 1979, გვ. 211.

6 Ростовское княжество// Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона. ტ.86 СПб., 1890-1907

7 პეტრე I დიდი -1672-1725 წწ. რუსეთის უკანასკნელი მეფე და პირველი (1721 წლიდან) იმპერატორი.

8Ништадский мирный договор между Россией и Швецией. М., 2019, გვ. 56 და შემ.

9 ნიშტადის საზაო ხელშეკრულება - 1721 წლის 30 აგვისტოს (10 სექტემბერს) ქალაქ ნიშტადში (დღეს ფინეთის შემადგენლობაშია უსიკაუპუნკის სახელწოდებით) ხელი მოეწერა ხელშეკრულებას რუსეთისა და შვედეთის სამეფოებს შორის რომლის შედეგად დასრულდა ჩრდილოეთის ომი (1700-1721 წწ). უნდა აღინიშნოს, რომ ამ აქტის შემდეგ პეტრე პირველი იმპერატორად, ხოლო რუსეთი იმპერიად გამოცხადდა.

10.Ништадский мирный договор между Россией и Швецией. М., 2019, გვ. 56 და შემ.

11.ეფიმკა/ეფიმოკი - დასავლეთ ევროპის ვერცხლის ტალერის რუსული სახელწოდება. ტალერი ევროპაში XVIII საუკუნის შუა ხანებამდე იყო მიმოქცევაში. მონეტები ვერცხლის უმაღლესი სინჯისგან იჭმნებოდა და ევროპის ვალუტის ეტალონად მიიჩნეოდა. აღსანიშნავია, რომ რუსეთში 1654 წლამდე რუსული კაპიკების შესაქმნელად სწორედ ე.წ. ეფიმკებს იყენებდნენ. 1654 წელს რუსებმა ევროპის 28 გრამიან ვერცხლის მონეტაზე მეფის გამოსახულება და გერბი ამოტვიფრეს და ასე პირველად შევიდა მიმოქცევაში რუბლი (იხ.Богданов А. А. Указ Павла I о чеканке ефимков 1798 г.: текст и комментарий // Богданов А. А. Монетное дело Российской империи. Находки. Исследования. Гипотезы: Очерки. М.; СПб., 2011. გვ. 73 — 87.; Потин В. М. Талеры на территории Русского государства в XVI—XVII веках // Прошлое нашей родины в памятниках нумизматики: Сб., 1977. გვ. 50 — 104.; იხ. აგრეთვე -Зандер Р. Ефимки ... Использование талеров в России. // Серебряные рубли и ефимки романовской России (1654 - 1915): Исторический обзор и заметки о характерных. — К.: Одигитрия, 1998.; Мельникова А. С. Русские монеты от Ивана Грозного до Петра Первого. — М.: Финансы и статистика, 1989.

12 В.Н.Балязин. Неофициальная история России. М.: Олма Медиа Групп, 2007, 77 და შემ.

13 უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთთან შეერთების დროს აქ 13 000 ფინელი ცხოვრობდა.

ხარიუმის, რამპლამის, იარვამის, ლიაენემის, იდა-ვირუმის, ლიენე-ვირუმის და ხიიუმის რაიონებს შეადგენს. ისტორიის მანძილზე ადგილობრივი ესტონური მოსახლეობა ვერ უმკლავდებოდა დამყრობლებს და ეს ტერიტორიები მრავალი საუკუნეების მანძილზე სხვა და სხვა სახელმწიფოების შემადგენლობაში იმყოფებოდა, ასე შედიოდა ესტლანდია დანიის შემადგენლობაში 1219-1346 წლებში, ლივონიის კონფედერაციაში 1346-1561წწ., შვედეთის სამფლობელოში 1561-1721 წწ., ხოლო რუსეთის შემადგენლობაში - 1721 -1918 წწ[1].

1917 - 1918 წელს რუსეთში რევოლუცისა და იმპერიის დაშლის შედეგად ესტონელმა ხალხმა თავისი ისტორიული კუთხე დაიბრუნა. დღეს მრავალ რუს პოლიტიკოსს და ისტორიკოსს მიაჩნია, რომ ესტლანდია და მთლიანად ბალტიისპირეთი, მათ კანონის ყველა წესის დაცვით იყიდეს და ამ ტერიტორიების რუსეთისადმი კუთვნილების შესახებ ამ მოსაზრებას გამოთქვამენ.[2] ამასთან დაკავშირებით უნდა ვთქვათ, რომ ანექსირებული ტერიტორიის ყიდვა - გაყიდვა ამორალურ პოლიტიკურ აქტად მიგვაჩნია. საკითხავია, რა უფლებით გაყიდა შვედეთმა ანექსირებული ბალტისპირეთის ხალხის კუთვნილი მიწა-წყალი, ან რა უფლებით იყიდა იგი რუსეთმა ადგილობრივი მოსახლეობის დაუკითხავად. ალბათ ეს შესაძლებელი იყო იმიტომ, რომ არც მაშინ და არც დღეს საერთაშორისო კანონები მიწის შეძენის ამ მეთოდს არ კრძალავენ.

1867 წელს ალექსანდრე II[3], პირიქით, ალიასკა შეერთებულ შტატებს მიჰყიდა.[4] ევროპელებმა ალიასკის შესახებ XVIII საუკუნემდე არაფერი იცოდნენ[5]. პირველად ალიასკის სანაპიროები 1648 წელს სემიონ დეჟნევის[6] ექსპედიციის მონაწილეებმა შენიშნეს. ამის შემდგომ 1732 წელს ალიასკის მიწაზე ა. შესტაკოვისა[7] და დ. პავლუცკის[8] ექსპედიციის წევრები გადმოსხდნენ. თავიდან ალიასკის ათვისება კერძო პირების მიერ ხდებოდა, ხოლო 1799 წლიდან მისი ათვისებას მონოპოლიის დამყარების მიზნით სპეციალურად შექმნილი რუსეთ-აშშ-ს კომპანია ხელმძღვანელობდა.[9] გარკვეული დროის შემდეგ აქ რუსული დასახლებები და მისიონერები გაჩნდნენ, რომლებსაც ადგილობრივი წარმართი მოსახლეობა მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე აქტიურად გადაჰყავდათ. 1840 წელს კამჩატკის, კურილიისა და ალეუტსკის ეპარქიები შეიქმნა, 1852 წელს რუსული სამფლობელოებისთვის ამერიკაში კამჩატკის ეპარქიის ნოვოარხანგელსკის[10] წარმომადგენლობა იყო გამოყოფილი. ასე ნელი ტემპებით ხდებოდა ალიასკის კოლონიზება[11].

1876 წელს ნახევარკუნძულზე 12 ათასი ადგილობრივი მოსახლეობა ცხოვრობდა,

1 https://de.wikipedia.org/wiki/Liste_der_Kriege_und_Schlachten_in_Estland

2 აქ ვგულისხმობთ ვ.ჟირინოვსკის, ი. ლებედევს, ს. სტეპაშინს, ისტორიკოს ი.ჟუკოვს და სხვებს.

3 ალექსანდრე II – 1818 – 1881 წწ. რუსეთის იმპერატორი.

4 Костомаров Н.И. Русская история в жизнеописаниях ее главнейших деятелей. – М., 1993.გვ. 342 და შემ.

5 Т.М.Бутаева. Экспансия США на севере Тихого океана и покупка Аляски в 1867 году// Американский экспансионизм. Новое время. М., 1985, გვ. 120-133.

6 სემიონ ივანე ძე დეჟნევი - (1605 – 1673 წწ.) - რუსი მოგზაური, ჩრდილოეთ ციმბირისა და ჩრდილოეთ ამერიკის მკლევარი, კაზაკთა ატამანი

7აფანასი ფედოტის ძე შესტაკოვი - (1677 – 1730 წწ) - სამხედრო ექსპედიციების ხელმძღვანელი ჩუკოტკაში. 1730 წ. მდინარე ეგაჩესთან ჩუქჩების წინააღმდეგ ბრძოლაში გარდაიცვალა.

8 დმიტრი ივანეს ძე პავლიუსკი - დაბ. თარიღი უცნობია - გარ. – 1747 წ. რუსი ოფიცერი, დრაგუნთა მაიორი, სამხედრო ექსპედიციების ხელმძღვანელი ჩუკოტკაში. გარდაიცვალა ჩუკჩებთან ბრძოლაში 1747 წლის 14 მარტს, დაკრძალულია იაკუტსკში.

9 С.Б.Окунь. К истории продажи русских колоний в Америке// Исторические записки. – М., 1938, Т., 2. - გვ. 209- 239.

10 ნოვოარხანგელსკი - ჩრდილოეთ ამერიკის რუსული სამფლოებლობის ადმინისტრაციული ცენტრი.

11. 1876 წელს ნახევარკუნძულზე ცხოვრობდა 12 ათასი ადგილობრივი მოსახლეობა რომლებმაც მართლამდიდებლობა მიიღეს , ხოლო ამ დროს ალიასკის მთლიანი მოსახლეობა 50 ათას ადამიანს შეადგენდა, მათ შორის ათასი რუსი კოლონიზატორი იყო.

რომლებმაც მართლამდიდებლობა მიიღეს, ხოლო ალიასკის მთლიანი მოსახლეობა ამ დროს 50 ათას ადამიანს შეადგენდა. მათ შორის ათასი რუსი კოლონიზატორი იყო.

პირველად ალიასკის გაყიდვის შესახებ 1853 წელს, ჯერ კიდევ ნიკოლოზ I -ის მმართველობის დროს, აღმოსავლეთ ციმბირის გენერალ-გუბერნატორი ნიკოლოზ მურავიოვ-ამურსკი[1] ალაპარაკდა.[2] იგი იმპერატორ ნიკოლოზ I წერილს წერდა, სადაც ამტკიცებდა, რომ რუსეთმა უარი უნდა თქვას ჩრდილოეთ ამერიკის მიწებზე. გენერალ-გუბერნატორის აზრით, ამ ტერიტორიების დაცვისთვის საჭირო სამხედრო და ეკონომიკური შესაძლებლობები რუსეთის იმპერიას არ გააჩნდა.[3]

მურავიოვი წერდა: „ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ იმ მოსაზრების სისწორეში, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები თავის ძალაუფლებას მთელ ჩრდილოეთ ამერიკაზე გაავრცელებს. შესაბამისად, ჩვენ ადრე თუ გვიან მაინც მოგვიწევს დავუთმოთ მათ ჩვენი სამფლობელოები ამერიკაში“[4]. ამის ნაცვლად მურავიოვ - ამურსკი შორეული აღმოსავლეთის ათვისებასა და ბრიტანეთის წინააღმდეგ აშშ-ს მოკავშირედ ყოლას სთავაზობდა.[5]

მოგვიანებით ალიასკის გაყიდვის მთავრ მომხრედ იმპერატორ ალექსანდრე II უმცროსი ძმა დიდი მთავარი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე[6] გამოდიოდა. [7]

1866 წლის 28 (16) დეკემბერს სანქტ-პეტერბურგში საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში ალიასკის გაყიდვის საკითხთან დაკავშირებით სპეციალური თათბირი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ - ალექსადრე II, დიდი მთავარი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, ფინანსთა მინისტრი მიხაილ რეიტერნი, საზღვაო მინისტრი - ნიკოლოზ კრაბე და რუსეთის წარმომადგენელი აშშ-ში ბარონი ედუარდ სტეკლი. თათბირზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება ალიასკის აშშ-თვის მიყიდვის შესახებ, მაგრამ ამ გადაწყვეტილების შესახებ საჯაროდ არ განუცხადებიათ. შეთანხმება იმდენად საიდუმლო იყო, რომ ალიასკის გაყიდვის ამბავი რუსეთის სამხედრო მინისტრმა დიმიტრი მილუტინმა ბრიტანეთის გაზეთებიდან შეიტყო.[8]

ხელშეკრულების დადება 1867 წლის 30(18) მარტს აშშ-ს დედაქალაქში, ვაშინგტონში, გაიმართა.[9] რუსეთის მხრიდან ხელშეკრულებას ხელი სპეციალურმა წარმომადგენელმა ბარონმა ედუარდ სტეკლიმ მოაწერა, აშშ-ს მხრიდან სახელმწიფო მინისტრმა უილიამ სიუარდმა. გარიგების თანხამ 7 მლ. 200 ათასი აშშ- დოლარი

---

1 გრაფი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვი -ამურსკი - 1809 – 1881 წწ. - რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე. აღმოსავლეთ ციმბირის გენერალ - გუბერნატორი. მსახურობდა საქართველოშიც. გამოირჩეოდა სისასტიკეთ ქართველებისა და უბიხების წინააღმდეგ 1838, 1840-1844 წწ. მას დიდი წვლილი მიუძღვის ციმბირის სამფლოებლოების გაფართოებაში, კერძოდ ე.წ. „ამურის საკითხის“ გადაწყვეტაში, რუსეთს შეუერთა პრიამურია და პრიმორიე, დაასახლა კაზაკები და ამ განაპირა რეგიონის, ფაქტობრივად, ათვისება დაიწყო. აიგუნის ხელშეკრულების (1858 წ.) მიხედვით, რუსეთსა და ჩინეთს შორის სახელმწიფო საზღვარი მდინარე ამურის მთელ გაყოლებაზე დადგინდა, სწორედ ამის გამო უწოდეს მურავიოვს მურავიოვ-ამურსკი, ხოლო პეკინის (1860წ) რუსეთ-ჩინეთის ზავის თანახმად, მთელი უსურიისკის მხარე რუსეთის შემადგენლობაში შევიდა.

2 С.Пыхтин. Как продавали русскую Америку: темная сторона истории русско-американских отношений с 1824 по 1867 год// Москва. – 2005. - №8. გვ. 144-165

3 Н.Н. Болховитинов. Аляскинский скандал(1867-1868гг.) // Вопросы истории. – 1989.- №4. - გვ. 37-54.

4 И.П.Барсуков. Граф Николай Николаевич Муравьев – Амурский. По его письмам, официальным документам рассказам современников и печатным источникам. Книга вторая. М., 1990, с 45.

5 Т.М.Бутаева. Экспансия США на севере Тихого океана и покупка Аляски в 1867 году// Американский экспансионизм. Новое время. М., 1985, გვ. 134.

6 კონსტანტინ ნიკოლოზის ძე - 1827 -1892 წწ. - გენერალ - ადმირალი.

7 М.И.Вавилов. Последные дни Русской Америке, 1867-1868 гг: из записи очевидца// Русская старина. – 1886. – Т., 49.- გვ. 549-560; Т. 50.- გვ. 593-598; Т., 51. – გვ. 605-614.

8 С.Пыхтин. Как продавали русскую Америку: темная сторона истории русско-американских отношений с 1824 по 1867 год// Москва. – 2005. - №8. გვ. 167

9. Т.М.Бутаева. Прохождение договора о покупке Аляски в конгрессе США в 1867-1868 годах// Новая и Новейшая история. – 1971. – №4. - გვ.117-124.

შეადგინა, რაც აშშ-ს ათი თვის მანძილზე[1] უნდა გადაეხადა.[2]

1867 წლის 18 (6) ოქტომბერს ნოვოარხანგელსკში ალიასკის გადაცემის ოფიციალური ცერემონია გაიმართა. დაუშვეს რუსეთის დროშა და მის ნაცვლად აშშ-ს დროსა აღმართეს. რუსი მოსახლეობიდან მონაწილეობა მხოლოდ 15 ადამიანმა (აშშ-ს ქვეშევრდომები) მიიღო, დანარჩენები ევაკუირებულ იქნენ. [3]

დღეს ალიასკა აშშ-ს ყველაზე დიდი შტატია 1 717 854 ფართობით, ხოლო მოსახლეობა 722 718 ადამიანს შეადგენს.

რუსეთის საბჭოთა იმპერია კი პირიქით, მიწების შესყიდვას ცდილობდა. მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო როდესაც 1947 წელს ფინეთის ტერიტორიის მონაკვეთი - 176 კვადრატული მეტრი, სსრკ-ს, ფინეთისა და ნორვეგიის საზღვრების განაპირას შეიძინა.[4]

საქმე იმაშია, რომ ომის შემდეგ მოსკოვის ხელშეკრულების თანახმად პეტსამოს[5] ნიკელის საბადო საბჭოთა კავშირს გადაეცა, მაგრამ იანისკოსკის ჰიდრო ელექტრო სადგური ფინეთის სახელმწიფოს ფარგლებში დარჩა. გერმანელებმა, ამ ტერიტორიის დატოვებამდე ჰესი ააფეთქეს, ხოლო ფინეთს ჰესის აღდგენის არც შესაძლებლობა ჰქონდა და არც საჭიროება. სწორედ ამ ვითარებამ განაპირობა ფინეთის გადაწყვეტილება, რომ ჰესის ტერიტორია საბჭოთა კავშირისთვის მიეყიდა. აღსანიშნავია, რომ ფინეთის პარლამენტმა ეს გადაწყვეტილება განხილვის გარეშე მიიღო.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირს ამ ტერიტორიის შეძენა 700 მილიონი ფინური მარკა[6] დაუჯდა. სინამდვილეში ფინეთს არაფერი მიუღია, რადგან სტალინმა ტერიტორიის ფასი ფინეთის სახელმწიფო ვალს გამოაკლო[7]. გაყიდული მიწის მოსახლეობა ევაკუირებულ იქნა[8]. ტერიტორიის გადაცემა ზედმეტი ცერემონიის გარეშე 1947 წლის ივლისში გაიმართა.[9]

ამრიგად, მსოფლიო ისტორიის მანძილზე, მამულები, საგრაფოები, საჰერცოგოები, სხვა დიდი თუ მცირე სამფლობელოები და მათი ნაწილები უჩვეულო სიმარტივით იყიდებოდა. XX საუკუნის მეორე ნახევარში ტერიტორიის გაყიდვა მხოლოდ ერთხელ მოხდა.

1958 წელს ომანმა თავისი კოლონიალური იმპერიის ბოლო ნაწილი პორტი - გვადარი[10] რამოდენიმე ათასიან მოსახლეობასთან ერთად პაკისტანს მიჰყიდა. ანკლავის მართვა, რომელიც მოწყვეტილი იყო ძირითად ტერიტორიას ომანისთვის რთული იყო, ხოლო 3 მილ. აშშ დოლარი იმ დროისათვის ზედმეტი მართლაც არ იყო, რადგან ამ სახელმწიფომ ნავთობის ექსპორტი მხოლოდ 10 წლის შემდეგ დაიწყო.

2019 წლის აგვისტოში აშშ-ს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპა განაცხადა, რომ იგი მზადაა იყიდოს გრენლანდია[11] 600 მილიონად. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს

1. გაყიდული ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენდა 1 მლ. 519 კვ. კმ.

2. А.Ю.Петров. Деньги, полученные от продажи Аляски США, пошли на железнодорожное строительство в России//Американский ежегодник. 2002. – М., 2004. – გვ. 291-292.

3 М.И.Вавилов. Последные дни Русской Америке, 1867-1868 гг: из записи очевидца// Русская старина. – 1886. – Т., 49.- გვ. 549-560; Т. 50.- გვ. 593-598; Т., 51. – გვ. 605-614.

4 Петров И. А. Добрые соседи: Краткий очерк дружественных советско-финляндских отношений. — Петрозаводск, 1984. გვ 125

5 დღეს პეჩენგა რფ-ში.

6 დაახლოებით დღეს 41 მლ. ევრო.

7. Тимо Вихавайнен. Сталин и финны = Stalin ja suomalaiset / Timo Vihavainen; пер. с финского Н. А. Коваленко. — Спб.: Нева, 2000. გვ.288

8. ამ ტერიტორიაზე სულ 4 დაამიანი - ყრუ მეთევზე თავისი ცოლით და ქალიშვილით და ერთი მარტოხელა მესაზღვრე ცხოვრობდა.

9. Петров И. А. Добрые соседи: Краткий очерк дружественных советско-финляндских отношений. — Петрозаводск, 1984. გვ 125

10. პორტი ვადარი - მდებარეობს არაბეთის ზღვაზე, ბელუჯისტანის პროვინციაში, პაკისტანი.

11 გრენლანდია - უდიდესი კუნძული მსოფლიოში. მისი ფართობი შეადგენს 2 130 800 კმ². მდებარეობს

ექსპრეზიდენტი ჰარი ტრუმენი[1] გრენლანდიის ყიდვას 100 მილიონად აპირებდა.

ტრამპის ამ წინადადებას დანიის ხელისუფლებამ ცივი უარით უპასუხა. ამის გამო აშშ-ს პრეზიდენტმა კოპენჰაგენში დაგეგმილი ვიზიტი გადადო. დანიის სამეფო ოჯახი გაკვირვებული იყო ტრამპის ასეთი გადაწყვეტილებით. „ეს იყო მოულოდნელი. ჩვენ ამის მეტს ვერაფერს ვიტყვით“ - განაცხადა დედოფალმა[2].

დანიის სახალხო პარტიის თავჯდომარემ სერენ იესპერსენმა განაცხადა: „ტრამპის წინადადება სასაცილოა. დანიას არ შეუძლია მიჰყიდოს აშშ-ს თავისი 50 ათასი მოქალაქე“. მოვლენები შემდგომში როგორ განვითარდება ძნელი სათქმელია, მაგრამ დიდი ალბათობით მომავალში მსგავსი გარიგების მოწმე არაერთხელ გავხდებით.

**Guram Markhulia**
**Doctor of Historical Sciences, Professor Sukhumi State University (Georgia)**

## The internationally reimbursed and sold out

In the history of mankind, territories were torn away not only as a result of conquests or the emergence of unidentified troops, but also as a result of a trade deal.

In 1721, the devastating Northern War ended, which lasted from 1700. Russian troops captured the Baltic states, Finland, encroached on Sweden. Nevertheless, the Nishtadt world was not very profitable for Russia: Peter I returned Sweden to Sweden, and bought the Baltic states for a considerable amount.

Alaska was discovered in 1732 by Russian researchers Mikhail Gvozdev and Ivan Fedorov during an expedition to the St. Gabriel bot. The peninsula was studied in more detail in 1741 by the Second Kamchatka Expedition of Vitus Bering and Alexei Chirikov. In 1784, an expedition of the Irkutsk merchant Grigory Shelikhov arrived on the island of Kodiak off the southern coast of Alaska, which founded the first settlement of Russian America - the Harbor of Three Saints. From 1799 to 1867, Alaska and the islands adjacent to it were under the control of the Russian-American company.

For the first time in government circles, the idea of selling Alaska to the United States was expressed in the spring of 1853 by the Governor General of Eastern Siberia Nikolai Muravyov-Amursky. He presented to Emperor Nicholas I a note in which he argued that Russia needed to give up possessions in North America. According to the Governor General, the Russian Empire did not have the necessary military and economic means to protect these territories from US claims.

Later, the main supporter of the sale of Alaska to the USA was the younger brother of Emperor Alexander II, chairman of the Council of State and governor of the Ministry of the Sea, Grand Duke Konstantin Nikolaevich. On April 3 (March 22, old style) in 1857, in a letter addressed to Foreign Minister Alexander Gorchakov, he first officially proposed to sell the peninsula to the United States. As an argument in favor of concluding a deal, the Grand Duke referred to the “cramped state of public finances” and the supposedly low profitability of American territories. On December 28 (16), 1866, in St. Petersburg, in the building of the Ministry of Foreign Affairs, a special meeting was held on the sale of Russian possessions in North America. It was attended by Emperor Alexander II, Grand Duke Konstantin Nikolayevich, Minister of Finance Mikhail Retern, Minister of the Sea Nikolai Krabbe, Russian Ambassador to the United States Baron Eduard Stekl.

The meeting unanimously agreed to sell Alaska. However, this decision was not made public. The secrecy was so high that, for example, Minister of War Dmitry Milyutin found out about the sale of the region only after signing the agreement from British newspapers. And the board of the Russian-American company received a notice of the transaction three weeks after its formalization.

---

ჩრდილოეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ამგვარად ფიზიკური გეოგრაფიის მიხედვით, მიეკუთვნება ამერიკის კონტინენტს, პოლიტიკურად კი ევროპას ეკუთვნის.

1 ჰარი ტრუმენი - (1884 – 1972წწ). სახელმწიფო მოღვაწე, აშშ-ს 33 პრეზიდენტი. (დემოკრატიული პარტიიდან).

2 მარგრეტე II – (მარგარეტე ალექსანდრინა ტორხილდურ ინგრიდ) - დანიის დედოფალი გლუკსბურგების დინასტიიდან, დანიის სახელმწიფოს მეთაური, დანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. ტახტზე 1972 წლის 14 იანვარს, მამის მეფე ფრედერიკ IX გარდაცვალების შემდეგ ავიდა.

# ვულოცავთ საიუბილეო თარიღს

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს გამოჩენილ მეც-



ნიერს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიკოს ბატონ როინ მეტრეველს დაბადებიდან 80 წლის საიუბილეო თარიღს.

ბატონ როინ მეტრეველს უდიდესი დამსახურება გააჩნია ქვეყნისა და ერის წინაშე, ყველგან, სადაც კი ბატონი როინი მოღვაწეობდა სახელმწიფო სტრუქტურებში, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში მან წარუშლელი კვალი დატოვა, როგორც პროფესიონალმა, უზადო ხელმძღვანელმა, მრავალი თაობის აღმზრდელმა, დიდმა მოყვასმა, რომლისთვისაც ნებისმიერი ადამიანისათვის დახმარების გაწევა მისი ცხოვრების წესს წარმოადგენს.

* * *

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გიორგი ბაბუნაშვილის რედაქტორობითა და დაფინანსებით ამერიკის შეერთებულ შტატებში-ფილადელფიაში, ბატონ როინ მეტრეველის საიუბილეო 80 წელთან დაკავშირებით გამოიცა მეორედ ინგლისურ ენაზე მისი მონოგრაფია ''GEORGIA'' , რომელიც, როგორც შინაარსობრივად, ასევე პოლიგრაფიულად მაღალ დონეზეა შესრულებული.



კიდევ ერთხელ გილოცავთ ბატონო როინ დაბადებიდან 80 წლის საიუბილეო თარიღს და გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, ბედნიერებასა და გახარებას თქვენს ძვირფას ოჯახთან ერთად, გვჯერა, რომ კვლავაც თქვენეული შემართებით დაიცავთ საქართველოს ძირძველ ისტორიას და მომავალ თაობებს დაუტოვებთ სახელმძღვანელოდ ერისა და ქვეყნის სიყვარულს.

## ვულოცავთ დამსახურებულ აღიარებას

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს ტექნიკურ მეც-



ნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს, მრავალი საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციების მონაწილესა და სამეცნიერო ნაშრომების ავტორს, გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ბატონ დავით გურგენიძეს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორად არჩევას და ვუსურვებთ ქართული საინჟინრო სკოლის 70 წლიანი უმაღლესი სასწავლებლის ღირსეული ტრადიციების გაგრძელებას ამ რთულ და საპატიო საქმიანობაში.

ასევე ვულოცავთ ბატონ დავითს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით ''საქართველოს დამსახურებული მშენებლის'' საპატიო წოდების მინიჭებას.

* * *

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს ამავე აკადემიის აკადემიკოსს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, მრავალი საერთაშორისო კონფერენციების მონაწილესა და სამეცნიერო ნაშრომების ავტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, საერთაშორისო სამეცნიერო და არასამთავრობო საგანმანათლებლო ორგანიზაციების წევრს ბატონ გელა ყიფიანს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით ''საქართველოს დამსახურებული მშენებლის'' საპატიო წოდების მინიჭებას და ვუსურვებთ დიდ სამეცნიერო და შემოქმედებით წარმატებებს.



**პატივისცემითა და კეთილი სურვილებით,**
**საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია.**

## საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს საიუბილეო თარიღებს აკადემიკოსებს



ნოდარ
ჭითანავას



ლალი
ჩაგელიშვილს



ნუგზარ
ნადარაიას



გურამ
კლიმიაშვილს



გივი
იესეშვილს



დავით
გვაძაბიას



დავით
გამეზარდაშვილს



ნინო
ლაზვიაშვილს



ჯამლეტ
ბადაგაძეს

**გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, შემოქმედებით წარმატებებს თქვენს ოჯახებთან ერთად.**